

708
1993/2

საქართველოს
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა



12
W1-2

საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა დაცვის საზოგადოება

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION
OF HISTORICAL AND CULTURAL
MONUMENTS

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ
ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

ქრეწულ „ძეგლის დაცვის“ წლიურადი წომეობის გომცემა დააშინანსა
„კავკასიის კონცერნმა“.

რედაქცია უღრმის მადლოვან უხლის კონცერნის გენერალურ დირექტორს გ-ნ
აშირან კადაგიშვილს შეცენატობისათვის.

მთავარი რედაქტორი

მეჩაბე
პოპოვიძე

სარედაქციო კოლეგია

ანდრია

აფაძიძე

ვახტანგ

გარიძე

ირაკლი

გოლჭვაძე — პანუხისშვილი მღვანე

პარპე

ჭავჭავაძე

მარიამ

ლორთქიფანიძე

ოთარ

ლორთქიფანიძე

ლიპა

მახარაძე

ლარი

მემპარიაშვილი

ეკა

პრივალოვა

ჯულიეტა

რუხაძე

ვახტანგ

ციციანიძე

— ნომრის რედაქტორი

ირაკლი

ციციანიძე

გიორგი

ვახტანგ

20.374

ქეკელის ქუთხარი

№ 1 (89)

1993

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

გამოდის კვარტალში ერთხელ

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლარი მემკვიდრეობის — საქართველოს ისტორიისა და კულტურის მემკვიდრეობის
 გლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო, მისი ამოცანები, საქმიანობა და პრობლემები 5

ირაკლი ციციშვილი — ნაქალაქარი სამშვილდე 13

ირინე ელიზბარაშვილი — დანკალის ორნამენტი ეკლესია 17

გიორგი ბაბრატონი — ეკლესია სოფელ აშანაში 22

ანდრე პალანი — თუშეთის ტრადიციული საცხოვრებლის ერთი ტიპი 26

ნანა კუპრაშვილი — ქართული მონუმენტური მხატვრობის ტექნოლო-
 ვიის ზოგიერთი საკითხი 30

ლელა თუმანიშვილი — საცხოვრებელი სახლი ბესიკის ქუჩაზე . . . 34

მერაბ გომიძე — ფიტარეთის არქიტექტურული კომპლექსის და მისი
 რესტავრაციის შესახებ 36

პაატა ნუცუბიძე, გიბა ზანიშვილი — „დათუნას ეკლესია“ 41

ზურაბ ბრატვიანი, ამირან ღვინიაშვილი — ჩინური მონეტა მცხეთი-
 ჯერიდან 46

გიორგი ხორგუაშვილი — ამირანის ჭიშისა 48

პულგოცაძე — გრიგოლ (გრიშა) ასათიანი 80 წლისა 53

გივი მფხისაშვილი — ჩვენი სათაყვანო ბაგრატი 54

მარადიული ხსოვნა

ვახტანგ ცინცაძე 56

ანდრე პალანი 58

ანოტაციები ინგლისურ და რუსულ ენებზე 60—64



რადეპაციისაზნან: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამმართველოს დაარსებამდე 15 წელი შეუსრულდა. ამ არცთუ დიდი ხნის მანძილზე სამმართველომ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა: — გამოვლინდა, აღიარდა და შესწავლილ იქნა მრავალი მანამდე უცნობი ძეგლი. ბევრს კი დაუბრუნდა ახალი სივცხლე და ჩადგა ერის სამსახურში.

ერთად „ძეგლის მეგობრის“ რედაქციამ სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილეს, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროს ბატონ ლერი მამბარიაშვილს, შეიხვედისათვის მოეთხრო სამმართველოს განვლილი პერიოდის საქმიანობაზე და მის სამომავლო გეგმებზე.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო-საწარმოო სამმართველო, მისი ამოცანები, საქმიანობა და პრობლემები

საქართველო უძველესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა, რის უტყუარ საბუთად გვევლინება კულტურულ ფასეულობათა დღემდე შემორჩენილი მრავალრიცხოვანი ნიმუში. კულტურულ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ერის, სახელმწიფოს უწმინდესი მოვალეობაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამის საკმაოდ ძველი და ღრმა ტრადიცია გააჩნია, რომლის შენარჩუნება და შემდგომი გაღრმავება-განვითარება სრულიად ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში — დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში — ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ახალი ამოცანებისა და პრობლემების წინაშე აყენებს.

ქართველებს გვიყვარს ჩვენი წარსული, ამ წარსულში ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ძლიერების ამსახველი ფაქტების ამოკითხვა, რაც ერთგვარად გვიქარწყლებს ბოლო საუკუნეებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაკნინებით გამოწვეულ გულისტკივილს და გვიღვივებს მომავალი აღორძინების იმედს. ამიტომ არის, რომ საქართველოში ძეგლთა მოვლა-პატრონობა ყოველთვის საპატიო საქმედ ითვლებოდა. ეხლაც, როდესაც საქართველოს უკიდურესად უჭირს არავეს მოსვლია აზრად,

რომ ეს დარგი დროისათვის შეუფერებელ ფუფუნებად მიიჩნია. უფრო მეტიც, იმ გადაუდებელ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ისახებოდა ბოლო წლების მიწისძვრით თუ შინააშლილობით გამოწვეული ნგრევის შედეგების ხალიკვიდაციოდ, ძეგლთა მოვლა-პატრონობის საკითხი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და არის.

საკუთარი ისტორიისა და მისი მატერიალური დანატოვრისადმი ასეთი სიყვარული განაპირობებს საზოგადოების სურვილს, აქტიურად იღვწოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეში. მხოლოდ, საჭიროა, რომ ეს სურვილი, მატერიალური და ინტელექტუალური ენერჯია სწორად წარიმართოს და მაქსიმალური შედეგი მოგვეცეს. განსაკუთრებით ამ ძნელბედობის ეპოს, როდესაც ერთიც და მეორეც მწკვედ გვაკლია.

კულტურულ ფასეულობათა შორის ქართული ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლები — არქიტექტურული ნაგებობები, ძეგლთა ჯგუფები, კედლის მონუმენტური მხატვრობა და ქანდაკება, მემორიალური და არქეოლოგიური კომპლექსები — მოცულობით უდიდესი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მათ მოძიებას, აღნუსხვას, პასპორტიზა-



ციას, მეცნიერულ შესწავლას, კონსერვაცია-რესტავრაციას და რეკონსტრუქცია-ადაპტაციას დღეს საქართველოში აწარმოებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო.

ეს სამმართველო ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც ძეგლთა დაცვის დარგში სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს სახელმწიფოს დაკვეთით და დაფინანსებით.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო დაახლოებით იმ სახით, როგორც თაქ იგი დღეს გვევლინება, ჩამოყალიბდა 1978 წელს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რითაც დაგვირგვინდა ჯერ კიდევ 1921 წელს დაწყებული საქმე, ხოლო 1977 წელს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა კანონმა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ ამ დარგის საქმიანობას მყარი სამართლებრივი დასაყრდენი მისცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ეს კანონი არსებითად შეცვლას მოითხოვს, ახალი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. ახალი კანონის პროექტი ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს უკვე მომზადებული აქვს.

სარესტავრაციო სამუშაოები რთული სამეცნიერო-საპროექტო-საწარმოო კომპლექსია, რომელშიც მრავალი დარგის სპეციალისტი მონაწილეობს: არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორ-რესტავრატორი, მხატვარ-რესტავრატორი, კონსტრუქტორი, ბიოლოგი, ქიმიკოსი და სხვა.

ყოველივე ამის თავმოყრა, გამოყოფილი ფინანსების მიზანდასახულად ხარჯვა და სასურველი შედეგების მისაღწევად საჭირო ბერკეტების ფლობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ძლიერ სახელმწიფო სტრუქტურაში არის შესაძლებელი.

მთავარი სამმართველო ახორციელებს ერთდროულად დამკვეთისა და შემსრუ-

ლებლის ფუნქციას, მაგრამ ეს ფუნქციები თვით სამმართველში წარმოადგენს მკვეთრად გამოიჯნულია სამმართველოშივე შექმნილ დამკვეთის სამსახურსა და შემსრულებელთა შორის. დამკვეთის სამსახური, როგორც მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი, ახორციელებს მაკონტროლებელ ფუნქციებს სათანადო სტრუქტურების საშუალებით. ეს სტრუქტურებია: ტექნიკური ზედამხედველობის, საექსპერტო, მთავარი სპეციალისტების და საკურატორო განყოფილებები.

ყველა ჩვენი ორგანიზაცია — სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტი, სარესტავრაციო სახელოსნოები, სამეცნიერო ლაბორატორია, ფერწერის კვლევისა და რესტავრაციის ცენტრი, ფოტოფიქსაციის ლაბორატორია, მუზეუმ-ნაკრძალები და საწარმოო ბაზები — სახელშეკრულებო საფუძველზე იღებს დაეალებას მთავარი სამმართველოსაგან.

მთავარი სამმართველოს ძირითადი სამოქმედო გეზის ჩამოყალიბება და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა-გადაწყვეტა სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე ხდება.

სამეცნიერო-მეთოდური საბჭო ითანხმებს სამომავლო გეგმებს, განიხილავს ყველა საპროექტო გადაწყვეტას, წარმოთავსებს თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს — ერთი სიტყვით, გვევლინება მთავარი სამმართველოს ინტელექტუალურ ცენტრად. საბჭო, რომელიც სხვადასხვა პროფილის რამოდენიმე სპეციალისტს შედგება, დაკომპლექტებულია სათანადო დარგების კვალიფიცირებული სპეციალისტებით და, ამდენად, მაქსიმალურად კომპეტენტურია.

1978 წლიდან მოყოლებული ძეგლთა დაცვის სფეროში საქმიანობა განუზრვლად ფართოვდებოდა. თუ 1978 წელს მთავარ სამმართველოს 2,15 მილ. მანეთის მოცულობა ჰქონდა, 1990 წელს 9,4 მილ. მანეთს მიაღწია. ეს იყო დაფინანსების უმაღლესი დონე, ვინაიდან 1991-1992 წლებში რესპუბლიკაში ეკონომიკის დაცემა, ბუნებრივია, ძეგლთა

მოელა-პატრონობასაც შეეხო და 1991 წელს მოცულობამ 5,15 მილ. მანეთი, ხოლო 1992 წელს მხოლოდ 3,1 მილ. მანეთი შეადგინა. (მონაცემები აღებულია 1984 წლის ფასებში).

ფინანსირების ამგვარმა შემცირებამ, ბუნებრივია, სამუშაოთა მოცულობის შემცირებაც გამოიწვია. 1990 წელს მუშაობა ერთდროულად 203 ძეგლზე მიმდინარეობდა, 1991 წელს 172-ზე, ხოლო 1992 წელს – 150 ძეგლზე. 1990 წელს დამთავრდა 50 ძეგლის რესტავრაცია, 1991 წელს მხოლოდ 32-ისა, 1992 წელს კი 39 ძეგლის რესტავრაცია იყო დაგეგმილი.

იმისათვის, რომ 1993 წელს ფინანსირება 1990 წლის დონეზე შეეინარჩუნნოთ, საჭიროა მთავარ სამმართველოს გამოეყო (დღევანდელი ფასების მიხედვით) დაახლოებით 750,0 მლნ. მანეთი. ამასთან, საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი გაძლიერება. სათანადო სატრანსპორტო საშუალებათა და საწყობის ნაკლებობა დიდ სირთულეებს უქმნის რესტავრატორებს, ვინაიდან ძეგლთა უდიდესი ნაწილი ძნელად მისადგომ, შორეულ რეგიონებშია მიმოფანტული და უტრანსპორტოდ, ფაქტობრივად, შეუძლებელია მათთან მისვლა.

შექმნილმა მდგომარეობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ძეგლთა მოელა-პატრონობის საქმიანობაში უნდა მოხდეს პრიორიტეტების გადანაწილება: საჭიროა ძეგლთა პასპორტიზაციის და სამეცნიერო-საფიქსაციო სამუშაოთა მოცულობის მკვეთრი გაზრდა საპროექტო სამუშაოების ხარჯზე, ვინაიდან მთავარ სამმართველოს, დაახლოებით 300-მდე განუხორციელებელი პროექტი დაუგროვდა, რაც, თუ სარესტავრაციო სამუშაოების დღევანდელი ტემპით ვიმსჯელებთ, მრავალი წლით უზრუნველყოფს ჩვენს მოღვაწეობას. რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნება გადაუდებელი და აუცილებელი საპროექტო სამუშაო, მა-

გრამ მათი მოცულობა ბევრად შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ ძველთა საფიქსაციო სისტემატური საქმიანობა ჩვენში ფაქტობრივად არ არსებობს. მისი აუცილებლობა კი კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა იმ უბედურებამ, რაც 1991 წლის მიწისძვრამ დაგვატეხა თავს: რომ არა ის გრაფიკული და ფოტომასალა, რაც სახელმწიფოდ, შემოგვრჩა, სამუდამოდ დაიღუპებოდა ქართული კულტურის თვალსაჩინო ნიმუში – ზემო კრიხის ეკლესია, ბრწყინვალედ მოხატული ეს შესანიშნავი ნაგებობა.

დროს თავისი მიაქვს და ადრე თუ გვიან თვით პირამიდებაც კი ბარზანებად გადაიქცევიან. საჭიროა კულტურის ყველა ძეგლი, კულტურული ფასეულობის ყველა ნიმუში იყოს დაფიქსირებული, ხოლო მასალა – საიმედოდ შენახული მომავალი თაობებისათვის.

ამავე დროს პრობლემად გადაიქცა წლების მანძილზე მოპოვებული უმდიდრესი ფოტომასალის შენარჩუნება. 30 ათასზე მეტი მაღალი ხარისხის ფოტოსლაიდი, რომელიც სამმართველოს ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის სპეციალურ არქივში ინახება, განუწყვეტლივ ყურადღებას და ყოველ 10-12 წელიწადში სრულ განახლებას მოითხოვს. ეს კი მყარ ვალუტასთან არის დაკავშირებული. სხვაგვარად საჭირო ფოტოფირების და ქიმიკალების შექმნა შეუძლებელია. ამ სიტუაციიდან გამოსავალი შემდეგნაირად გვესახება: საჭიროა ამ მასალის ტიპოგრაფიული ხერხით გამოცემა, თუნდაც ფოტოალბომების სახით, რაც საშუალებას მოგვცემს საიმედოდ დავიცვათ იგი შთამომავლობისათვის და ამავე დროს გავაცნოთ მსოფლიოს.

სადღეისოდ, საქართველოს მხოლოდ 55 რაიონია პასპორტიზებული. სამუშაო კი ბევრია დარჩენილი. ვასაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ ქალაქებში, სადაც დაახლოებით 3 ათასამდე არქიტექტურული ძეგლი აღირიცხება.



ჩვენ კი, ჩვენი საშუალებებით, ყოველწლიურად ქალაქებში მხოლოდ ათამდე ძველის პასპორტიზებას ვახერხებთ. გაზრდილი ფოტოგრაფიული მეთოდის დანერგვაში ჩანს. ამ მეთოდის დანერგვას კი ძვირადღირებული აპარატურა ესაჭიროება, რომელიც ჩვენ არ გავაჩნია.

უფულობასთან არის დაკავშირებული ისეთი აუცილებელი საქმეც, როგორცია უცხოეთში ჩვენი სპეციალისტების გაგზავნა სტაჟირებაზე ან სამეცნიერო კონფერენციებზე. დღეს, როდესაც საქართველო იუნესკოს წევრი გახდა, ჩამოყალიბდა „იუნესკოს“ და „იკომოსის“ ეროვნული კომიტეტები, გაჩნდა ძველთა დაცვის საერთაშორისო პროცესებში აქტიური მონაწილეობის პერსპექტივა, ამას წინ მხოლოდ მატერიალური სახსრების უქონლობა ელობება. ამავე დროს, ამ მიმართულებით უკვე იდგმება გარკვეული ნაბიჯები. ჩვენი სამმართველო ამზადებს მასალას, იუნესკოში საერთაშორისო მნიშვნელობის ძველთა სიაში ქართული ისტორიისა და კულტურის კომპლექსური ძეგლების – ქალაქი-მუზეუმი მცხეთა და ზემო სვანეთის შესატანად.

ვიძელოვნებთ, რომ იუნესკოსა და იკომოსის ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული კომიტეტები მომავალში თვალსაჩინო დახმარებას გაგვიწყვენ კულტურულ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის მსოფლიო პროცესებში აქტიურად მონაწილეობის საქმეში.

გარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიღარიბისა, ახალმა დრომ ახალი პრობლემები გააჩინა. ამ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საეკლესიო ნაგებობათა აღდგენილი ფუნქციისა და ძველის ინტერესების შეთავსება. მოქმედი ეკლესიისა და ეკლესიის შენობის ძველის სტატუსის ურთიერთშეთავსების ტრადიცია საქართველოში არ არსებობს. როდესაც ჩვენში გაჩნდა ძველის მეცნიერული მცნება და ჩამოყალიბდა ძველთა დაცვის მეტ-

ნაკლებად სისტემური სამსახურით და ეკლესიო ცხოვრება აკრძალული იქნა ათეიზმი სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენდა. ამიტომ, ფუნქციონირება ვულ საეკლესიო ნაგებობებს მხოლოდ ძველთა სტატუსი შემორჩათ და მათ მოემუღელა და განმგებლად მხოლოდ ძველთა დაცვის სამსახური გვევლინებოდა.

დღეს, როდესაც ვითარება დიამეტრალურად შეიცვალა და ეკლესია თავის შენობა-ნაგებობებს კვლავ დაეპატრონა, საჭირო გახდა ამ ძეგლების იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომელიც მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალებას მოგვცემს. ამ გარემოებამ წარმოშვა ერთგვარი საკონფლიქტო სიტუაციები ძველის ინტერესების სკრუპულოზურ დაცვასა და ნაგებობის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას შორის. რა თქმა უნდა, პრობლემა რთულია, თუმცა გადაუჭრელი აქ არაფერია. საჭიროა სათანადო საკანონმდებლო აქტების შემუშავება 1990 წლის იმ კანონზე დამატებით, რომლის ძალაშიც ყველა საეკლესიო ნაგებობა საპატრიარქოს გამგებლობაში დაბრუნდა, და, რაც მთავარია, ყველა ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია დანიტერესებული მხარეებს პრობლემებისადმი კეთილგონიერული, მამულისეული მიდგომა ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე პრობლემაც, რომელიც კერძო ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან და კერძო პირებისა თუ კოლექტივების მოსალოდნელ საქველმოქმედო საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ბუნებრივია, სარესტავრაციო საქმიანობაში ასეთ მონაწილეობას წინასწარ დაუგეგმავი, არარეგულარული ხასიათი ექნება. ძველთა დაცვის სამმართველო ყოველთვის მზად არ აღმოჩნდება სათანადო თანამშრომლობისათვის და სარესტავრაციო საქმიანობაში ჩაბმის კერ-




ძო მსურველები, ფაქტობრივად, უმართავე იქნებიან. ეს კი ძველებისათვის საშიშ ფაქტორად გვევლინება. რადგან ყველას არა აქვს უფლება ხელი მოაკიდოს ასეთ სპეციფიკურ, პასუხსაგებ საქმეს. აქ საჭიროა დამცავი მექანიზმის გამოუმუშავება, რომელიც წინ აღუდგება ძველთა აღდგენისა და დაცვის საქმეში შემთხვევითი ადამიანების მონაწილეობას. აუცილებელია ცივილიზებულ სამყაროში მიღებული სპეციალისტების ლიცენზირების ინსტიტუტის შემოღება და სარესტავრაციო საქმიანობის სრული მოქცევა ძველთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს შიგნით კონტროლის ქვეშ.

70 წლის მანძილზე, როდესაც ათიზმი სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენდა, საქართველოში ეკლესიის უამრავი შენობა დაინგრა. ეს შენობები ძირითადად გვიან — XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეა აგებული და მნიშვნელოვან მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

დღეს, როდესაც სარესტავრაციო მუშაობები იკადრება, ერთბაშად გაუნდა ვეწვლას მათი აღდგენის მთხოვნილება. ბევრი მოგვმართავს დახმარებისათვის და გვთხოვს ამ ეკლესიების თავიდან აშენებას. ბუნებრივია, ჩვენ ამ საქმეს ვერ გავწვდებით და არცა გვაქვს უფლება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები ამ უმნიშვნელო ძველების აღდგენას მოვამხაროთ, როდესაც ჯერ კიდევ უამრავი, მართლაც ღირებული ძველი ელის შევლას.

ასეთ შემთხვევაში ძველთა დაცვის სამმართველო ყველას, ვინც ხელს მოაკიდებს სოფლის ეკლესიების აღდგენას, თავაზობს კონსულტაციას, პროფესიულ დახმარებას, რათა თვითნებურად არ იმოქმედონ და თავიდან იქნეს აცილებული მძიმე შეცდომები.

თვითმოქმედების აღკვეთის მიზნით, ჩვენ გამოვაქვეყნეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. ამავე მი-



ქორილი. აღმოსავლეთის ფასადი.

ფოტო ვ. ცინცაძის.



მართულებით აქტიურობს სამმართველოს ინსპექციაც, მაგრამ ჩვენი საშუალებებით ყველა კუთხე-რეგიონს ვერ ვწვდებით. საჭიროა, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გაააქტიურონ თავისი საქმიანობა ინსპექტირების ხაზით, კულტურის განყოფილებებთან შექმნან ინსპექციის ჯგუფები რომლებიც მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებული დებულებით და მისივე კონტროლით იმოქმედებენ.

უკანასკნელ დროს კიდევ ერთი ხერხიზული პრობლემა წამოიჭრა. ეს არის ქურდობისა და ყაჩაღობის ესკალაცია. იძარცვება მუზეუმები, ჩვენი ბაზები და საწყობები, გვტაცებენ ტექნიკას. ბაგრატიის ტაძრის კარიბჭეს სპილენძის მობირკეთება შემოაცალეს, სეფითის ეკლესიას ნახევარი სახურავი მოხსნეს. ეცდილობთ, რაც შეგვიძლია თავი დაეცვათ. ჩვენს მუზეუმ-ნაქრძალებს დაეუღალათ ყოველგვარი ფასეულობა დროებით, ვიდრე მდგომარეობა გამოსწორდება, შეინახონ ბანკებში ან ლომბარდებში, ვაძლიერებთ შეძლებისდაგვარად მუზეუმების დაცვას, მაგრამ ამ საქმეს ვერ ვაწვევებით თუ არ იქნა მიღებული ქმედითი ზომები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა კულტურამ 1991 წლის მიწისძვრის შედეგად. მთლიანად თუ ნაწილობრძე დაინგრა და დაზიანდა 150-მდე ძეგლი, მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანნი: ნიკორწმინდა, კრიზი, კაცხი, ხაჯანე, ბუგეული, სორი, ფარახეთი, მოდინახე, მინდაციხე, ბარაკონი და სხვა.

მთავარი სამმართველო მიწისძვრის შემდგომი, პირველი დღეებიდანვე შეუდგა გადაუდებელი სამუშაოების შესრულებას: შესწავლას, სასწრაფო გამაგრებას, პროექტირებას და რესტავირებას. სადღეისოდ, სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს სტიქიით დაზარეულ-დაზიანებულ 22 ძეგლზე, აქედან, ფაქტობრივად უკვე დამთავრე-

ბულია აკაკის სახლ-მუზეუმის ბარაკონი, ქალა.

ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ნიკორწმინდის ტაძარს. მიწისძვრამ ამ ტაძრის გუმბათი სამ ნაწილად გააპო და მისი სრული ნამოქცევის სამიშროება შექმნა. მიწისძვრის მომდევნო დღეებშივე რესპუბლიკის სახანძრო დაცვის სამსახურის დახმარებით, რომელმაც სათანადო ამწე ტექნიკა გამოგვიყვო, ლითონის საღტეებით შევკარით გუმბათის ყელი. ამ ღონისძიებამ გადაარჩინა იგი მომდევნო მიწისქვეშა ბიძკებისაგან სრულ დაზარეუვას. სადღეისოდ, ნიკორწმინდის გუმბათი უკვე საიმედოდ შეკრულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციით, მნიშვნელოვნად გასწორებულია მოხატული კამარა, რომელიც საგრძნობლად დეფორმირებული იყო და გამაგრებულია მოხატულობა გუმბათის ყელში. დეფორმირებული კამარის გასწორება ჩატარდა პნემატური ღოპკრატების საშუალებით. ამჟამად ნიკორწმინდაზე მიმდინარეობს პერანგის სარესტავრაციო სამუშაოები, რაც ძალზე ფაქიზი, რთული და შრომატევადი საქმეა და დიდ დროს მოითხოვს.

ასევე ლიკვიდირებულია კაცხის ტაძარზე მიწისძვრით გამოწვეული დაზიანებები და იქაც გვეგვიური სარესტავრაციო სამუშაოები სრულდება.

მიუხედავად სტიქიის მიერ შექმნილი პრობლემისა, 1991 წელს შესრულდა მეტად მნიშვნელოვანი საქმე — საინგილოში აღდგა სამი ეკლესია, რაშიც სამმართველოს დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივმა მოსახლეობამ. მართალია, არც ერთი ამ ნაგებობათაგანი პირველხარისხოვან ძეგლს არ წარმოადგენს, მაგრამ გავითვალისწინეთ მათი მნიშვნელობა, როგორც იქაური მოსახლეობის სულიერი დასაყრდენისა. ასევე, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მთავარი სამმართველო ძეგლების აღდგენას სამხრეთ საქართველოში: სადაც რთული დემოგრაფიული



სიტუაციაა და ქართული კულტურის ძეგლების შენარჩუნებას და აღდგენას უდიდესი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, სადღეისოდ ჩვენი მემკვიდრეობის არეალს გამოაკლდა შიდა ქართლისა და აფხაზეთის რეგიონები. სექტემბერში მთავარმა სამმართველომ გაგზავნა ექსპედიცია შიდა ქართლში, რომელმაც დაათვალიერა ძეგლები ცხინვალის ვალმა მდებარე ქართულ სოფლებში. გადაწყდა, მიუხედავად სიბრუნეებისა, ჩატარდეს აზომებითი სამუშაოები და შედგეს პროექტი სოფ. ქემურტის წმ. გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების განსახორციელებლად. ამ ეკლესიის კედლის მონაკვეთებზე (ეკლესიის 70% დანგრეულია) შემორჩენილია, როგორც ვარაუდობენ - VIII-XIII საუკუნეების მხატვრობის ფრამენტები, რაც ძველს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სადღეისოდ აზომებითი სამუშაოები უკვე შესრულებულია და იწყება სარესტავრაციო პროექტის შედგენა. მაგრამ ვერ ხერხდება იკორთის ტაძარზე მისვლა და ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი საფალალო მღვდომარეობაშია მიტოვებული უპატრონოდ.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1992 წლის შემოდგომაზე ჩატარებული ფოტოსაფიქსაციო სამუშაოები დაეით გარეჯზე. სრულად დაფიქსირდა ფოტოფირზე უდაბნოს სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობა. 218 უმაღლესი ხარისხის ფერადი სლაიდი ფასდაუდებელი მონაპოვარია ჩვენი კულტურისათვის. ეს დიდი საქმე ურთულეს პირობებში გაასრულა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ფოტოფიქსაციის ლაბორატორიამ.

1992 წლის შემოდგომაზე მთავარი სამმართველოს სისტემაში შეიქმნა საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარე ქართული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შემსწავლელი სპეცია-

ლური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ამ ექსპედიციის დანიშნულებაა ყურადღება მიაქციოს საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ ქართული კულტურის ძეგლებს და შეძლებისდაგვარად განახორციელოს მათი მოვლა-პატრონობა. ამჟამად, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, ისტორიულ ტაოკლარჯეთში მდებარე შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის მოსაწყობად. იმედია, ეს ღონისძიება წარმატებით დაგვირგვინდება.

ერთ-ერთ მთავარ და გადაუდებელ ამოცანად ისახება ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სისტემაში სამეცნიერო საქმიანობის გამოცოცხლება და გაუმჯობესება. მხედველობაში გვაქვს არა ხელოვნებათმცოდნეობის ფუნდამენტური მეცნიერება, რომელზეც ძირითადად, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი მუშაობს, არამედ ის გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც ძეგლთა მოვლა-პატრონობას ემსახურება და ხელოვნებათმცოდნეობის გარდა მრავალ სხვა დარგს მოიცავს.

მთავარი სამმართველოს მიერ წლების მანძილზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების კრიტიკული მეცნიერული შესწავლა-შეფასება, მეთოდოლოგიური საკითხების მეცნიერული ანალიზი, საინჟინრო-სამშენებლო პრობლემების კვლევა აუცილებელია საქართველოში სარესტავრაციო სამსახურის საერთაშორისო დონეზე წარმატებით ფუნქციონირებისათვის.

თუ პრაქტიკა და თეორია ერთმანეთს მჭიდროდ არ დაუკავშირდა და ურთიერთგანვითარებას ხელი არ შეუწყობს, იოლად შეიძლება ძეგლთა მოვლა-პატრონობის ურთულესი შემოქმედებითი საქმიანობა ელემენტარულ უტილიტა-



რულ – სარემონტო საქმედ გადაიქცეს. ზემოხსენებული ამოცანის ძირითად შემსრულებლად სამეცნიერო-კვლევითი სპაროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია“ გვესახება. საამისოდ მას ყველა პირობა გააჩნია. საჭიროა მხოლოდ გარკვეული საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარება და პასუხისმგებლობა სპეციალისტების მხრიდან.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოში მიმდინარეობს ძველთა მოვლა-პატრონობის სისტემის მართვის მეთოდების გაუმჯობესების გზების ძიება. 1991-1992 წლებში ამ მიზნით, მთავარ სამმართველოში ჩატარდა რამოდენიმე ორგანიზაციული ღონისძიება: ჩამოყალიბდა დამკვეთის სამმართველო, რომლის საშუალებითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარ სამმართველოს შესაძლებლობა მიეცა გააძლიეროს ზედამხედველობა შემსრულებელი სტრუქტურების საქმიანობაზე და სრული კონტროლი დაამყაროს სახელმწიფოს მიერ ძველთა დაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების მიზანდასახულად და ეფექტურად გამოყენებაზე; ჩამოყალიბდა ფერწერის სარესტავრაციო ცენტრი, რაც ამ დარგს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს და ხათანადო პირობებს ქმნის მისი შემდგომი განვითარებისათვის. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის – ფერწერული ხელოვნების უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის; შეიქმნა აგრეთვე, კომპიუტერული

ინფორმაციის განყოფილება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დაგროვება-გაცემის თანამედროვე კომპიუტერული მეთოდების გამოყენება, რაც შეუძლებლად გააადვილებს ინფორმაციასთან მუშაობას, განმატკიცებს მისი შენახვის და დაცვის იმედიანობას. შორს არ არის ის დრო როდესაც ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ჩავერთოთ რესპუბლიკისა და მომავალში, საერთაშორისო საინფორმაციო გაცვლით ქსელში. ამისათვის დღეიდანვე საჭიროა მზადება.

ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს საქმიანობისა და პრობლემათა ამ მოკლე მიმოხილვის მიზანია გააცნოს საქართველოს საზოგადოებას დარგის მუშაკთა მიერ ქართული კულტურის განვითარების საქმეში შეტანილი მოკმაძლეული წვლილი და აღუძრას სურვილი ყოველ პატრიოტს მხარში ამოუდგეს და მისაწვდომი დახმარება გაუწიოს მათ ამ უკეთილშობილეს საქმეში.

როგორც ჩანს, დღეთისშშობლის კალთა, რომელიც იფარავდა და იფარავს ქართველ ერს ისტორიის ქარცეცხლიან გზებზე, ის ნიჭია, რომლითაც იქმნებოდა და იქმნება ქართულ მიწაზე ხელოვნების მარგალიტები და ვიდრე ერს ამის უნარი არ დაუკარგავს – ის უკვდავია. უკვდავია ის მანამდეც, ვიდრე არ დაუკარგავს თავისი წინაპართა მონაპოვრის მოვლა-პატრონობის სურვილი და შესაძლებლობა.





სამშვილდის ხონი.

ორაკლი ციციშვილი

ნამალაპარი სამშვილდე

საქართველოს უძველეს ქალაქთა შორის სამშვილდე თავისი მდებარეობის, ლანდშაფტის, მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლის თუ მდიდარი ისტორიული წარსულის წყალობით, უცალობლად, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და მოწიბბლავია. ამასთანავე ეს როდია მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებით გამოწვეული გრძნობა არამედ განწყობილება, შექმნილი ამ შესას.მნავი ძეგლის მრავალი წლის მანძილზე ურთიერთობის შედეგად.

სამშვილდეს დიდი ხნის ისტორია აქვს. მის მიდამოებში მდებარე გამოქვაბულები, მენპირები, ნამოსახლარები და მათთან ერცელი სამაროვნები, არქეოლოგიური კვლევის შედეგებით მიეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარსა და III ათასწლეულის შემთხვევათი როდია, რომ სამშვილდის ციხის აშენებას მატიანე ქართლოსს მიაწერს — „ქართლოს ადაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშვილდე და მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაოდ და ქალაქად“. იხსენიება სამშვილდე ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ვითარსი ლაშქრობასთან და-

კავშირებით. ქართლის ცხოვრება გვამცნობს, რომ V ს. ვახტანგ გორგასალის დედამ დედოფალმა საგდუხტმა „აღაშენა სიონი სამშვილდისა“. VII-IX სს. სამშვილდის მფლობელებად ყოფილან „ნათესავით პიტიახშნი“. ძველ პიტიახშთა გვარიშვილნი. X-XIII სს. ქალაქმა გამოიცვალა რამოდენიმე მფლობელი — XI ს. ბაგრატ IV ქალაქი გაანთავისუფლა მაგრამ მეფეთა ხელში იგი დიდხანს არ დარჩენილა. XI ს. დამლევისათვის გიორგი II — სამშვილდე შერიგებისა და პატიების ნიშნად უბოძა საპატრონოდ კლდეკარის ერისთავს ივანე ლიპარტიის-ძეს. არ გასულა დიდი ხანი და ქალაქი თურქ-სელჯუკებმა აიღეს. 1110 წელს დავით აღმაშენებელმა კვლავ შემოიერთა სამშვილდე. მაგრამ 1123 წელს იგი უწყალობა ბრძოლებში გამარჯვებულ ივანე ორბელს. ნახევარი საუკუნის მანძილზე სამშვილდე ორბელიანთა ხელში იმყოფებოდა, შემდეგ კი მათი აჯანყებისა და დამარცხებისას, ისევ მეფის ქალაქად იქცა.

XIII ს. მონღოლებმა „ჯერ ძლიერი და მაღალი ციხე სამშვილდე აიღეს და შემდეგ თბილისსაც მოადგნენ“. 1440 წ.



სამშვილდეს გარს შემოერთვა ჯეჰან-შაჰი. მან მოტყუებითა და მუქარით მისი აღება მოახერხა — სამშვილდის კარებწინ 1664 კაცის მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა. 9400 ტყვე წაიყვანა, ვველა ეკლესია მთლიანად დაანგრია, ქვეყანა აოხრებული და აკლებული დატოვა“.


1747 წ. დიდი ბრძოლა ატყდა სამშვილდეში ერეკელსა და ბატონიშვილ აბდულ-ბეგ იასეს ძეს შორის, რომელმაც თეიმურაზსა და ერეკლეს ქართლის წართმევა მოუწოდოდა.

სამშვილდე მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 50-იოდე კილომეტრის დაშორებით, თეთრიწყაროს მახლობლად. ქალაქი გაშენებულია მდინარეების ჭიჭიკაისა და ზრამის შესართავთან მდებარე მაღალ კონცხზე. ჩრდილოეთიდან ქალაქს ერტყმის ჭიჭიკაის ხევი, რომლის ძირში საუკუნოვან კაკლეს ხეებსა და უშველებელ ღოღებს შორის გზას იკაფავს ანკარა მდინარე. სამხრეთიდან ღრმა ხევის ძირას ცისფერ ზოლად ივრისება ზრამი (ქცია). შებოჭილი ციციბო კლდეებით, რომელზედაც უცნაურად არის მოკიდებული დიდი ხეები. ამგვარად ღრმა ხეები სამი მხრიდან ციხე ქალაქს ბუნებრივ სიმაგრედ ხდიან, ხოლო დასავლეთიდან დაცულია ხევიდან-ხევიამდე გადაჭიმული გალავნით. ქალაქის საერთო სიგრძე 2,5 კმ-ია, სიგანე საშუალოდ 400 მ.

ქალაქი იყოფა სამ ნაწილად — აღმოსავლეთით, კონცხის ბოლოს, იმყოფება შიდაციხე, შუა ნაწილი კედლებით შემოზღუდული ციხეა, ხოლო დასავლეთით საკუთრივ ქალაქი. ქალაქის ამ ნაწილს გალავანი არ აქონია. აქ ცხოვრობდა „ქალაქის ერი“ და „საკავრო ერი“, ჩანს რამოდენიმე სახლის ნანგრევი, ქვის ღობეებით გამოყოფილი საკარმიდამო ნაკეთები, ვრცელი კაკლიანის უკან კი სასაფლაო ბაღაზით დაფარული საფლავის ქვებით — შწყემსების მხედრების თუ ხელოსანთა გამოსახულებებით. აქვე გზის მახლობლად დგას

ოღესლაც თლილი ქვით შემოზღუდული, წმ. გიორგის სახელობის მცირე და რბაზული ეკლესია. ამჟამად მას მთლიანად აქვს შემოცილილი ქვის პერანგი, აღარ არის წარწერაც, რომელიც 80 — წლის წინათ ამოიკითხა ექვთიმე თავაიშვილმა. ამ წარწერის მიხედვით ეკლესია აუგია ვახტანგ V თანამეცხედრის გამზრდელს ზილიხანს 1672 წელს. ეს პატარა ეკლესია აცოცხლებს ამაღლებულ სახეს ქართველი ქალის ზილიხანისა, რომლის სიცოცხლის მანძილზე დაგროვილი სახსრები საკმარისი არ ყოფილა ეკლესიის ასაგებად და თავისი გაზრდილის დახმარება — „ხელის პეროა“ დასჭირვებია.

ქალაქის შუა ნაწილი გამოყოფილია გალავნით, რომლის ალაყაფის კარს უკან იწყება სამი მეტრის სიგანის ქვის ფილებით მოკირწყლული მთავარი ქუჩა. აქედან მიმართებიან ვიწრო ჩიხები, მათ შორის გამოიყოფა საკარმიდამო ნაკეთები. აქ ყველგან არის შენობათა კვალი; ლოდების გროვა და ზედ წურძნის ვაზი, ველური ლეღვი, ტყემალი, დახლართული ფეხები — შლიან საუკუნეებს. ეს ნაშთები აღადგენენ შუა საუკუნეების პატარა, მაგრამ ძლიერი ქალაქის სურათს, სადაც ცხოვრობდნენ ფეოდალები, მხედართმთავრები, ციხისთავი და მოხელეები. აქვე შემორჩენილია რამდენიმე ორსართულიანი სასახლის ნანგრევი. პირველი სართული ალბათ მარანს და სამეურნეო საწყობს ეთმობოდა, ხოლო მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახებია კედლის ნიშებითა და ბუხრებით. გალავნის მახლობლად დგას მდარე ქვით ნაგები ღვთისმშობლის სახ. მიძინების ეკლესია, რომლის ინტერიერში ხანთლების აღისაგან გაჭვარტლული დიდი, შავი მენპირია, საფიქრებელია ძვ. წ. II ათასწლეულიდან. მასზე გამოკვეთილია ჯვარი და სომხური წარწერა — „სუმბათ ერისთავთ-ერისთავი“. ეს წარწერა XI საუკუნით თარიღდება, ხოლო ეკლესია შემდგომ პერიოდშია აგებული.



- 1 — ხედი შ. ზეზუნაზე
- 2 — შ. ბორბორის ეკლესია
- 3 — სასახლურ-მეფურის სასახლე
- 4 — ხალხის ტაძრისა და ეკლესია
- 5 — სამეფურისა და მეფისა ეკლესია
- 6 — მანძილისა ეკლესია მთრანისა
- 7 — მანძილისა ეკლესია
- 8 — ეკლესიისა სასახლურისა
- 9 — მონასტრისა ეკლესია
- 10 — მონასტრისა ტაძრისა
- 11 — ხედი
- 12 — სასახლე
- 13 — სამეფურისა ეკლესიისა
- 14 — სამეფურისა ეკლესია
- 15 — ეკლესიისა ეკლესია
- 16 — მონასტრისა ეკლესია

სამშვილდე. სიტუაციური გეგმა.

მდ. ხრამის მხარეს დგას კიდევ ერთი ეკლესია — „თოკენიდა“, სავარაუდოა XII-XIII სს. აქვე შეიმჩნევა ერთმანეთზე დალაგებული სამი დიდი ლოდი, რომლებიც ეყრდნობიან მეოთხე ლოდს — საფუძველს. ეს ტეტრალიტია, ასევე უძველესი საუკუნეებიდან. აქვე ბაღაზებში ჩანს ბორბლები და საწნახლის ლარიანი ქვები — სოფლის მეურნეობის განვითარების უტყუარი საფუძველი.

შიდა ციხე გამოყოფილია მძლავრი გალავნით. შემორჩენილია მისი ძველი, 6 მეტრის სისქის დასავლეთის ნაწილი. როგორც ჩანს, ციხე დროთა ვითარებაში მატულობდა სიმაღლეში და 10-12 მეტრს მიაღწია. ბოლო ფენები ქმნიან გალავნის საბრძოლო ნაწილის განიერ ტალანს, სარბენ ბილიკებს, საიდანაც შეიძლებოდა შუბისა თუ ისრის ტყორცნა. ცნობილია, რომ IX-X სს. შემდეგ სამშვილდე მრავალჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. გვიანდელ პერიოდში შეკეთებისას მის კვარდებზე მიუშენებიათ დიდი მრგვალი ბურ-

ჯები. შესასვლელის თავზე გაჩნდა სათოფურები და ხალოდეები. ვაგრძელდა კედლები ზეცებისა და მთების კალთების გასწვრივ. ციხის შიგნით ააგეს ორსართულიანი სასახლეები და აგურის ოთხსათავისიანი აბანო ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათით. ამასთან, გვაგონდება პაპუნა ორბელიანის თხრობა აბდულა ბეგის ვერაგულ მოქმედებაზე 1747 წელს: „მან ააშენა სამშვილდის ორი დიდი ბურჯი, ამიერ და იმიერ, გააკეთა აუზი დიდი წყლისა სადგურად და დაჭირა ორი წლისა თადარიგი ყოვლიფერით. ვინა თვისისა სიტყვის მორჩილი იყო, გლეხი ყოველივე აყარა და ამ ორს ციხეში (სამშვილდე და ბირთვისი) დააყენა“. გამუდმებული ბრძოლების პირობებში, საჭირო გახდა არა მარტო ციხეების გამაგრება არამედ სასახლეებისა და დამხმარე ნაგებობების ციხის გალავნის შიგნით მოქცევა. ციხის ტერიტორიაზე — აღმოსავლეთით, შემორჩენილია ხსენებული, წყლის ორი უზარმაზარი აუზი, გათვალისწინებული ხანგრძლივი აღ-



ვის შემთხვევაში, შიდა ციხის ტერიტორიაზე კი დგას სამი მოზრდილი ეკლესია.

სამშვილდის არსებობას, ჯერ კიდევ წარმართულ დროს, ისიც მოწმობს, რომ აქ დედოფალ საგდუბტს აუგია პირველი ეკლესია. ეს ეკლესია დღეს აღარ არსებობს. მის ადგილას 759-777 წლებში ერისთავმა ვარაზბაკურმა და შემდეგ ერისთავმა იოვანემ ააგეს სამშვილდის სიონი. ეს ოდესღაც დიდებული გუმბათიანი ტაძარი თემურლენგისა და ოსმალთა თარეშის შედეგად ამჟამად მხოლოდ ცხოველსახულ ნანგრევს წარმოადგენს. ეკლესია, არამართო კომპოზიციით, არამედ დეტალებშიაც ემსგავსება წრომის ტაძარს, თუმცა სამშვილდის ხეროთმოძღვარმა განავითარა ცნობილი თემა ახალი მხატვრული გემოვნების შესაბამისად, რამდენადმე შეცვალა ფასადების დამუშავების სისტემა — გარდა შუა მალაღი ნიშებისა შექმნა დამატებითი დაბალი ნიშები და მიაღწია უფრო რბილ, პარმონიულ გადასვლას. კედლების გასაოცარი სუფთა წყობა, მკვეთრი, ზუსტი პროფილები, შესანიშნავი პროპორციები, თავშეკავებული დეკორი და ქვის თბილი, ყვითელი ფერი — ყოველივე ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. გავიხსენოთ ძველის მშენებლობის ეთარებაც — არაბთა ბატონობის შედეგად აღზრებულ ქვეყანაში. სარწმუნოებრივი დევნის ხანაში, ქართული ხალხი აღსაყვამული-სადმი შეუპოვარი რწმენით, ქედს არ იხრის მტრის წინაშე და აშენებს გრანდიოზულ საკულტო ნაგებობას.


სიონის დასავლეთით დგას სამნავიანი ბაზილიკა — აგებული მუქი ბაზალტის კვადრებით. მემკვიდრეობაა გაღმობილი ეკლესია თავისი ხასიათით, არქიტექტურითა და დეკორატიული დეტალების მიხედვით X-XI სს. მიეკუთვნება.

შესაძებ ეკლესია დგას სიონის აღმოსავლეთით — 60-ოდე მეტრის მან-

ძილზე. ეს არის დარბაზული ტიპის ნაგებობა შვერილი აბსიდით და შემადგენელი კვადრებით, მაგრამ შიგნით აქა-იქ გადარჩენილი ნაღესობაზე ჯერ კიდევ ჩანს მშვენიერი ფრესკული ფერწერის ფრაგმენტები. კარის თაღში ფერწერაზე შემორჩენილია წარწერის მიხედვით ეკლესია აგებულია დავით აღმაშენებლის მეფობაში — XII საუკუნის დასაწყისში.

ნაქალაქარი სამშვილდე უდაოდ წარმოადგენს ქართული კულტურისა და ისტორიის უნიკალურ კომპლექსს და აუცილებელია მისი დაცვა და შთამომავლობისათვის შენახვა. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ 1979 წელს კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. ჩუბინაშვილი, პროფესორი ი. ციციშვილი, რაიონული და სამეფო ორგანიზაციის წარმომადგენლები, შეისწავლა სამშვილდის ნაქალაქარის ნაგებობები და დასაბამათი დაცვის ზოგადი პროგრამა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად რთული პირობებისა, სამშვილდის კომპლექსზე უკვე შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი და სამრეკონსტრუქციო სამუშაოები. დაწყებულია გაწმენდითი და სარეკონსტრუქციო ღონისძიებები. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი საშუალებას მოგვცემს, რათა წარმატებით დასრულდეს ამ კომპლექსის რესტავრაცია-კონსერვაცია, ხოლო ისტორიისა და კულტურის ძველთა დაცვის საზოგადოება მიზნად ისახავს მის მოვლას და სამაგალითო სანახაობით ძველად გადააქცევას.



ღანკალის ორნავიანი კელსია

20374

ქართული საკულტო არქიტექტურის ისტორიაში ისეთ ისტორიულ-კულტურულ რეგიონს როგორც ჯავახეთი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საინტერესოა, რომ ვარდა თავისი გამორჩეული თვითმყოფადი სახისა, იგი არის როგორც ეპოქალური, ასევე მთლიანი საქართველოს, განსაკუთრებით, კი მისი ცენტრის არქიტექტურის სტილისტური ნიშნების აშკარა მატარებელი, ხოვ შემთხვევაში წინამორბედიც. ქრონოლოგიურად ხუროთმოძღვრების აყვავება ამ ისტორიულ რეგიონში ძირითადად X-XIII საუკუნეებით შემოიფარგლება. თუმცა ამ პერიოდს წინ უსწრებდა ძეგლებით უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მოსამზადებელი პერიოდა (VIII-IX სს.), რომელმაც შესანიშნავი საფუძველი შეუქმნა ამ რეგიონის ხუროთმოძღვრების აღზევებას.

როგორც ცნობილია, ჯავახეთი იყო პირველთაგანი საბო კიდურა რეგიონისა (ჯავახეთი, კოლა, არტანის) და მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქართლთანაც. ჯერ კიდევ მეფე არშაკის დროს იგი უპირველესად იყო შემოშტაკიცებული ქართლის სამეფოს მიერ და ამ „ქვეყანაში ქართლის თანდათანობით შეღწევა-ათვისებამ განაპირობა ამ მხარის „ზემო ქართლად“ ქცევა“¹.

ამ ისტორიულმა ვითარებამ წარმოქმნა ჯავახეთის არქიტექტურის მკვეთრი სტილისტური სახეც და გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთებში მისი პრიორიტეტიც სხვა რეგიონებთან შედარებით.

მრავალ ძეგლთაგან, რომლითაც მდიდარია ეს მხარე, ბევრია მხატვრულად გამორჩეული, იმ დონიერი შემოქმედებითი მარღვის მატარებელი, რომლითაც განსხვავდება ქართული შუასაუკუნეების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამიტომაც არის, რომ ჯავახეთის პლა-

ტოზე, რომელმაც მრავალი საკულტო ნაგებობა შემოგვიანახა, ვხედებით საქართველოში გავრცელებულ სხვადასხვა არქიტექტურულ ტიპს, მათ შორის ისეთსაც, როგორცაა სადღეისოდ ნაკლებად ცნობილი და იშვიათი ტიპი ორნავიანი ეკლესიისა.

მოძიებული მასალა გვიჩვენებს, რომ ორნავიანი ეკლესია განსაკუთრებითაა გავრცელებული ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალ პერიოდში (VIII-IX სს.). სადღეისოდ გამოვლენილი ძეგლებით დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ამ ტიპის ეკლესიათა უდიდესი ნაწილი, სწორედ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თავსდება. თუ ადრეული ნიმუშები აღმოსავლეთ საქართველოს არ სცილდება (შაღურაი - VI ს; ქიჩალი - VI ს., ბაიხი - VI ს., ლაფანანთკარი - VI ს.), VIII საუკუნიდან მათი გეოგრაფიული დიაპაზონი ფართოვდება და მოიცავს სამხრეთ (ღართა - IX ს. ობოლეთი - X ს., ზეელი - X ს., დანკალი - X ს., ქილდა X ს., ზედა ვარძია - X-XII სს.) და დასავლეთ (ტაბაკინი - VIII ს., ვანის წმ. გიორგის ეკლესია, - X ს.) საქართველოსაც.

საგულისხმოა, რომ ორნავიანი სტრუქტურა შედარებით უფრო ორგანული აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვის. ეს მოვლენა ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ ინტენსიური მშენებლობა ამ რეგიონში სწორედ გარდამავალ პერიოდში (VIII-IX სს.) მიმდინარეობს, ე. ი. პერიოდში, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული ცხოველბატულობით და მრავალფეროვნებით, რაც თვით ამ არქიტექტურული ტიპის არსსაც ეპასუხება. ასიმეტრიულობა, რომელიც სიერცობრივი კომპოზიციის ძირითად ბირთვს წარმოადგენს, მისი გვემარების საფუძველია,

2. ჭებლის მეგობარი № 1, 1993 წ.

თავისთავად შემცველია იმ ცხოველხატულობისა, რომელიც მეტი ძალითა და თავისუფლებით, ვარაიციებითა და ამ ტიპის გართულება-ტრანსფორმაციით იწენს თავს VIII-X საუკუნეებში. იგი უფრო ორგანული და სახოვანი ხდება სწორედ ამ უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი პერიოდისათვის.

ჩვენი კვლევის ობიექტს დანკალის ორნავეიანი ეკლესია წარმოადგენს. ეკლესია აშენებულია ახალქალაქის პლატოზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეში, სოფელ გოგაშენიდან 2-3 კმ.-ის მოშორებით, ქილიდან კუმურდოში მიმავალ გზაზე, ყოფილ ნასახლარ დანკალის ტერიტორიაზე, ამჟამად კი სრულიად უკატრიელ და მოშიშვლებულ ადგილზე. ეკლესია სამი მხრიდან (აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი) გარშემორტყმულია ჭანგმოკიდებული ქვებით მოწყობილი მთებით, ხოლო ჩრდილოეთით ზეგანის კედეს არის მიახლოებული.


ამ ტერიტორიის ბორცვული ზედაპირი და აქა-იქ გაფანტული ქვით ამოყვანილი მრგვალი გეგმარების მქონე სამურნეო დანიშნულების სათავსები მანიშნებელია ნასახლარის არსებობისა. ეკლესიასთან რამოდენიმე საფლავის ქვაც არის 1940 წლის წარწერით, როგორც ჩანს, აქ 40-იან წლებში ჯერ კიდევ იყო მოსახლეობა.

ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არავითარი ცნობა დანკალის ეკლესიის შესახებ არ მოგვაპოვება. აღნიშნულია იგი დ. ბერძენიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე¹. სოფელი დანკალი ნახსენები აქვს ა. ჯავახიშვილს იქ არსებულ ადრექრისტიანულ სტელებთან დაკავშირებით². სხვა მონაცემი ამ ეკლესიის შესახებ ჩვენ არ გვაქვია.

ეკლესია დიდი ზომისაა. იმის გამო, რომ მთავარი ნაგებობა ნაწილი ჩამონგრეულია და კვერდის ნაუთან ერთად იკითხება, ერთი შეხედვით იგი და-



დანკალის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



ეკლესიის გეგმა.

მჯდარ, ტლანქ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეკლესია ნაგებია რუხი ფერის ბაზალტის ქვის შესანიშნავი წყობით. დიდი ზომის ქვის კვადრები ერთმანეთთან იდეალურად არის მორგებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, წყობაში მცირე ჩანართების ჩასმა სამკუთხედებისა და კვადრატების სახით. ტონალობა რუხია. ამ რუხი ფერის წყობაში ღვინისფერი ქვაც არის გამოყენებული. რამდენიმე ასეთი ქვაა ჩართული აღმოსავლეთის ფასადზე, ხოლო ერთი მცირე ზომისა,

დასავლეთ ფასადზე, შესასვლელის არქიტრაფთან.

უკაცრეელი ადგილი, ეკლესიის რუხი შეფერილობა, ყოველგვარ დეკორს მოკლებული ფასადები, კარგად თლილი ქვის რეგულარული, ლამაზი წყობა ძეგლს მკაცრ, ასკეტურ ხასიათს ანიჭებს.

მსგავსად სხვა ორნაქიანი ეკლესიებისა, დანკალის ეკლესიაც გეგმით წარმოადგენს ორ, არატოლფასოვან ნავისაგან შემდგარ კომპოზიციას. ნეთავან მთავარი, ძალიან მაღალი და განიერია სამხრეთისა კი ვიწრო და დაბალი. ნეთა გასაყარზე რთული პროფილის მქონე ბურჯია, რომლიდანაც გადაყვანილია ნეთა გამყოფი, მთავარი ნავის კედლისა და საბჯენი თალები. საპირისპირო ჩრდილოეთ მხარეს ერთსაფეხუროვანი პილასტრია. სამხრეთ ნაეში კამარის საბჯენი თაღი სადა, ერთსაფეხუროვან პილასტრებს ეყრდნობა. ნეთა გამყოფი ორთაღედიდან აღმოსავლეთისა უფრო ვიწროა, კვერცხისებური მოყვანილობისა, ხოლო დასავლეთის ძალი უფრო განიერია და გაშლილი მოხაზულობისაა.

ეკლესიის მთავარი ნაეი ძალიან გა-

ნერი და მაღალი უნდა ყოფილიყო (ამჟამად კამარა, კონქი და კედლის ზედა ნაწილები ჩამოქცეულია); აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული, ღრმა აბსიდით. საკუროთხვეულში მოხდენილი, მაღალი და ვიწრო სარკმელია გაჭრილი. ქვედა რეგისტრში წყობა რეგულარულია, თუმცა გამოყენებულია ადგილობრივი ნატეხი ქვაც. თლილი ბაზალტის ქვით მხოლოდ ზედა ნაწილებია ამოყვანილი. ინტერიერის წყობაში ალავალავ ღვინისფერი ქვაა ჩართული. შიგნიდან ეკლესია შელესილი ყოფილა. ზოგან ნაღესობის ფრაგმენტებია შემონახული.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, ორივე მთავარ ნაეშია გაჭრილი (დას. და ჩრდ. კედელში) და ცენტრალურ ღერძს აცდენილია. შესასვლელის ფორმა იდენტურია — გარედან არქიტრავი, შიგნიდან თაღი. ჩრდილოეთისა. მოქმედი, უფრო განიერია, ნახევარწრიული, დასავლეთისა კი, ამჟამად ამოქოლილი, უფრო ვიწროა და თაღიც უფრო მოხდენილი, ოდნავ კვერცხისებრი მოყვანილობისაა.

სამხრეთის ნაემა ჩვენამდე სრულა



ეკლესიის ინტერიერი.



სახით მოაღწია, აღმოსავლეთით იგი მოკლე, ძალიან მოხდენილი აბსიდით სრულდება. აბსიდის კუთხეების პილასტრი ორსართულიანია. ტრაპეზი აბსიდის კედელს ებჯინება. კამარა და კონქი თლილი ბაზალტის ქვის ლაშაში წყობით არის ამოყვანილი. სამხრეთი ნავი განათებულია ორი, საპირისპირო, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში გაჭრილი პატარა სარკმლებით.

სამხრეთის ნავი, მთავართან შეფარდებით, ვიწრო და დაბალია, თუმცა თავად ამ ნავში მოხედრისას გოცებს ამ მიკროსივრცის დახვეწილობა და საოცარი მოხდენილობა. სივიწროვის მიუხედავად ერთიან შთაბეჭდილებას ტოვებს და ხავსებით დამოუკიდებლად აღიქმება. იგი გარკვეულ დიფერენცირებულ სივრცობრივ ერთეულს ქმნის.

ამგვარად, ძველის ტექნიკური მდგომარეობა მეტიც თქმის საშუალებას სამხრეთ ნავზე იძლევა.

თვალში საცემია კონტრასტი ამ ორი ნავის პროპორციებში. მთავარი ნავის ხალვათი, ვრცელი, ძალზე განიერი და გაშლილი სივრცე იცვლება ჩრდილოეთით მოხდენილი, კომპაქტური სივრცობრივი მოცულობით. მაგრამ ნავეს აერთიანებს ერთიანი მიდგომა. ეს არის დეკორის სრული უგულვებლყოფა და მკვეთრად გამოვლენილი ძალაფანი კონსტრუქციები, ზაზგასმა ყველა წამყვანი არქიტექტურული ფორმისა: სარკმლების მკვეთრი მოხაზულობა, მძლავრი ნეთა გამყოფი ბურჯი მისგან გადაყვანილი ორმაგი თაღებით, ამოზიდული პილასტრები. ასეთი მკაფიო არქიტექტონიკურობა ძველს მონუმენტალობის შთაბეჭდილებას უქმნის.

ეკლესიის კომპოზიციის გარჩევასას საგრძნობია მსგავსება ქილდის ეკლესიასთან (X ს.), რაც უვინდება გვერდის ნავის ორნხრივ განათებაში. გვერდის ნავის იზოლაციის თვალსაზრისით მას კიდევ ერთი პარალელი უწინდება საკვირიკეს ეკლესიის სახით (X ს-ის დასაწყისი), რაც დროის მხრივ გარკვეულად

ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთს უფლებს ამ ეკლესიებს. თუმცა სწორედ ამ განსხვავებაც, რომელიც არა მარტო დანკალის ხუროთმოძღვრის მაღალი პროფესიონალიზმისა და მაღალმატვრული დირსებების მანიშნებელია, არამედ დროის თვალსაზრისითაც, შესაძლებელია, ძალიან მცირე, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამაზე მეტყველებს, პირველ რიგში, დანკალის ეკლესიის იდეალური წყობა, შესანიშნავი თლილი ქვით ამოყვანილი ფასადები — ზედმიწევნით ზუსტად შევსებული უმცირესი ჩანართებით. წყობის ასეთი ხასიათი აახლოებს ძველს X საუკუნის მეორე ნახევრის ისეთ ნიმუშებთან, როგორც არის: ზაქი (ზევანი)⁴, ურაველის აგარა⁵, წყაროსთავი — X საუკუნის I ნახევარი⁶.

იმავე თარიღის მანიშნებელია ორხართულიანი პილასტრის გამოყენება სამხრეთი ნავის საკუროთხველის კუთხეში. ამის ანალოგები ჩვენ გვხვდება ვანათში⁷ X ს., სოლომონკალაში XI ს-ის I ნახევარი (დასავლეთ მკლავში)⁸, ოთხთა ეკლესიასა X ს-ის II ნახევარი⁹, და სხვა.

უადრესად საინტერესოდ არის გამოყენებული ფერი ქართულ ხუროთმოძღვრების გარდამავალ ხანაში. რაც შემთხვევაში მას დეკორაციული ნახატის სახე აქვს მოცემული (ფასადთა შემკვრელი, წითელი ფერის ქვის ზოლით შექმნილი ხალტე ბრეტაში (X ს.). ასევე ფერადი ქვებისაგან მიღებული ჯვრისა და ხარკმლის საპირის გამოსახულება ფავნისში (X ს.), სხვადასხვა ფერის მცირე ქვის ჩანართებით შექმნილი ნახატი ნაისაში (X ს.) და სხვა). ამავე პერიოდში ცხოველხატული, გაფანტული ფერადოვანი ლაქები ჩნდება ინტერიერისა და ექსტერიერის სხვადასხვა ადგილას. ფრონტონის ფარგლებში — კუმურდოსა და წირქოლში, მოზრდილი ფართობია შეფერილი ხარკმლის თავზე ვერეს ბაზილიკასა და ტაოურ ძველებში. დანკალშიც, აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე ღვინისფერი ქვების რამდე-



ნიმე რიგია ჩასმული. ყველა ამ შემთხვევაში „ფერადოვანი აქცენტი დამოუკიდებლობას ჩემულობს. ხდება არა ტექტონიკის ხაზგასმა, არამედ კედლის ზედაპირზე ჩნდება მისი საკუთარი ძალით დამანაწევრებელი ლაქა“¹⁰ ან ნახატი, რაც აშკარად ამ პერიოდში ფერის მნიშვნელობის მომატებაზე მეტყველებს.

დანკალში ფერადოვანი ლაქის თავისთავადობა, დამოუკიდებლობა სიბრტყის მნიშვნელობის ზრდა, მას აახლოვებს X საუკუნის ძეგლებს (ფია, კუმურდო, ვერეს ბაზილიკა, ტაბაწყურის წითელი საყდარი, ტაოური ძეგლები და სხვა).

დასასრულ, ორნავიან ეკლესიათა განვითარების გზაზე მისი კომპოზიციის ევოლუციაში გარკვეული ადგილი პასტოფორიუმის გამოყოფას ეთმობა. უპასტოფორიუმო ორნავიანი ეკლესიების ნიმუშები: ქილდა, ობოლეთი, დვირი, საკვირიკე, ვანი, ყველა უგამონაკლისოდ X საუკუნეს მიეკუთვნება. ამავე საუკუნეში პოვებს ანალოგიებს მცირე ნაეის განათება ორ მოპირდაპირე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი ხარკმლებით (ქილდა და საკვირიკე).

იმაზე, რომ დანკალის თარიღი X ს. შუა ხანისკენ იწევეს, მეტყველებს ნავთა გამოყოფი ბურჯის რთული პროფილი, რომელიც ასევე ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთისათვის არის დამახასიათებელი (ოთხთა ეკლესია X ს.¹¹, პარხალი — 973 წ.¹² და სხვა).

დანკალის ეკლესიის გვერდის ნაეის დამოკიდებულობა და ერთიანობა მსგავსებას პოულობს იმავე დროის (X ს-ის შუა ხანა) დვირის ორნავიან ეკლესიის ხსენებულ მოცულობაში. თუმცა რიგ შემთხვევაში ამ პერიოდის ორნავიან ძეგლებში გვერდის ნავს თავისი მნიშვნელობა ეკარგება და იგი უსიცოცხლო ფუნქციამოკლებულ ღერეფნის სახეს იღებს (ობოლეთი, ვანის წმ. გიორგი, ქილდაში იგი სივრცობრივი დანამატია), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გვერდის ნავი აშკარად ინარჩუნებს ფუნქციას და საკმაოდ დამოუკიდებელ, ერთიანი მო-

ცულობით გვესახება. შეიძლება შეგონარაოდოთ, რომ ისტორიულად მჭიდროდ დასახლებულ ამ რეგიონში დიდი მრევლი იყო, რამაც შეუნარჩუნა ამ მცირე მოცულობის არქიტექტურის შემადგენელ ნაწილებს ის დამოუკიდებლობა, რომელიც მისი ფუნქციის უფრო სრული გამოვლენის საშუალებას იძლეოდა.

ამგვარად, დანკალის ორნავიანი ეკლესია, მხატვრული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ქართული ხუროთმოძღვრების და კერძოდ, ჯავახეთის არქიტექტურის ერთერთი ყველაზე გამორჩეული პერიოდის X საუკუნის საინტერესო ნიმუშია და ცხადია, მისი დაცვა და რესტავრაცია აუცილებელია.

ძეგლი აზომილია ინსტიტუტ „საქრესტავრაციის“ არქიტექტორ-რესტავრატორ თ. ნემსაძის მიერ, მზადდება მისი აღდგენა-კონსერვაციის პროექტი, გაწმენდის შედეგად შესაძლოა ბევრი ახალი, საინტერესო მასალა გამოვლინდეს, რაც მოგვცემს როგორც თავად ძეგლის უფრო სრულყოფილად წარმოჩენის შესაძლებლობას, ასევე მისი სრული რესტავრაციის საშუალებასაც.

1. დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V, თბ., 1975, გვ. 84,85.
2. იქვე, იხ. დანართი.
3. ა. ჯავახიშვილი, ადრექრისტიანული სტელები საქართველოში, (დისერტაცია, ინსტიტუტის სპ. სპ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში).
4. ვ. ბერიძე, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა, თბ., 1981 წ. ტაბ. 51 (რუს. ენაზე).
5. იქვე, ტაბ. 4.
6. იქვე, ტაბ. 24,25.
7. რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, საქართველოს ისტორიული პროვინციის — შიდა ქართლის მთის ნაწილის ხუროთმოძღვრება, თბ., 1975 წ. გვ. 98 (რუს. ენაზე).
8. ვ. ბერიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 77, ნახ. 41. ჭრილი.
9. იქვე, გვ. 163, ნახ. 114.
10. დ. თემანიშვილი, ნაირფერადოვნების შესახებ V—XIII საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, „საექტრი“, 1990, № 21, გვ. 72.
11. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, ნახ. 11,3.
12. იქვე, გვ. 47, ნახ. 11,4.

პირობი ბაბრათიონი

ეკლესია სოფ. ახანახაში

1992 წლის ზაფხულში, ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნისას მოვიხაზელეთ სოფ. ახანახა, სოფლის დასაწყისში, აჭარიდან გადმოსახლებულთათვის აშენებული ტიპური სახლების ფონზე, თითქმის მიწასთან გასწორებული ძველი კედლის წყობა შევნიშნეთ ხშირი მცენარეებით დაფარული ნაგებობა ეკლესიის ნანგრევი აღმოჩნდა. სწორედ მისი შესწავლით დავასრულეთ ჩვენი ექსპედიციის მუშაობა.

ძველი წარმოადგენს მკვეთრად წაგრძელებულ დარბაზული ტიპის ეკლესიას, რომელშიც ვხვდებით ჩრდილოეთის მხრიდან გვიან გაჭრილი კართით. შიდა სივრცე პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს. საკურთხევის აფსიდი ოდნავ წაგრძელებულია სიღრმეში და ნალისებრი კონქითაა დასრულებული. აღმოსავლეთის ამოშენებული სარკმლიდან, სამხრეთის წირთხლიდა შეიმჩნევა, რომლის ზედა ნაწილის გამრუდება დიობის თაღოვანობაზე უნდა მიუთითებდეს აფსიდის წინა, გეგმაში კვადრატული (2,3 × 2,3 მ.) სივრცე ჯერული კამართაა გადახურული, რომლის სატეკი ქვებითაც მკაფიოდ გამოსახული ტოლმკლავა ჯვარია წარმოდგენილი. კამარის წიბოები ჯვრის მკლავების გადაკვეთის შიდა კუთხეებამდე დამუშავებული. კვადრატული სივრცის ოთხივე მხარეს კამარა მკვეთრად ნალისებრ თაღებს ეგრდნობა. თავად თაღები მარტივ იმპოსტებზეა დაყრდნობილი, რომლებიც ფოსოზე დაფუძნებულ თაროებს წარმოადგენენ. ჩრდილოეთ კედლის თაღის დამკერი იმპოსტები კრონშტეინადაა კედლიდან ნაშვერი. სამხრეთ კედელში მარ-


თკუთხა კარია გაჭრილი, ხოლო დასავლეთისკენ სივრცე თითქმის მთლიანადაა გახსნილი დარბაზის მესამე ნაწილისკენ. ეს დასავლეთი ნაწილი ამჟამად ნ-იოდ მეტრამდეა წაგრძელებული, მაგრამ, როგორც კედლის წყობას ვტყობა, მისი დასავლეთი ნახევარი ამჟამად გვიან უნდა იყოს გადაკეთებული. ამ სივრცის გადახურვა ჩაქცეულია, კედლები კი, განსაკუთრებით გვიან ამოყვანილი, 1-1,5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. სამხრეთ კედელში ამოშენებული კარის დიობი შეიმჩნევა. ჯერული კამართ დახურული ნაწილისგან გამყოფი საბჯენი თაღი დასავლეთ სივრციდან ორსაფეხურიანია. გარედან, ეკლესიის სამხრეთ კედელში გაჭრილი კარიდან აღმოსავლეთით, სატრიუმფო თაღის პილასტრის და აფსიდის ნახევრის ქვედა რევისტრი გაიჩნევა. კარიდან დასავლეთით, კედლის პერპენდიკულარული გვიანდელი წყობაა ოდნავ შემორჩენილი. ინტერიერში კედლები უზადოდ გათლილი ქვებითაა ამოყვანილი და როგორც ჩანს მოსახატავედ არ ყოფილა განკუთვნილი, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ კონსტრუქციული დეტალები მუქი შინდისფერი და რუხი ქვებითაა ნაგები ღია ფერის ქვების ფონზე. ფასადების კედლის წყობა ბაზალტის ოდნავ დამუშავებული, საშუალო ზომის ქვებით, სქელ დულაბზეა შექმნილი. საუკუნეთა განმავლობაში პერანგის ქვების დულაბი გამოიფიტა და ამჟამად კედელი, ერთის შეხედვით, მშრალი წყობით აგებულსა ჰგავს. კუთხეებსა და დიობების გარშემო მოზრდილი ბაზალტის ლოდებია გაწყობილი, რომელ-

თა კედლების შეპირისპირების მხარეები დაუმუშავებელია.

გეოგრაფიულად სოფელი აზმანა მდებარეობს ამჟამინდელი ახალქალაქის რაიონის სამხრეთ ნაწილში, ნიალის ყურის ქედის ოდნავ დამრეცი ჩრდილოეთ ფერდის ძირას გაშლილ ველზე. ადგილიდან ფართო პანორამა იშლება, როგორც მტკვრის კანიონის ვაღმა არსებულ ნიალის ველზე, ისე ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე არტან-ერუსეთის მთიანეთზე. თავად ტოპონიმ „აზმანა“-ს ორნაირი ახსნა შეიძლება მოეუძებნოთ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად „აზმანი“ — ორი წლის ცხვარს უნდა ნიშნავდეს. ჯავახეთისთვის, სადაც ოდითგანვე მუურნეობის წამყვან დარგს მესაქონლეობა და მეცხვარეობა წარმოადგენდა ეს ერთეული შემთხვევა არ ვახლავთ. როგორც ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილიც აღნიშნავს ამავე პრინციპითაა სოფელთა სახელები: აზ:ვრეთი (ხარი საკიდარი — საბა), სათზე, ბატკანა, ღორმაკე, გომნი და სხვა. მეორეს მხრივ იმავე ლექსიკონის თანახმად: „აზმა“ — მეორე სახელია ვალობისა, — ანუ აზმანა — საგალობელ ადგილს უნდა ნიშნავდეს, რასაც ერთგვარად ესადაგება ამ ალაგას საკმაოდ ორიგინალური ეკლესიის არსებობა.

ძველის თავისებურებათაგან უპირველად აფხიდის წინ არსებული ჯვრული


კამარა უნდა აღვნიშნოთ. ქართული არქიტექტურის ადრეული ძეგლებში შიდა სივრცის ამგვარი გადაწყვეტა მხოლოდ მცხეთის ჯვრის მიერ ტაძარშია შემორჩენილი. აკად. ვიორგი ჩუბინაშვილის აზრით, ასევე ცენტრში ჯვრული კამარით უნდა ყოფილიყო გორისჯვრის ეკლესიაც, რომელიც 1920 წლის თებერვლის მიწისძვრის დროს იმდენად დანგრეულა, რომ იმავე წლის სექტემბერში საეკიალურად ამ ფაქტის დასადაგენად ჩასულს, ეკლესიის ალაგას ქვაყრილია დახვედრია. მისივე აზრით, ასეთი ტიპის კამარის არსებობა VI-VII საუკუნის ქართულ და სომხურ ძეგლებში ძირითადად გვერდითა სათავსებში დომინირებდა. ასეა წრი-



აზმა.



აზმანის ეკლესია. სამხრეთის კარი.



ქრილი.



მის ტაძარში, მცხეთის ჯვარში, ატენის სიონში, მარტვილში, სომხური ძეგლებიდან — რიფსიმეში, თარგმანცაში, მრენში, ალამში და ბაგარანში. ყველგან ცალსახად გვემაში კვადრატული სივრცეებია ჯვრული კამარით გადახურული. კამარის ამ ტიპის ცენტრალურ სივრცეში არსებობა თავის დროზე პროგრესული მომენტი იყო, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად შეფასებული გუმბათის მოწყობა კვადრატულ ფუძეზე, მომდევნო საუკუნეებში, როდესაც გუმბათმა თავისი ადგილი დაიკავა ქართულ არქიტექტურაში, ჯვრული კამარები მხოლოდ დამხმარე და გვერდით სათავსებში გვხვდება: აკურას მამა ღვთისმშობლის, სანაგირეში, ვანსამიანის ყველწმინდაში, იფლიოს მთავარ ტაძარში, სვეტიცხოველში, ალავერდში და სხვაგან. აქ ყველგან კვადრატული საფუძვლის მაგივრად მართკუთხა სივრცეებია ამგვარად დაბურული, რადგან, როგორც გიორგი ჩუბინაშვილი აღნიშნავდა მას თავისი დამოუკიდებელი აზრობრივი დატვირთვა გუმბათის დამკვიდრების გამო დაკარგული ჰქონდა და ეს პროცესი ამკარად შემოიწყო VIII, IX და X საუკუნის ძეგლებში. ამგვარად აზმანას შემთხვევაში არაუგვიანეს VIII საუკუნის ძველთან გვაქვს საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ IX-X და შემდგომ საუკუნეებში, ჯავახეთის რეგიონისათვის უზაღოდ გათლილი გარე პერანგის ქვებია დამახასიათებელი, ხოლო VII ს-ის მეორე ნახევრის და VIII საუკუნის ძეგლებში, როგორცაა კიზილ-დერესი, ხარო, ალანა, ხეილიშა, სირგვა და სხვაგანაც, შედარებით ნაკლებად დამუშავებული ქვებით, კედლის სიბრტყეებს, მოზრდილი, მკაცრად პორიზონტალურად დაწყობილი ქვები სახლურავს. თავად შიდა სიბრტყის ქვები თარაზულ რიგებადაა ჩაწყობილი. ერთგვარად გამოხატვის წარმოადგენს სირგვას სამხრეთ ფასადის წყობის შედარებით „თავისუფალი“ გადაწყვეტა. ამით ფონზე აზმანას გარე

კედლების წყობის „დაუხვეწებლობა“ სამშენებლო პერიოდის შედარებით უნდა რეულ ეტაპზე უნდა მიგვიანიშნებდეს. ამ შემთხვევაში გამოირიცხულია იმის დაშვება, რომ უბრალოდ ოსტატობის დაბალ დონესთან გვეკონდეს საქმე, მაშინ როცა ინტერიერის ქვების თლა მაღალი ოსტატობის ნიმუშია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთის კარი მხოლოდ არქიტრავის ქვითაა დახურული და სხვა რაიმე მორთულობა არ გააჩნია განსხვავებით წინათ ჩამოთვლილი ძეგლების რიგისა; და რომ ეს კარი მთავარი შესასვლელი იყო ეკლესიაში იმით საბუთდება, რომ ჯერ ერთი, ცუდად შემორჩენილი ეკვდერის აფსიდსა და სამხრეთის კედელს შორის ნაკერი სატრიუმფო თაღის პილასტრის შიდა კუთხეში გადის და ფასადის მხრიდანაც ეკვდერის მოზრდილი კუთხის ქვებს განსხვავებული ხასიათი აქვს, ვიდრე თვით პირვანდელი კედლის წყობისა. მეორეს მხრივ, ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში მოხვედრისთვის მოძრაობის მიმართულების სქემა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა და არა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, რადგან ჩრდილოეთის კედელზე არსებული კრონშტეინებიანი იმპოსტების დაწყვილებული გადაწყვეტა უპირისპირდება სამხრეთ კედლის პილასტრებიან კაპიტელებს, რომლებიც ინტერიერში მოხვედრისას ერთგვარად „ხსნიან“ სივრცეს. ჯვრის გამოსახვაც ჯვრულ კამარაში „შემთხვევითი“ არ უნდა იყოს და თავის მხრივ კონსტრუქციისა და ეკლესიის იღის პარამონიულ შერწყმავზე მიუთითებს. ამ მხატვრული მომენტის ინტერპრეტაცია ჯვრის ტიპის ზოგიერთ ქართულ და სომხურ ძეგლებში გუმბათის ნახევარსფეროში რელიეფურად გამოხატულ ჯვრებში გამოიხატა.

აზმანას თავდაპირველი გეგმარებისთვის თუ წარმოვიდგენთ, რომ დასავლეთის სივრცე მეორადი იყო და ერთგვარად ჯიბეს წარმოადგენდა, ასეთი პროგრამა ადრეულ ძეგლებში იშვიათად მაგ-

რამ მაინც გვხვდება. თავად მცხეთის ჯერის მცირე ეკლესიის ინტერიერის დასავლეთ მონაკვეთში ეს ისე მკაფიოდ ჯერ არ არის გამოხატული, რადგან სივრცე სიმადლეშია გამოყოფილი; ხოლო VI ს-ის II ნახევრის დვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში სივრცის დასავლეთ ნაწილი პილასტრებითაცაა გამიჯნული. ასევე IX-X საუკუნეების ბნელეთის ლეთისმშობლის ეკლესიაში სკრის ხეობაში, X ს-ის სოლომონ-კალაში, ტაოში და რუისპირის წმინდა თეოდორეში.

აზმანას ქართლისა და კახეთის ძეგლებთან დაკავშირება ერთგვარად ნიშანდობლივია თუ გავითვალისწინებთ ის-

ტორიული ჯავახეთის მიმართულებას ქართლთან. ჯერ კიდევ ლეონტი მროველის გადმოცემით მცხეთოსმა ჯავახოსს მისცა ტერიტორია ფარავნიდან მტკვრის სათავეებამდე და შემდგომაც ზემო ქართლის სამი საერისთაოდანაც უპირველესად წუნდის ერისთავი ითვლებოდა რომელიც ფაქტიურად ჯავახეთს განაგებდა.

ამგვარად აზმანას, რომელიც თავის დროზე კუმურდოს და წვაროსთავის საეპისკოპოსოთა გარემოცვაში აიგო აღრეფეოდალური ხანის II ნახევარში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართული არქიტექტურის აღრეული პერიოდის ძეგლებს შორის.



წარმო. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. საზოგადოების დაფინანსებით.

რესტავრაცია მიმდინარეობს ძეგლთა დაცვის ფოტო ვ. ცინცაძის.

თუშეთის ტრადიციული სასოფროკომპლექსის ერთი ტიპი

ქართულ მთიელთა ტრადიციულმა დასახლებებმა და საცხოვრებლებმა ადრინდელ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა სვანეთის, ხევსურეთის, მთიულეთისა და ხევის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა. საკმაოდ მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა და წერილებში განალიზებულია აღნიშნული რეგიონების დასახლების ფორმები და საცხოვრებელი ნაგებობანი, მოცემულია მათი კლასიფიკაციები და ტიპოლოგია, არის მათი პერიოდიზაციის ცდებიც. სამწუხაროდ, ამ მხრივ ნაკლებადაა შესწავლილი თუშეთი, რომელიც ფაქტურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური ხუროთმოძღვრების ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს. აქ თითქმის უცვლელადაა შემონახული ძველი დასახლებანი, საცხოვრებელი, დაცვითი, საკულტო და სამეურნეო ნაგებობანი. ამდენად, ცხადია მათი დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულებანი. აქედან გამომდინარეობს

ამ ძეგლების დროული და სათანადო აღნუსხვისა თუ შესწავლის აუცილებლობა.

განსახლების ერთეულს თუშეთში მთიანეთის სხვა კუთხეების მსგავსად უპირატესად ხევი წარმოადგენდა. სოფლები და სამეურნეო საეარგულები მეტწილად ხევების გასწვრივა განლაგებული. აღნიშნულია, რომ ძველ დასახლებათა უმეტესი ნაწილი ძნელადმისადგომ ადგილებშია განლაგებული და მათ ციხესიმაგრის სახე გააჩნიათ. საილუსტრაციოდ „კესელოს ციხე“ შეიძლება დავახაზოთ ომალოში. კოშკური საცხოვრებლები და გალავნის კედელი კლდოვანი კონცხის ზეთავს მიუვალ სიმაგრედ აქცევს. ანალოგიური სტრუქტურა გააჩნია ძველ დიკლოს, პელოს, ინდურთას და სხვა. მსგავსი ტიპის დასახლებებში სასმელი წყალი თიხის მილებით იყო შეყვანილი. რაც შემთხვევებში მდინარემდე საიდუმლო გვირაბები გაჰყავდათ.

დასახლებებში დაცვითი ფუნქციის დაწინაურება კუთხის სასაზღვრო ზოლ-




სოფ. ფარსმა. ავტორის ჩანახატი.

ში მდებარეობამ განაპირობა. დაღესტნისა და ჩეჩნეთის უშუალო მეზობლობამ, დასახლების ისეთი ფორმის შექმნას შეუწყო ხელი, რომელიც რიგითი მეთემის უსაფრთხოების გარანტი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთს წარმოადგენდა უკიდურესად გამაგრებული ციხესოფელი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებდა კიდეც.


თუშეთის დასახლებათა საცხოვრებელი ზონები ტრადიციული ნაგებობების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო საცხოვრებლის იმ ტიპზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კოშკური საცხოვრებლის სახელწოდებითაა ცნობილი. საცხოვრებლის ეს ტიპი რეგიონში რამდენიმე მოდიფიცირებული ქვეტიპითაა წარმოდგენილი.

ნაგებობის კედლები ჩვეულებრივ კარგად დამუშავებული კლდის მონატეხი ქვითაა აყვანილი. კოშკური საცხოვრებლების ნაწილში კედლები კირის შემკურავზეა აგებული, ნაწილში — მშრალი წყობით. სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. დიდი ძალის შემთხვევაში ნაგებობის ცენტრში ქვის სვეტია გაკეთებული. სართულების ერთმანეთთან დასაკავშირებლად სართულშუა გადახურვებში ოთხკუთხა საძროში ხერელებია დატოვებული. ხის კოჭებზევე მოწყობილი ფიქალის ფილებიანი სახურავი ორფერდაა, იშვიათად ცალფერდა. სახურავქვეშ ზოგ ნაგებობაში სხვენია. მეტწილად სახურავქვეშ დამასრულებელი სართულია მოქცეული.

კოშკური საცხოვრებლის თითქმის ყოველ სართულზე შედაბლებული თალით დასრულებული ცალ ან ორფრთიანი თითო კარია გაკეთებული. კარის ფრთები მიხურვის შემდეგ პორიზონტალური ურდულით იკეტება. ცალკეულ ნაგებობებში კარს დამატებით ვერტიკალური ურდულითაც კეტავენ. მეორე სართულიდან, კედლებში სარკმლები სათოფური ხერელები და ნიშებია გაკეთებული.



სოფ. ჩაღო. ბაქურიძის კოშკური საცხოვრებელი, ფასადი, კრილი, გეგმები.



სოფ. ფახმა. ციხეკაიძის კოშკური საცხოვრებელი. გეგმები.




თუშეთში გავრცელებული კოშკური საცხოვრებელი გამოირჩევა ფორმათა ნაირგვარობით და სტრუქტურის სირთულით, თუმცა ფუნქციონალით მისი საწყისი ფორმები სრულ შესატყვისობაშია კავკასიონზე გავრცელებულ იმავე ტიპის ნაგებობებთან. ნაგებობაში ერთ სახურავქვეშ, კერტიკალურ ჭრილშია წარმოდგენილი საცხოვრებელი, სამეურნეო და დაცვითი ფუნქციების მატარებელი სთავსები. პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. შესასვლელი ჩვეულებრივ წინა მხარის კედელშია გაკეთებული. გვერდითი კედლების გასწვრივ ბაგებია გამართული, ხოლო უკანა კედელთან ხბოების სადგომია მოწყობილი. სართულის იატაკი ფიქალის ქვის ფენილითაა წარმოდგენილი.

სამსართულიან კოშკურ საცხოვრებლებში მეორე სართული ადამიანის საცხოვრებლად გამოიყენებოდა. აქ კედლები შიგნიდან თიხამიწით იყო შელესილი. სთავსში სარკმლებისკენ ახლოს კერაა გამართული, მის მარჯვენა მხარეს შამაკაყებისთვის დასაჯდომებია მოწყობილი, ხოლო მარცხენა მხარეს—ქალებისათვის. კერის ასწვრივ, ჭერში ქვაბის საკიდელია გაკეთებული. კერის ზემოთ, ჭერი-საგან ოდნავ დაცილებით, ძელებით საკიდი კონსტრუქციისაა მოწყობილი, რომელზეც ფიქალის ფილაა ჩამოდებული. ამ სართულის კედლებში კარის გარდა სარკმლები, კვამლის გასასვლელი ხერეღი და სათოფურებია გაკეთებული. შენობის ზედა, დამასრულებელი სართული ძველ ნაგებობებში ჩვეულებრივ თავდაცვის მიზნით გამოიყენებოდა. ამ სართულზე სათოფურების გარდა სალოდეებიც იყო მოწყობილი, საიდანაც ახლოს მოსულ მტერს თავზე ქვას აყრიდნენ.

გვიანდელი წარმომავლობის სამსართულიან კოშკურ საცხოვრებლებში სალოდეები აღარ გვხვდება. ამასთან ერთად ნაგებობებში ძალზეა შემცირებული სათოფურების რაოდენობაც. გვხვდება

კოშკური საცხოვრებლები, რომლებსაც სათოფური ხერეღები სწვრივად არა აქვს გაკეთებული. ეს ნაგებობანი ინერციით იმეორებენ საცხოვრებლის ტრადიციულ მოდელს, თუმცა აქ შესამე სართული უკვე სასტუმრო ოთახად, ან სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება.

თუშეთში გავრცელებული კოშკური საცხოვრებლების ერთი ნაწილი განსაკუთრებით დიდი სიმაღლით გამოირჩევა. სიმაღლისა და სართულების რაოდენობის მიხედვით (სართულიანობა ცვალებადობს ოთხიდან ექვსამდე) ისინი საბრძოლო კოშკებისათვის შეიძლება მიგვეკუთვნებინა, თუმცა სხვა პარამეტრები ამის უფლებას არ იძლევიან, ცნობილია, რომ კოშკების შორიზონტალური კვეთის გაბარიტული ზომები კავკასიონზე იშვიათად აღემატება 6X6 მ, თუშეთის მაღლივი კოშკური საცხოვრებლებისა კი 7X7-დან 8,4X9,3 მ-მდე ცვალებადობს. ვარდა აღნიშნულისა საბრძოლო კოშკში შესასვლელი კარი ჩვეულებრივ მიწის დონიდან საკმაოდ მაღ-



სოფ. ფარსა. ცისიკაიძის კოშკური საცხოვ.



ლაა გაკეთებული, რაც ამ ნაგებობის ქვედა სართულის საქონლის სადგომად გამოყენების შესაძლებლობას გამოირიცხავს. აღნიშნულთან ერთად კომპლექსში შესასვლელად მეტწილად ერთი კარია. მალღივ კომპლექსურ საცხოვრებლებში თითქმის ყველა სართულს, ან ქვედა სამს მაინც კარი აქვს გაჭრილი. ეს იძლევა პირველ და რიგ შემთხვევაში მეორე სართულის საქონლის სადგომად გამოყენების საშუალებას. ამდენად ეს ნაგებობანი ტიპოლოგიურად კომპლექსურ საცხოვრებლებს უნდა მიეკუთვნოს და არა კომპლექსსა თუ რაღაც ნახევრადსაბრძოლო კომპლექსს, როგორც ამას ამტკიცებენ ჩვენი რუსი თუ ჩრდილოკავკასიელი კოლეგების ნაწილი.

მალღივი კომპლექსური საცხოვრებლების ზედა სართულების კედლებში დიდი რაოდენობის სათოფური ხერხელებია გაკეთებული. ნაგებობათა ნაწილში, დამასრულებელ სართულზე ხალოდეებია მოწყობილი. ხალოდეებიან კომპლექსურ საცხოვრებლებს აქ ჩვეულებრივ ჩარდახიან


სახლს უწოდებენ. ნაგებობათა მთავარი ჯგუფის დამასრულებელი სართულებში თითო კედელი (ზოგჯერ მეტიც) დიდი ზომის ოთხკუთხა სანიაო ღიობითაა გახსნილი. გვხვდება ისეთი მალღივი კომპლექსური საცხოვრებლებიც, რომლებსაც არც ხალოდე აქვს და არც სანიაო ღიობი.

კომპლექსური საცხოვრებლების მეორე შედარებით მრავალრიცხოვანი ჯგუფი, სამსართულიანია. ამ რიგის ნაგებობების ნაწილში სათოფური ხერხელები აღარ გვხვდება, ეს იმას მოწმობს, რომ ისინი მას შემდეგაა აგებული რაც თავდაცვის ფუნქციამ დაკარგა მნიშვნელობა. სამსართულიან კომპლექსურ საცხოვრებლებში ხალოდეები იშვიათადაა გაკეთებული, სამაგიეროდ მისი დამასრულებელი სართულის ერთი ან რამდენიმე კედელი დიდი ზომის სანიაო ღიობებითაა გახსნილი.

მოგვიანებით კომპლექსურ საცხოვრებელს ახალი ელემენტი უნდადებოდა კარსეს სახით. იგი წარმოადგენს მთელ სიმაღლეზე მიშენებულ მეორე ნაგებობას, რომელიც თავდაპირველად იმეორებდა ძირითადი ნაგებობის პორიზონტალური და ვერტიკალური კვეთის სტრუქტურას, მოგვიანებით კი ახალი ყოფის გავლენით გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ასე იქნება თუშეთისათვის დამახასიათებელი კომპლექსური საცხოვრებლის განსხვავებული ქვეტიბი, რომელსაც პირობითად კარსეიანი კომპლექსური საცხოვრებელი შეიძლება ეწოდოს.

კარსეს გამოჩენამ საწყისი დაუღო ტრადიციული თუშური საცხოვრებლის დაგეგმარების განვითარებას ვერტიკალურიდან პორიზონტალური კვეთისაკენ.

დასახრულ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მაშინ, როდესაც საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში ტრადიციული ძეგლების აღდგენის საქმეს საკმაო ყურადღება ექცეოდა, თუშეთი რატომღაც მივიწყებული იყო. უნიკალური დასახლებები და ნაგებობები სავალალო დღეშია და სასწრაფოდ მოითხოვს დახმარებას.



რეზელი. კრილი, ფახალი.

**ქართული მონუმენტური მხატვრობის ტექნოლოგიის
ზოგიერთი საკითხი**

შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის შესწავლისას ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ფერწერის ტექნოლოგია, რადგან ჩვენი კვლევის საგანი ძირითადად ხელოვნების დასრულებული ნაწარმოებია. მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთა მონატულობა უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ დაზიანებული და სახეცვლილია; საუკუნეთა მანძილზე საღებავად გამოყენებული პიგმენტები ფერს იცვლის, ზიანდება ფერწერული ფენა და ხშირად, მხატვრობა თუ შესრულებულია შერეული ტექნიკით, რჩება მხოლოდ მოსამზადებელი ნახატი. ცხადია, ინტერეს-მოკლებული არ არის მონატულობის განხილვა მისი შესრულების ეტაპების მიხედვით. საგულისხმოა, რომ მხატვრული სტილის მსგავსად, ფერწერის ტექნოლოგიაც გარკვეულ სახესხვაობას განიცდის ეპოქისა თუ მხატვრის ოსტატობის კვალად და თითოეული საუკუნე ხასიათდება გარკვეული თავისებურებით.

ტექნიკა-ტექნოლოგიური პროცესი ის საერთო ღერძია, რომელიც აკავშირებს ფერწერის სტილისტური ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავებულ მხატვრულ სკოლებსა თუ მიმდინარეობებს; მაგალითად, აბსოლუტურად ერთმანეთისაგან მოწყვეტილ შუა საუკუნეების ქართულ და იტალიურ ფერწერას შეიძლება საერთო მოძებნოს სწორედ მხატვრობის ტექნოლოგიის განხილვისას.

ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს მოსამზადებელი ნახატის მხოლოდ ერთი მეთოდი — გრაფია, ნახატის შესრულება ნაკაწრი ხაზებით. ამ მეთოდით ხშირად სარგებლობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მის არსებობაზე მიუთითებენ ფერწერის ტექნიკის სახელმძღვანელოთა ავტორები თუ

ტექნიკა-ტექნოლოგიური მეთოდების მკვლევარნი.

პირველ ცნობას გრაფიის შესახებ ჩენინი ვკანქლის¹. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ღვთისმშობლის მადონური მონატულობით შესრულებამდე, მხატვარმა დრაპირების აღმნიშვნელი ხაზები წინასწარ უნდა ამოკაწროს ბასრი რკინით ან ნემსით. აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ლაზურიტი სარჩულის გარეშე უფერულდება, მონაცრისფრო ფერის რეფტი კი მიღებული შავის, თეთრასა და ოქრას შერევით, დაფარავს თედაპირველ ნახატს და დრაპირების ხაზები სარჩულს ქვემოთ დააკარგება. სწორედ ამიტომ ჩენინი თვლის, რომ უმჯობესია ეს ხაზები ამოიკაწროს.

ფერწერის ტექნიკის თითქმის ყველა მკვლევარი გრაფიის ორ სახეობაზე მიუთითებს. პირველი — როდესაც გრაფირებული ნახატით სწორი ან წრიული ხაზები გამოისახება, და მეორე — ე. წ. ხელით შესრულებული გრაფია. მას განიხილავს გრენბერგი², ჩენინი³, ვინფილდი⁴. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც მხატვარი ჩაჭრილი ხაზებით გამოისახავს სახის ნაკეთებს, დრაპირებას, სხეულის სხვადასხვა ნაწილებს. ეს ხერხი უფრო ხშირად მაშინ გამოიყენება, როდესაც მხატვარი ფრესკის ტექნიკით ასრულებს მხატვრობას. ამ შემთხვევაში მუშაობის დრო შეზღუდულია, რადგან ნაღესობის ზედაპირი სწრაფად შრება, მოსამზადებელი ნახატის საღებავით შესრულება და შემდგომ მასზე მუშაობა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე გრაფირება. გრაფიას ხშირად მიმართავს ისეთი ოსტატი, როგორიცაა მიქელანჯელო. ამრიგად, ცხადია, რომ გრაფიის არსებობა არ ნიშნავს მხატვრის არცთუ მაღალ ოსტატობას, თუმცა ვინ-



გელათის მთავარი ტაძარი, საღვინებლის მხატვრობა. პუნქტირით აღნიშნულია ფერით ნახატო. უწყვეტი ხაზით — გრაფია.

ფილდი აღნიშნავს, რომ მხატვარი ხშირად ამ მეოთხით ამზადებდა ნახატს შევირდისათვის. მაგალითად, ერთ გველისაში შეიძლება ვაგარნიოთ ორი ხელი — ერთი ოსტატისა, რომელიც გრაფირების ვარეშე მუშაობს და მეორე შევირდისა, რომლის მოხატულობაშიც ყველა დეტალი ნაკაწრი ზახებითაა მონიშნული.

გრაფიის ორივე სახეობა დამახასიათებელია ქართული მონუმენტური ფერწერისათვის. მათგან პირველი საქართველოში თითქმის ყველა პერიოდში გვხვდება. ხოლო რაც შეეხება ე. წ. „ხელით გრაფიას“ იგი ჩვენში, დასაუღლეთ ევროპისა და ბიზანტიისაგან განსხვავებით, იშვიათად გამოიყენება.

გრაფირებული ნახატი ქართული კედლის მხატვრობის ზოგიერთ შემთხვევაში უმეტესად XVI საუკუნიდან ჩნდება.

გელათის მთავარი ტაძრის მოხატულობაში გამოყენებულია გრაფიის ორივე სახეობა. სამონასტრო კომპლექსის მხატვრობა გამოჩენული ყურადღების ღირსია, რადგან იგი მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს XII საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე. ბუნებრივია ეს ძველი ფართო ასპარეზს შლის მხატვრობის ტექნიკა-ტექნოლოგიური პროცესის კვლევისათვის.

ამჟამად, ჩვენთვის საინტერესოა ე. წ. „ხელით შესრულებული“ გრაფია, რომელიც გელათში უკვე XIII საუკუნეში დავით ნარინის ეკლესიაში ჩნდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგი ხელ რამდენიმე ადგილასაა გამოყენებული და ზუსტად მისდევს ჩენინის სწავლებას — ედრების კომპოზიციაში გრაფირებული ნახატით სრულდება მაცხოვრის სამოსის ლაზურიტით შეფერილი ნაწილები.

როგორც აღვნიშნეთ, გრაფიით ხშირად ასრულებდნენ ფიგურის თითქმის ყველა დეტალს, სახის ნაკეთებს, სამოსის ნაკეცებს, იგივე სურათთა გელათის XVI-XVII საუკუნეების მხატვრობაშიც. თუმცა აქ საგულისხმო გამონაკლისაც ვხვდებით. იქ, სადაც სახეზე არ იდება ძირითადი ტონი და მის როლს ბათქამის მოთეთრო ზედაპირი ასრულებს, მხატვარს თავდაპირველი ნახატის დაკარგვის საშიშროებაც არ ემოქმედება: ისიც არ მიმართავს გრაფირებას.

გელათის თითქმის მთელი მხატვრობა შესრულებულია შერეული ტექნიკით. ე. ა. მხატვარი მუშაობას იწყებს კედლის ხეულ ზედაპირზე და ამთავრებს მშრალზე. ფრესკის ტექნიკით შესრულებული ფერწერისაგან განსხვავებით აქ ერთდროულად ვხვდებით საღებავით შესრულებულ მოსამზადებელ ნახატს და გრაფიას. კომპოზიციის აგებისას ხშირად ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა და იბადება კითხვა თუ რომელი მათგანი



სრულდება თავდაპირველად და რომელი შემდგომ, ნახატის დასაზუსტებლად? გელათში ორივე ვარიანტს ვხვდებით. მაგალითად, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მკლავში გამოსახულ „სულიწმინდის მოყენაში“ მხატვარი კომპოზიციას აკებს გრაფიის მეშვეობით, მხოლოდ შემდგომ აზუსტებს მას ფერით; აქ წითელი ოქრითი შესრულებული მოხაზვადებული ნახატის ხაზები და გრაფირებული ნახატი ერთმანეთს არ ემთხვევა. ზოგიერთ ადგილას გრაფირებული წითელი ხაზი მოთავსებულია ფერადოვანი ლოკალური ლაქის შუაში და იგი არ წარმოადგენს რაიმეს კონტურს. ამ შემთხვევაში მხატვარმა ფერით ნახატი იხმარა კომპოზიციური ელემენტების კონტურების დასაზუსტებლად.

ამვე მკლავში გამოსახულ „ჯვარცმის“ კომპოზიციასში სხვაგვარი ტექნიკური მიდგომა სჩანს. იგივე მხატვარი ჩაჭრილ ხაზებს ზმარობს ნახატის დასაზუსტებლად. მაგალითად, ფონზე მოწითალო ოქრითი შესრულებული არქიტექტურული ელემენტები საკმაოდ ღრმად იჭრება იოანეს შარავანდში, რომელიც გრაფიითაა გამოსახული, ე. ა. აქ მხატვარი ნახატს ასრულებს ხალებით, ხოლო ჩასასწორებლად იყენებს გრაფიას.

როგორც ვხვდავთ, გელათის სამონასტრო კომპლექსის მხატვრობაში გამოვლენილია დასავლეთ ევროპასა, ბიზანტიასა თუ რუსეთში გავრცელებული გრაფირების ყველა დამახასიათებელი თავისებურება.

გრაფიის გამოყენების მრავალფეროვნებიდან აღსანიშნავია ე. წ. ტრაფარეტი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ნაკაწრი ხაზებით იყო შესრულებული. ეს მეთოდი ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი. იგი გამოიყენებოდა ბიზანტიაში, რუსეთში და განსაკუთრებით იტალიაში. ძირითადად მას ე. წ. კარტონის მეშვეობით ასრულებდნენ. როგორც პოლ ბოდუენი მიუთითებს, ამ

შემთხვევაში კარტონი კომპოზიციის თავდაპირველ ნახატს მონიშნავს, რომელიც შესრულებულია ნაღესობის პირველ ფენაზე. შემდეგ ნახატი კარტონიდან გადაქონდათ სხვადასხვა ზომის კალკებზე, იმისდა მიხედვით თუ რა დრო დასჭირდებოდა თითოეულ ნაწილის კედელზე გადატანას ბათქამის გაშრობამდე. შემდგომ ამისა, ნაღესობის პირველ ფენაზე იღებოდა გრუნტი, რომელზეც კალკიდან ბასრი საგნის მეშვეობით გადაქონდათ ნახატი.

აღორძინების ხანაში იტალიაში კარტონის გამოყენების სხვა მეთოდს მიმართავდნენ. ქაღალდზე ან კალკაზე დახატულ კომპოზიციას ამაგრებდნენ კედელზე და ამოწმებდნენ ფიგურათა პროპორციებს, კომპოზიციის სიმეტრიულობას და ა. შ. შემდეგ კალკიდან, ბასრი საგნის მეშვეობით ხდებოდა ნახატის გრაფირება კედელზე.

კარტონებს უშუალოდ ეკლესიის მომხატველნი ასრულებდნენ. საქართველოში ამ მეთოდით შესრულებული მხატვრობა ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია.

გელათის მთავარი ტაძრის მხატვრობა ტრაფარეტის შესრულების სრულიად სხვა ზერხს მიმართავს. იგი ნიმუშად იღებს სხვა მხატვრის მიერ შესრულებულ ნაწარმოებს, საიდანაც ნახატი გადააქვს კალკაზე, ხოლო კალკიდან გრაფირებათ კედელზე.

გელათის მთავარი ტაძრის ნარტექსში ალექსანდრე მეფის მიერ XVII საუკუნეში მიშენებული ხალხინებელის აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებული მხატვრობა ორ რეგისტრადაა დაყოფილი. ქვედა რეგისტრში გამოსახულია მსხვერპლის თყვანისცემა, ხოლო ზემოთ ღეთისმშობელი ფრთით და მის გვერდით პეტრე და პავლე მოციქულები. სწორედ ღეთისმშობლისა და მაცხოვრის ფიგურებზე გავამახვილებთ ამჯერად ყურადღებას, რადგანაც აქ მხატვრობის შესრულების უწვეულო მეთოდი გვხვდება. ფიგურები მთლიანად შესრულე-



ბულია გრაფიით და თუმცა საღხინების მხატვრობაში გრაფიით ნახატის შესრულება საკმაოდ ხშირია, ღვთისმშობელისა და მაცხოვრის გამოსახულებები ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სიუხვით, როდესაც უმნიშვნელო დეტალებიც კი ნაკაწრით აღინიშნება — (გრაფია, კარგად გაირჩევა შეუიარაღებელი თვალით კუთხიდან განათების შექცობით). გრაფიურულ ნახატს ზემოდან შემოუყვება ფერით ნახატი. გრაფიის მსგავსი სიჭარბე სხვაგან არ შეიმჩნევა. მაგრამ მართლ ეს როდი კმარა იმის საბუთად, რომ აქ საქმე გვაქვს უშუალოდ ტრაფარეტთან. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად გვესახება გამოსახულების იკონოგრაფიული ტიპი — ე. წ. ელესუა. ეს ტიპი უჩვეულო არაა ქართული კედლის მხატვრობისათვის, მაგრამ გელათში იგი ერთი თავისებურებით ხასიათდება — ყრმა ხელით ღვთის ნიკაპს ეხება. ამგვარი დეტალი მონუმენტურ მხატვრობაში ჩემთვის უცნობია, მაგრამ იგი საკმაოდ ვარკვლავულია ბიზანტიურ, რუსულ და სერბიულ ხატებში, განსაკუთრებით XIV ს-ის შემდგომ. ქართულ ხატებში ანალოგიურ ტიპს ვერ მივაკვლიეთ. თავად ღვთისმშობლის გამოსახულების ზომები ხატის ზომას უტოლდება. ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხატვარს ხელთ ჰქონდა ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატი, რომლიდანაც მან უკერ კალკაზე, ხოლო შემდეგ ბასრი საგნით კედელზე გადაიტანა ნახატი. აღსანიშნავია, ისიც რომ ფიგურათა შემომსახვერელი კონტური, კერძოდ მაფორიუმის ძირითადი ნაწილი შესრულებულია არა გრაფიით,

არამედ საღებავით. შეიძლება ვთქვათ, რომ ხატის ზომა კომპოზიციის სიმეტრიულ აგებას უშლიდა ხელს. ძირითადი დეტალების გრაფიურების შემდეგ იოლი იყო შემომსახვერელი ნახატის შესრულება. საკულისხმობა, რომ თუ ღვთისმშობლის მაფორიუმის კონტური შესრულებულია საღებავით, მოციქულთა ფიგურების კონტური (ისინი ტრაფარეტით არაა გამოსახული) გამოსახულია გრაფიით.

დაბოლოს, ტრაფარეტის გამოყენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია ფიგურაზე არსებული ნაკაწრიდან ამოღებული სინჯის მიკროქიმიური ანალიზი, რომლის მეშვეობითაც აქ ქაღალდის ნარჩენები აღმოჩნდა. ეს გამოწვეული უნდა იყოს კალკის ბასრი საგნით კედელზე ნაკაწრით.

ამრიგად, გელათის მხატვრობაში გამოვლენილია ქართული მონუმენტური ფერწერისათვის საკმაოდ უჩვეულო ტექნოლოგიური მეთოდი. იგი იშვიათია XVI საუკუნემდე საქართველოში, მაგრამ დამახასიათებელია შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მხატვრობისათვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გელათში XVI-XVII საუკუნეებში გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია ან ამ მხატვრებს გავლილი ჰქონდათ საქართველოში დასავლეთ ევროპიდან შემოსული მხატვრული სკოლა. არ არის გამორიცხული, რომ გელათში ყოფილიყო სამხატვრო სკოლა, სადაც მუშავებოდა ფერწერის ტექნოლოგიური პროცესისა და მეთოდის საკითხები, ხოლო შემდეგ ამას იყენებდნენ მხატვრები.

¹ Ченнино-Ченнини, Трактат о живописи, изд. 1933.

² Технология, исследование и хранение произведений станковой и настенной живописи. Под редакцией Ю. И. Гренберга, М., 1987, стр. 38.

³ Ченнино-Ченнини — დასა. ნაშრომი.

⁴ D. C. Winfield. Dumbarton Oaks Papers, № 22, 1968.

⁵ П. Водуэн — Техника фресковой живописи. Искусство 1938, стр. 27—28.

⁶ Там же, стр. 28—30.

სახსრობაზელი სახლი ბესიკის ქუჩაზე

საცხოვრებელი სახლი ბესიკის ქუჩაზე ერთ-ერთი იმ სახლთაგანია, რომელიც დაიწვა 1991 წლის დეკემბრის ქარცეხლიან დღეებში. მისგან დარჩა მხოლოდ ნახევრად დაშვარი ფასადება და მზიდი კედელი; სხვა ყოველივე აღმნიშნა უგუნურობასა და გააყვებულ უღმობლობას შეეწირა.

საარქივო-მასალების მიხედვით ეს სახლი 1902 წ. იყო აგებული და განეკუთვნებოდა გასაქარავებელი ანუ შემოსაელიან სახლების ტიპს. როგორც გეგმარებით, ისე საერთო მხატვრული გაფორმებით იგი ტრადიციული თბილისული საცხოვრისიდან ევროპული ფაიდის სახლებზე გარდამავალი პერიოდის ნაგებობას წარმოადგენდა. მართალია ამ სახლს ვერაფრით მივაკუთვნებთ ზუროთმოძღვრულ შედეგრთარიცხვს, მაგრამ სწორედ ამგვარი, ერთი შეხედვით ტიპური, რიგითი შენობებიც ქმნიდნენ ჩვენი ქალაქის ცენტრალური ნაწილის ისტორიულ განაშენიანებას; იმ თავისებურ ატმოსფეროს, რომელიც ესოდენ განუმეორებელ სახეს ანიჭებდა ქალაქის ამ უბანს. და ამიტომაც სწორედ, რომ ყოველი ამგვარი სახლის აღდგენა თავდაპირველი სახით მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

სახლის აღდგენის პროექტის შედგენა „საქრესტარაციის“ ადაპტაციის განყოფილებას დაევალა. არქიტექტორები აზომვით სამუშაოებს მამინვე შეუდგნენ, 1992 წ. იანვარში, როდესაც ნახანირალი შენობის ზოგიერთ ნაწილში ჯერ კიდევ ბოლავდა ნაღვერდალი, პარალელურად მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები, სახლის ყოფილ მაცხოვრებლებს კი გაქონდათ უმნიშვნელო რაოდენობით გადარჩენილი ნივთები.

საბედნიეროდ, საარქივო მასალა ამ სახლის გარშემო არც ისე ტუნწი აღმოჩნდა. შემორჩენილია მისი პარალელი ფასადის ნახაზი, კრილი, I და II სართულის გეგმები. როგორც ირკვევა სახ-




სახლის I დი ბესიკის ქუჩიდან.



ტებით. ქუჩის მხრიდან სახლის კედელი ცენტრალური სადარბაზო და გვირაბი, რომელიც გზას უკავშირდებოდა.

როგორც საარქივო მასალიდან ჩანს, შენობის თითოეულ სართულზე ორ-ორი ბინა ყოფილა განლაგებული. თითოეული ბინა გზას უკავშირდებოდა აივანზე მიდგმული ხის კიბის საშუალებით. 20-იან წლებში ჩვენებობა გადაკეთდა კომუნალურ საცხოვრებელ სახლად, ბინების რაოდენობა გაიზარდა, რამაც გამოიწვია გვეგმარების რადიკალური შეცვლა და ეზოს მხარეს გამავალი ფასადის დამახინჯება.

შენობის აღდგენა პირვანდელი სახით და ამასთანავე მაცხოვრებელთა დიდი რაოდენობის დაკმაყოფილება ბინებით, თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით, საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა არქიტექტორებისათვის. ოპტიმალური რაოდენობის ბინების დაპროექტებაც კი ვერ სწავებდა ამ სახლის მობინადრეთა პრობლემებს. საბოლოოდ, ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, სახელოსნომ მიიღო დაკვეთა დაპროექტებულიყო 14 ბინიანი საცხოვრებელი სახლი. უნდა ითქვას, რომ პროექტის მთავარმა არქიტექტორმა დ. მჭედლიძემ და მისი ჯგუფის წევრებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტას და შესძლეს უმოკლეს ვადაში დაემუშავებინათ სახლის აღდგენის პროექტი, რომელიც დროულად გადაეცა მშენებლებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი ოსტატობა და თავდადება მალე დაუბრუნებს დაკარგულ კერას უდანაშაულოდ დაზარალებული სახლის მაცხოვრებლებს.



ხედი ეზოდან.

ლის ფასადს ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშივე უნდა განეცადა გადაკეთებები. ჩვენს დრომდე სახლმა შემდეგი სახით მოაღწია — იგი სამსართულიანი იყო, სარდაფით; ქუჩის მხარეზე გადიოდა სამი საცხოვრებელი და არასრული სარდაფის სართულით, ეზოს მხარეს კი ოთხი სრული სართული გადაკურებული. თბილისური ტრადიციული სახლიდან მას შემორჩა მხოლოდ ეზოს მხარეს მოწყობილი აივანი ხის აეურული ელემენტებით. პარადული ფასადი ეკლექტიზმის მკაფიო ნიშნებს ატარებდა; იგი მორთული იყო ევროპული სახლებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, ნაძვრწი პროფილებითა და რუს-





ფიტარეთის კომპლექსი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

მერაბ ბოჭორიძე

ფიტარეთის არქიტექტურული კომპლექსისა და მისი რესტავრაციის შესახებ

ფიტარეთის კომპლექსი მდებარეობს მდინარე ხრამის შენაკადის ღამაზ ხეობაში, ხეობის მარჯვენა მხარეს, შემალლებულ ბექობზე და ირგვლივ ხშირი ტყით დაფარულა მთებით არის გარემოცული.

ფიტარეთისაკენ ორი მხრიდან მიემართება გზა: ერთი — თეთრიწყაროდან, ხოლო მეორე ბოლნისიდან სოფ. ტანძილ ვაკლით. ორივე გზაზე საკმაოდ რთული მონაკვეთებია და უამინდობაში აქ ძალზე ჭირს მოძრაობა. სოფელი, ძველის სამხრეთ-დასავლეთით რელიეფზე ყოფილა შეფენილი და ძველი, მცირე მასშტაბის სახლებით ფრიად ცხოველბატულ გარემოს უქმნიდა კომპლექსს.

ფიტარეთის გუმბათიანი ეკლესია დახვეწილი ფორმებით და შესა-

ნიშნავი რელიეფებით უკვე XIX საუკუნიდან იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. იგი თითქმის 100 წლის მანძილზე მცდარად იყო დათარიღებული; ტაძრის კარიბჭის შიდა კედელზე მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულ მეფეთ-მეფე გიორგის აიგივედნენ გიორგი ბრწყინვალესთან და ამიტომაც ტაძარს XIV საუკუნით ათარიღებდნენ. ზუსტი თარიღი პირველად დაადგინა აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა, მან ძველის სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ფიტარეთი XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ძველთა რიგს განეკუთვნება.

ისტორიული წყაროების მიხედვით XVII საუკუნეში ყაფლან ორბელიანს აღუდგენია და დიდი სამშენებლო სამუ-



შოები ჩაუტარებია სპასილარებისა-
გან აოხრებულ ამ მხარეში; საეარაულოა,
რომ ფიტარეთის სათოფურებიანი ვა-
ლაეანიც ამ დროსაა აგებული.

XVII-XVIII სს დასაწყისში ფიტა-
რეთი საკმაოდ ძლიერი მონასტერი ყო-
ფილა. აქ მოღვაწე ცნობილ წინამ-
ძღვარს იოზ ფიტარელს 1696 წელს აუ-
გია მონასტრის მარანი.

1731 წლიდან მონასტერი გამუდმე-
ბულ შემოსევათა გამო გაუქმებულა
და აქედან მოყოლებულა უპატრონოდ
დარჩენილი ფიტარეთის კომპლექსი
თანდათან ნადგურდებოდა: დაინგრა სა-
მრეკლო და მარანი, შემოიძარცვა ვა-
ლაეანი. ჩვენი საუკუნის 20 იან წლებ-
ში არქიტექტორმა კალგინმა და მხატ-
ვარმა გრინევესკიმ ძეგლი გაზომეს და
რამოდენიმე აკვარელი შეასრულეს.
ხოლო 1938-39 წლებში ძეგლი გა-
ზომა არქიტექტორმა ირინე ერნმა; ამა-
ვე პერიოდში ტაძარს ჩაუტარდა სარე-
მონტო — გასამაგრებელი სამუშაოები.

ფიტარეთის ღვთისმშობლის სახე-
ლობის ეკლესია საშუალო ზომის,
XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართუ-
ლი გუმბათიანი ეკლესიათა ტიპური
წარმომადგენელია და ერთ რიგში დგას
ისეთ ძეგლებთან, როგორცაა: ბეთანია,
ქვათახევი, ახტალა და სხვა. ამ ძეგლებ-
ში ცენტრალურ სივრცეს წარმოადგენს
გუმბათქვეშა კვადრატი, რომელიც შექმ-
ნილია ორ აკვისუფლად მდგომი სვე-
ტითა და საკურთხევის კედელთან შე-
ზრდილი წვეილი პილონით.

ფიტარეთის ეკლესია გამოირჩევა თა-
ვისი კვადრატული გეგმით და მხოლოდ
ერთი შესასვლელით სამხრეთის მხრი-
დან; მისი მასშტაბები ინტერიერში
კიდევ უფრო შემცირებულია ოდნავ შე-
ისრული თაღების საშუალებით. ამ
თაღებისა და ოთხკუთხა კომპაქტური
სივრცის გამო, ნაგებობის შიგნით ძალ-
ზე მკუდრო გარემო იქმნება.


ფიტარეთის ავტორის ოსტატობა და
თვითმყოფადობა ასევე ძლიერ ფასად-
თა გაფორმებაში ვლინდება. ტაძრის



ფიტარეთის სამრეკლო.

ფასადები XI-XII საუკუნეების ეკლე-
სიათაგან განსხვავებით არ არის მილი-
ანად დაფარული კედლის თაღდებითა და
განუწყვეტელი დეკორატიული ელემენ-
ტებით, აქ მხოლოდ ნიშები და ღიო-
ბებია დეკორით აქცენტირებული, რის
გამოც ტაძრის გარეგნული სახე ძალ-
ზე მხატვრულია. ფიტარეთის ტაძ-
რის მთელი შიდა სივრცე დაფარულია
კედლის მხატვრობით, ფრესკები ამჟამად
ძალზე დაზიანებულია და ფრაგმენ-
ტულად არის შემორჩენილი, ტაძრის
ინტერიერში დაცულია რამოდენიმე სა-
ფლავის ქვა ისტორიული ცნობების შე-
მცველი წარწერებით.

მიუხედავად მძიმე ავარიული მდგო-
მარობისა, რაც გამოიხატება ღრმა გამ-
ჭოლი ბზარებითა და კედლის მასე-
ბის დეფორმაციებით, ფიტარეთის ტა-
ძარი მთლიანი მოცულობით არის ჩვე-
ნამდგ მოღწეული. ეს გარკვეულწილად
შედეგია 1938-39 წლებში ჩატარებული



კომპლექსის გეგმა.



სარემონტო-კონსტრუქციული ღონისძიებებისა, რომლის დროსაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები დაუკავშირდა ერთმანეთს ლითონის მჭიმებით და რაც მთავარია, გუმბათის ყელი შეიკრა ლითონის ცილინდრზე რადიალურად დაჭიმული არმატურის ჭიმებით ორ დონეში. ეს კონსტრუქცია ვიზუალურად აშკარად ჩანს, როგორც შიგნიდან ასევე გარედან.

შემდგომ პერიოდში ტაძარი კვლავ განაგრძობდა დეფორმაციას. გაიზარდა ბზარები, დაზიანდა ლორფინის სახურავი, ფასადებზე მოიყრა კვადრების და ორნამენტირებული ქვების გარკვეული ნაწილი. თანდათანობით მოიშალა ტაძრის ქვის იატაკიც.

ფიტარეთის კომპლექსის ფიზიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1988 წლის 7 დეკემბრის მიწისძვრამ. ამ დროს დაზიანდა ნაგებობის თითქმის ყველა კონსტრუქციული ელემენტი, განსაკუთრებით კი ტაძრის გუმბათი. გუმბათის ყელის ზედა ნაწილში, სარკმლების სათაურის ქვის ძირებში გაჩნდა თარაზული, გამჭოლი ბზარი, რომელიც

ზოგან ისე ძლიერად იყო გახსნილი, რომ სინათლე გადიოდა. გუმბათის ყელმა მის თავთან დაკარგა მონოლითურობა და ფაქტიურად გუმბათის ზედა ნაწილი თავისი ხიმშიმით იდო გუმბათის ყელზე. ამასთანავე ჩრდილოეთის მხარეს ჩაინგრა სახურავის მონოლითური კონსტრუქცია და ჩაიშალა ლორფინის ქვები. აღსანიშნავია, რომ ფიტარეთის გუმბათის სახურავი შესრულებული ყოფილა ხის კონსტრუქციებით, რომელზედაც კირხსნარის შემავსებლის ფენის საშუალებით მოწყობილი იყო ქვის ლორფინის სახურავი. გუმბათის სახურავის ამგვარი მოწყობა ფრიად საინტერესო მომენტია ძველი ქართული არქიტექტურის საამშენებლო ზელოუნებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ტაძრის ავარიულობამ 1988 წლის 7 დეკემბრის მიწისძვრის დროს, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია; დაზიანდა კარიბჭე, მარანი და გალავნის კედლები. დაფიქსირდა რა ტაძრის ავარიულობა, იმავე ზამთარში მომზადდა სათანადო მასალები და ნაგე-



გელესის კრილი, ზედი აღმოსავლეთისაკენ.

სამხრეთის ფასადი.

ბობას ჩაუტარდა ავარიის საწინააღმდეგო ღრობებითი ღონისძიებები.

ფიტარეთის კომპლექსზე მომუშავე სააქტორო ჯგუფმა არქიტექტორ-რესტავრატორ მერაბ ბოჭორიძის ზედმძღვანელობით, შეისწავლა რა ტაძრის გუმბათის დაშლის ზღვრამდე მისული საინჟინრო მდგომარეობა, დაამუშავა მისი რესტავრაცია-გამაგრების საკმაოდ ახალი და გაბედული მეთოდი, რომელიც გამოირიცხავდა ყოველგვარ დაშლით სამუშაოებს.

ამ პროექტის მიხედვით ტაძარს გაუძლიერდა საძირკვლები ყველა კუთხეში: რითაც მისი კედლები დაზღვეული იქნა შემდგომი ჯდომისაკენ; მოიხსნა გუმბათის ჩანგრეული სახურავი, ლორწინის ქვების წინასწარი დაწინაურებით, გაიწმინდა კარნიზის ზედა ნაწილები ზედმეტი ზსნარისაკენ და ზევიდან დაიბურღა გუმბათის ყელის შუა-კედლები ვერტიკალურად 3,5 მეტრის სიგრძეზე. გაბურღვა შესრულდა გეოლოგიური ხელსაწყოებისა და სპეცია-

ლისტების დახმარებით, იგი საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ პროცესებთან იყო დაკავშირებული, რაც სრული წარმატებით დასრულდა. კერძოდ, ბურღვის პროცესში ვიბრაციის შედეგად ერთი ქვაც არ დაძრულა ადგილიდან. შემდგომ, გაბურღულ ადგილებში გაიყარა მსხვილი არმატურის ღეროები ისე, რომ თარაზულ ბზარს ჩასცდნენ მინიმუმ 30-35 სმ-ით, ჩაისხა მაღალი სიმტკიცის თხევადი ზსნარი, კარნიზის ღონეში მოეწყო რკინა-ბეტონის სარტყელი, რომელსაც დაუკავშირდა სახურავის მონოლითური ფილა. ეს ელემენტები კონსტრუქციულად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და გუმბათის ყელის ერთიან დაცვით სისტემას წარმოადგენენ. ამასთანავე, ეს სამუშაოები შესრულდა ფარულად და ძველის მხატვრულ არქიტექტურულ იერზე არ იმოქმედა. შემდგომ ლორწინის ქვები გაიწმინდა, ნაწილი გამოიცვალა და ახლიდან აეწყო. გუმბათი დაგვირგვინდა თავდაპირ-

ველი ჯვრით, რომლის რესტავრაციაც პროექტის მიხედვით შესრულდა.

ჯვრის აღმართვის რიტუალი შესრულდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წესების დაცვით.

პარალელურად გუმბათისა, სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობდა ტაძრის ინტერიერში. აქ გამაგრდა მორყეული კონსტრუქციული დეტალები და რაც მთავარია, დაიწყო ფრესკების გამაგრება-რესტავრაცია, რომელიც ცალკე თემაა ქართული მონუმენტური საეკლესიო ფერწერის სფეროში და რომელზედაც ასევე ოპერატიულად იმუშავა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფმა მერაბ ბუნუკურიის ხელმძღვანელობით.

ფიტარეთის ტაძარზე აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ ვაპირებთ ხელმოკრულ საინჟინრო გამოკვლევას და სათანადო დასკვნის მიღების შემთხვევაში მის თანდათანობით განთავისუფლებას 1938-39 წლებში შესრულებულ ვიზუალურად საკმაოდ დატვირთულ, საინჟინრო-კონსტრუქციული ელემენტებისაგან.

ფრიად საინტერესო სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოებია ვათვალისწინებული ფიტარეთის სამრეკლოზე. იგი გვემაში კვადრატული ფორმის ორსართულიანი ნაგებობაა. პირველი სართული წარმოადგენს კარიბჭეს გამჭოლი ვასახელებით. მეორე სართული თავად სამრეკლოა. მასზე ასვლა ხდებოდა ეზოს მხრიდან მიდგმული ქვის საფეხურებით. სამრეკლო ამჟამად ძალზე დაზიანებული და ავარიულია. შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთის კედელი, სამხრეთის კედლის ნახევარი და დანარჩენ კედელთა ნაწიბურები. მაგრამ, მიუხედავად მისი ასეთი დაზიანებისა, ნატურაში შერჩენილი ფრაგმენტების საშუალებით, სავსებით შესაძლებელია სამრეკლოს ფანჩატურის თავდაპირველი სახის აღდგენა, მითუმეტეს მისი სრული აღ-

დგენა აუცილებელია, ^{გამომდინარე} საინჟინრო პოზიციებიდან ^{ეკლესიაში} ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოებია ჩასატარებელი ფიტარეთის ზედა გალავანზე და მარანზე.

ზედა გალავნის კედელი კუთხეებში წრიული ბურჯებით, გვეგმაში მართკუთხა კონფიგურაციისა და გვიანფეოდალური პერიოდისაა. გალავანი საკმაოდ დაზიანებულია, შედარებით უკეთ შერჩენილია დასავლეთის კედელი. ამ ნაწილში აღვიღე, 1988 წლის მიწისქვეშა, კარგად ჩანდა მამიკულების ნაშთები, რომლებიც ჩვენს მიერ გრაფიკულად იქნა ადრე დაფიქსირებული. ამ მასალაზე დაყრდნობით და ანალოგიების გამოყენებით შესაძლებელია მამიკულების აღდგენა და გრაფიკული რეკონსტრუქცია გალავნის ამ ნაწილებში. ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოებია წესასრულებელი მარანზე და ფიტარეთის ქვედა გალავანზე.

ქვედა გალავანი შედარებით ადრინდელია, ძლიერ ჩახერვილია და იკითხება ძირითადად მხოლოდ გვეგმის კონტურები.

ფიტარეთზე სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების პარალელურად საჭიროა მისი ქვედა გალავნის გაწმენდა ჩახერვილებისაგან, შესწავლა, გრაფიკული ფიქსაცია და ყოველივე ამანზე დაყრდნობით მისი აღდგენა-კონსერვაცია.



„დათუნას ეკლესია“

შუა საუკუნეებში საქართველოს მჭიდრო კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი საბუთია, დაღესტანში, ავარიელთა მთიან მხარეში მდებარე ქართული ტაძარი — ე. წ. „დათუნას ეკლესია“.

1968 წ. ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნდა ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგის წერილი, სადაც იგი მოკლედ ვანიხილავს „დათუნას ეკლესიას“ და სტილისტური ანალიზის მიხედვით, მას X საუკუნის ბოლო და X-XI საუკუნეთა მიჯნით ათარილებს¹. ამჟამად ინსტიტუტმა „საქრესტურაციაში“ უკვე დაამთავრა ეკლესიის აღდგენის საპროექტო სამუშაო და ცხადია, საინტერესო იქნება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ამ ქართული ძეგლის შესახებ მკითხველისათვის დამატებითი მასალის მიწოდება.

„დათუნას ეკლესიისაკენ“ გზა მდ. ავართა კოისუს ხეობის გაყოლებით მიემართება მაღალმთიან რაიონულ ცენტრ სოვეტსკოესკენ. გავცდებით თუ არა სოფ. დათუნას, 2-3 კმ-ში პატარა ხიდთან უნდა გადაუხვიოთ. აქ მთის მდინარე მოსჩქეფს, რომელსაც კატან-კპალს-ეკლესიის ხეც უწოდებენ. რამოდენიმე ათეულ მეტრში, მოსახვევთან, დახრამული ქარაფებით შემოზღუდული ტაფობი წარმოგვიდგება, რომელიც მაღლა გადმომდგარ პლატოს ქვედა ძირზეა მიბჯენილი. „დათუნას ეკლესია“ ტაფობის ცენტრში დევს მოსახვევით წარმოქმნილ დაბალ კონცხზე აღმართული.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ამ ადგილებში ეკლესია დიდი ხნის წინათ დასახლებულ ქართველებს

აუგიათ. მათივე აზრით, სოფ. დათუნას მკვიდრნიც იმ ქართველთა შთამომავალნი უნდა იყვნენ, რომელნიც თუმცა გამაჰმადიანებულან, მაგრამ ეკლესიის რიდი ჯერაც შემორჩენიათ. ეკლესიის პირდაპირ, შემადლებულ სერზე, ნაგებობათა კედლების კვალია. შესაძლოა ეს ნასახლარები ეკლესიის მფლობელებს ეკუთვნოდა და დასახლება ქრისტიანული მისიის ფუნქციას ასრულებდა მთიელთა მხარეში.

„დათუნას ეკლესიის“ შესახებ წერილობით წყაროებში ცნობები არ მოიძებნება. ქრონოლოგიურად პირველია მთიელთა იმამ შამილის მდიენის, პაჯი-ალი ჭუხელის ცნობა, იმდროინდელ ყაზბის რაიონის სოფ. დათუნათაში ქართველების მიერ 1363 წელს ეკლესიის აგების შესახებ.² იმავე ხანაში, ჩრდ. კავკასიის მკვლევარ დ. ანუჩინს, ვინმე გენერალ კომაროვის ვერსია მოჰყავს: თითქოს XIX საუკუნეში, ომარ ხანს, ყარსის ოლქიდან ქვისმთლელი ბერძნები გადმოუსახლებია და დათუნას ეკლესიაც მათ აუგიათ. ეს ფაქტი ანუჩინს საეჭვოდ მიაჩნია.³ 1923 წ. დაღესტნის კომპლექსური ექსპედიციის წევრი ნ. ბაკლანოვი აღნიშნავს, რომ დაღესტნის მთელ მხატვრულ მემკვიდრეობასთან შედარებით „დათუნას ეკლესია“ განსხვავებულ და უფრო სრულყოფილ კულტურის გამოძახილად ესახება.⁴ ექსპედიციის მეორე მონაწილე ნ. აკოვლევი კი ძეგლის მოკლე აღწერასთან ერთად გადმოგვცემს ცნობას საუკუნის დასაწყისში აქ კედლის მხატვრობის არსებობის შესახებაც

1954 წელს, „დათუნას ეკლესია“ მოინახულა ქართველმა მკვლევარმა ტ. გუდაამ. იგი ეკლესიის მცირე აღწერის გარდა მოგვითხრობს საქართველო-



სა და დაღესტანს შორის მკვიდრო ურთიერთობაზე X-XIII სს-ში. მომდევნო ხანაში დაღესტნის სრული ისლამიზაციის შედეგად ეს ურთიერთობა მთლიანად შეწყდა.

1987-88 წწ. დაღესტნის კულტურის სამინისტროს მიწვევით, „დათუნას ეკლესიის“ შესასწავლად ავართში მუშაობდა ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი: მ. ანდრაძის, მ. ჩოღრიშვილის, თ. გაბუნია, პ. ნუცუბიძის, ხელოვნებათმცოდნე გ. ჭანიშვილის და ფოტოგრაფი ი. ხენკოს შემადგენლობით. ძველზე ჩატარდა არქიტექტურულ-ახოშვითი სამუშაოები და კომპლექსური კვლევა. მოხდა მისი სრული ფოტოფიქსაცია. (მასალები ინახება „საქრესტავრაციის“ არქივში).

„დათუნას ეკლესია“ დარბაზული ტიპის ნაგებობაა, აგებული ღია ფერის ქვიშაქვის უხეშად გათლილი კვადრებით. ჩრდ. ფასადი 3 მ. სიმაღლის საყრდენ კედელზეა დაფუძნებული. ფასადები ხადაა და მხატვრული აღქმის ძირითადი აქცენტი გლუვ კედელთა თარაზულ რივთა წყობაზეა გადატანილი.

წვობის ზედა რივები თანამართლებულად ვიწროდება და დაბალი თარი ლავგონით სრულდებოდა, რომელიც თითქმის სრულიად ჩამოიშალა. საყრდენ კედელში წვობა გაცილებით უხეშია.

ფასადებზე, ჩრდილოეთის გამოკლებით, თითო ვიწრო თაღოვანი, შიგნითკენ წირთხლებგაგანიერებული სარკმელია – აღმ. სარკმლის გვერდებზე ორი მრგვალი ხერვლია აბსიდის გვერდითი სადგომებისათვის, ფრონტონში კი აბსიდსზედა ხეურცეში 3 მცირე თაღოვანი სარკმელია დატანებული. მცირე, მრგვალი ხერვლია სამხ. აღმოსავლეთ-სათავსში სამხრეთ ფასადზე.

ეკლესიას სამი ერთმანეთის მსგავსი ჩაძირული ნახევარწრიული ტიპიანი შესასვლელი აქვს. შიდა მხრიდან შესასვლელები თაღოვანია. ზღურბლები ამალელებულია, ხოლო წირთხლებზე ბუდეებია ამოღებული მძლავრი ურღულებებისათვის. დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელთაგან განსხვავებით, ძველის ადგილმდებარეობიდან გამოძინარე, უწყველოა კარის დატანება ჩრდ. მხრიდანაც, რადგან აქ 3 მ. სიმაღლის საყრდენი კედელია და შესას-



„დათუნას ეკლესია“. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.



ვლელის არსებობა ფუნქციური თვალსაზრისით გაუმართლებელი უნდა იყოს. არ ჩანს მინაშენის არსებობის კვალიც. აქ შეიძლება გაეიხსენოთ ის დამოკიდებულება, რაც დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში სავანის ეკლესიის ჩრდ. კართან დაკავშირებით. სავანეში ჩრდ. კარი, რომელიც ასევე მოკლებულია ფუნქციურ დანიშნულებას მინუელია რუდიმენტულ გადმონაშთად, აბსიდის კედლის სისქეში სამწიფილი საკურთხეველის ორგანიზაციისა და ამიტომ ჩრდ. დამატებითი სადგომის საჭიროების მოხსნის გამო.*

ნაგებობის შიდა სივრცე წარმოადგენს აზიდული პროპორციების მქონე დარბაზს, რომელიც აღმოსავლეთით გვემით ნახევარწრიული აბსიდით სრულდება. აბსიდასა და დარბაზს შორის ვანივად წაგრძელებული, გვეგმაში მართკუთხა ფორმის ვიწრო კამაროვანი სივრცეა. ამ სივრცის ჩრდილო და სამხრეთ კედლებში 3 მ. სიმაღლეზე დატანებულია თხელი არქიტრავით გადახურული თითო მართკუთხა ხვრელი, საიდანაც შესასვლელებია მოწყობილი აბსიდის გვერდებზე კედლის სისქეში არსებულ მცირე სადგომებში, რომლებიც აღმოსავლეთისკენ აბსიდის მსგავსად მრგვალებია. თვით დარბაზს 2 თანაბარ ნაწილად ჰყოფს 3 საფეხურიანი წყვილი პილასტრი, რომელთა კედლისპირა თითო საფეხურს, ვრძივ კედლებზე მაღალი თაღები ვასდევს. 3 თაღია გადაყვანილი დასავლეთ კედელზეც, შუა ამადლებული ნაწილით. პილასტრთა კაპიტელები მარტივი პროფილის თაროს და ჩაკეტილ ნიბრტყეს შეადგენენ. დარბაზის აღმოსავლეთ მონაკვეთის კამარაზე წყობაში რელიეფური ჯვარია გამოყვანილი. კედლები შეღესილია და მთლიანად გაჭვარტლულია. კედლის მხატვრობის კვალი ჩანს სამხრეთი კარის თაღზე.

როგორც ძველის აღწერიდან ჩანს, „დათუნას ეკლესია“ საერთო ასახულებით, სამშენებლო მასალის გამოყენე-

ბით ფასადების გადაწყვეტის ხერხით, კარ-სარკმელთა ღიობების განწყობებით ადვილმდებარეობით და შიდა სივრცის ორგანიზაციით არ გამოირჩევა ქართული საკულტო არქიტექტურის დარბაზულ ნაგებობათა რივიდან. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით ჩრდ. კავკასიაში აღმოჩენილ და მის მომიჯნავე საქართველოს მთიანი მხარის ძეგლთა სტილის განვითარება, საუკუნეთა მანძილზე თან ხდება საქართველოს ბარის ძეგლების თანმიმდევრულ მხატვრულ-სტილისტურ ცვლილებებს.⁹ ამიტომ „დათუნას ეკლესიის“ დათარიღებისათვის სრულიად მართებული იქნება ამ ძეგლის განხილვა, მსგავსი ტიპის ქართულ ეკლესიებთან კავშირში და მისთვის ქრონოლოგიური არეს მოძებნა ქართულ დარბაზულ ეკლესიათა თანამიმდევრულ მწკრივში.

რეგე შმერლინგი „დათუნას ეკლესიის“ დათარიღებისას აღნიშნავს, ამ ნაგებობის გვეგმარების ორ თავისებურებას: 1. საკურთხეველის წინ გვეგმაში მართკუთხა ფორმის ვიწრო კამაროვანი სივრცის მოწყობის გამო იგი მას აქცევს X ს-ის ქართულ დარბაზულ ნაგებობათა იმ მწკრივის ბოლოში, რომელთა გვეგმარებისა და სივრცობრივ გადაწყვეტისას გამოყენებული იყო სხვადასხვა ზომის მონაკვეთთა ურთიერთმონაცვლეობა, რასაც აღარ ვხვდებით X საუკუნის შემდგომ პერიოდში, ხოლო 1002 წ. აგებული ზცისის ეკლესიის საკურთხეველისწინა მართკუთხა სივრცეს მიიჩნევს ადრეულ გვეგმარებათა რემინისცენციად. 2 – დასავლეთ კედლის თაღებს იგი პარალელს უძებნის IX და X-XI საუკუნეთა მიჯნის ძეგლებს შორის: კუსირეთი, იელის წმ. გიორგი, პიანილეთი.¹⁰

ამ მონაკვეთებით იგი „დათუნას ეკლესიას“ ათარიღებს X საუკუნის ბოლოსა და X-XI საუკუნეთა მიჯნის ფარგლებში.

ამავე ხანას პასუხობს „დათუნას ეკ-



ლესიის“ კიდევ ერთი თავისებურება კერძოდ, აბსიდის გვერდებზე კედლის სისქეში დამატებით წავგრძელებული სათავსების არსებობა, რაც მხოლოდ X-XI საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი გვემარება ახსნილია ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილის კომპაქტურად გადაწყვეტის მისწრაფებით, რის შედეგადაც შენარჩუნებულია ამ ნაწილის, როგორც ფუნქციური მოთხოვნილება (კედლის სისქეში მოქცეული სათავსები სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ფუნქციას ასრულებენ), ისევე კონსტრუქციული (ეს სადგომები ამცირებენ კედლის უსარგებლო მასივს).¹¹ ამ ტიპის ძეგლებია X ს-ის დარბაზული ეკლესიები: ეხვევი, არბო, შიდა ქართლის ვანათი, დისევი, ზ/ყარაბულაზი. სათხე. XI ს. I ნახევრის „ზოზტა მიარაში“ ოსეთში და „ზედა სპეთი“. ქრონოლოგიურად უკანასკნელი ძეგლი 1046 წ. აგებული ხავანეს „წმ. ვიორგია“. თუმცა გამოკლისის სახით ამგვარი ძეგლი შემდეგაც გვხვდება, მაგ., XIII ს. I ნახევარში აგებული კაზრეთის ეკლესია, მაგრამ იგი „წინა ეპოქაში ჩამოყალიბებულ სამნაწილედ საკურთხეველის რუდიმენტული გადმონაშთია“.¹² XIII-XIV სს. ხშირად იყენებდნენ ადრეულ მოტივებს.

„დათუნას ეკლესიის“ ფასადები მოკლებულა ყოველგვარ დეკორაციულ ორნამენტაციას. XI საუკუნიდან კი ფასადების მორთვა აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა ქართულ ზუროთმოძღვრებაში, ამიტომ „დათუნას ეკლესიის“ დათარიღებისას ეს გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ.

! ამას გარდა, შემორჩენილხ თარო ლავვარდნის ფრაგმენტიც გამოიციხავს XI საუკუნის შემდგომ პერიოდს, რადგან ამგვარი ტიპის ლავვარდანი X ს. მომდევნო ხანის ძეგლებში აღარ გვხვდება.

ამ მონაცემების გათვალისწინებით „დათუნას ეკლესია“, თარიღდება X ს.

ის II ნახევრით, თუმცა შესაძლოა რამოდენიმე ათეული წლით გვიან აგებულიც იყოს რადგან ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია ოდნავი დაგვიანება სტილის განვითარებაში.


„დათუნას ეკლესიაზე“ ჩატარებული აზომებითი და საკვლევე სამუშაოების შედეგად წარმოჩენილი მასალა საშუალებას იძლევა მთლიანად აღვადგინოთ და პირვანდელი დასრულებული სახე მივცეთ ძეგლს. (აღდგენის პროექტი შეადგინეს რესტავრატორებმა: პ. ნეცუბიძემ, მ. ანდრიაძემ და მ. ჩოდრიშვილმა).

ყველაზე საკვალალო მდგომარეობაშია ნაგებობის გადახურვა. (იგი მთლიანად დაკარგულია) შემორჩენილია ლავვარდნის მხოლოდ რამოდენიმე ქვა და კრამიტის ნატეხები. თუმცა ფრონტონთა შემორჩენილი ქვები საშუალებას იძლევა აღდგეს ეკლესიის ქანობები თავდაპირველი სათანადო დახრილობით და მოეწყოს მასზე კრამიტის სახურავი, თარო ლავვარდნით.

ეკლესიის საპირე წვობა, განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში გამოქარული და მორყეულია. აღმოსავლეთ ფასადზე ჩანს არაკონსტრუქციული ბზარები. გამოქარული წვობა ნიშანდების შემდეგ უნდა გადაეწყოს, ბზარები კი ხაჭირებს ინექტირებას რთული ხსნარით.

უნდა აღდგეს „დათუნას ეკლესიის“ ყველა კონსტრუქციული და არქიტექტურული თავისებურებანი: მიწის დონიდან ორ-ორი საფეხურით ამაღლებული კარის დიობების ზღურბლები და მასიური ხის დირეები; მოეწყოს ეკლესიასთან მისასვლელი დასავლეთის შხრიდან; ინტერიერში უნდა აღდგეს აბსიდთან არსებული სათავსების ხის ელემენტები; გასუფთავდეს და კირით მოილეს ოს იატაკი; დასავლეთის და სამხრეთის შესასვლელებზე შეიკიდოს კარები.

ძეგლი მოითხოვს კონსტრუქციულ გამაგრებასაც. ინექტირების გარდა, ლავ-



ეკლესიის გეგმა.

გარდანს ქვემოთ ეკლესიის სისქეში შენობის მთელ პერიმეტრზე უნდა გაუკეთდეს რკინა-ბეტონის შემკრავი სარტყელი.

რესტავრაციის პროექტი, როგორც აღნიშნეთ დასრულებულია, მაგრამ არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ბოლო 3 წლის მანძილზე, აღდგენითი სამუშაოების დაწყება შეაფერხა.

იმედია, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ჩვენც საშუალება მოგვეცემა თავდაპირველი იერით შემოვიინახოთ საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეს მშენიერი ძეგლი.

1. „მაცნე“, 1968, № 2, რ. შმერლინგი, „დათუნას ეკლესია და ღვთისმშობლის“ (რუსულ ენაზე).

2. Живописная Россия", კრებული 1883, ტ. XI, ი. ბერტე, „კავკასიელი მოთვლელის“ გეგმა, გვ. 73.

3. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე, 1884, ტ. X, გვ. 423.

4.5. ტურნალი „Новый Восток“, 1925, № 5, გვ. 238, 247.

6. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის 1954, ტ. XXX, გვ. 185.

7. ამ სივრცეში შესასვლელი არც ნაგებობის შიგნიდან და არც გარედან არ ჩანს და მისი ფუნქციური დანიშნულება გაურკვეველია.

8. ვ. დოლიძე, „გარბანი“ „ძეგლის მეგობარი“ № 8, გვ. 67., ნ. ანდლელაძე „სპეთის ზედა მაცხოვრის“ ხეროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 44. სპეთში ჩრდ. კარი სივანის მსგავსად ამოშენებულა... აქაც სამაწილადი საკურთხეველია და გვერდითი სადგომებისათვის, დათუნას ეკლესიის ანალოგიურად, თითო პატარა მრგვალი სარკმელი დატანებული აღმ. ფსაღზე.

9. ლ. ხიმშიაშვილი, მ. ანთაძე „ძეგლის მეგობარი“, № 26, გვ. 65, ვ. დოლიძე, საქ. მეცნიერ. აკადემიის „მოამბე“, 1954, ტ. XV, № 2, გვ. 124. 1958, ტ. XXI, № 6, გვ. 767, რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრ. გვ. 211.

10. ამგვარი თაღები დაყვება რამოდენიმე სხვა ეკლესიასაც შიდა ქართლში—ჭირქოლი, ბითოი IX ს. და სნეკვი IX-X საუკუნეთა მიჯნა.

11. ვ. დოლიძე, საქ. მეცნი. აკად. „მოამბე“ 1954, ტ. XV, № 2, გვ. 124, „ძეგლის მეგობარი“ № 20, გვ. 4, ნ. ანდლელაძე, დასახ. ნაშრომი.

12. „ქართული ხელოვნება“, 1987, ტ. 9, ვ. დოლიძე „ქართვის ხეროთმოძღვრული კომპლექსი“, გვ. 26.



ჩინური მონეტა მხედრულიდან

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მცხეთიჯვრის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებს ზაშურის რაიონში, სოფელ მცხეთიჯვარში, ალის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მოპოვებულია მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომლის ნაწილი გამოქვეყნებულია¹.

მცხეთიჯვარი, სადაც მდებარეობს ალის ციხე, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ცნობილი ქალაქის — ალის ერთ-ერთი უბანი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული არქეოლოგიური მასალებიდან გამოვლინარე, ცხოვრება აქ ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანიდან იწყება. ადგილ „გასაყიდლიანთ ვენახში“ დადასტურებულია სამი კულტურული ფენა: გვიანბრინჯაოს ხანის, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის და განვითარებული შუა საუკუნეების.² განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა შუა ფეოდალური ხანის ფენა, რომელიც ამჟამად მოქცეულია ჩვენი ინტერესის სფეროში. ამ ფენიდან მომდინარე მასალის შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგან ეს თემის ფარგლებს სცილდება, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ნამოსახლარზე დაფიქსირდა ჩინური მონეტა, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთადერთია საქართველოში.

მონეტა დამზადებულია ბრინჯაოსაგან. ორივე მხარეს შესრულებულია ჩინური წარწერები და ოთხკუთხედალა გახურებული. (სურ. 1) მასზე მოთავსებული წარწერები ამოიკითხა „კრძიტაჟის“ ჩინური მონეტების მცველმა ნ. ივონკინამ.

წარწერა ასე იკითხება: „ცინ-იუან ტუნ ბაო“, „ბედნიერი წამოწყების ეპოქის მთარული მონეტა“.

ამ მონეტას ჩინეთში სუნის დინასტიის მმართველობის ხანაში კრიდნენ. (960-1279 წლები). არსებობდა ჩრდილოეთი (960-1127 წლები) და სამხრე-

თი (1127-1279) სუნის დინასტიები. აღნიშნული მონეტა სამხრეთი სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდს ეკუთვნის. მოჭრის თარიღი აღბეჭდილია მონეტის მეორე მხარეს, სადაც ზის ნიშანი „ლიუ“, რაც ნიშნავს — 6. (სურ. 2) ე. ი. მონეტა მოჭრილია მმართველობის მეექვსე წელს, ანუ 1200 წელს.

მცხეთიჯვარში მოპოვებულ ჩინურ მონეტას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება XII-XIII საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ იგი აღმოჩნდა შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ქალაქის ალის მიდამოებში, იქ სადაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გადაიოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა³.

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრები იყვნენ, არამედ — სავაჭრო პუნქტებიც. ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც სამხანაო, ასევე სავაჭრო ვაჭრობაში და ურთიერთობა კქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთანაც.⁴

თამარის ეპოქაში ჩინური სამყარო, რასაკვირველია, უცხო არ იყო საქართველოსთვის. აბრეშუმის ცნობილი გზის მეშვეობით ამ ქვეყნის ძვირფასი საქონელი — აბრეშუმი — გზას იკვლევდა დასავლეთის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. როგორც ჩანს XIII საუკუნეში შემოქმენდათ ჩინური კერამიკის ნიმუშებიც. დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილია კერამიკის ძვირფასი სახეობა-სელადონა⁵.

საქართველოს ქალაქების სავაჭრო სავაჭრო კონტაქტებზე მიუთითებს უცხოური მონეტების აღმოჩენა და პირიქით, ქართული მონეტების აღმოჩენის ფაქტები საზღვარგარეთ.

ქალაქი ალიც აქტიურად რომ უნდა



ყოფილიყო ამ კონტაქტებში ჩაბმული, მაინაშნებს 1925 წელს აქ აღმოჩენილი წვრილი მონეტებისაგან შედგენილი განძი, რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ XIII საუკუნეს მიეკუთვნება¹.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ალი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ ქალაქს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, მისი აღმაშენების მანქანი მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობაში უნდა ვეძებოთ. უკვე ვახსენეთ, რომ იგი ცნობილ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და უკანასკნელი მნიშვნელოვანი ბუნქტი იყო, რომელიც ერთმანეთთან უმოკლესი გზით აკავშირებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

დასაშვებად მიგვაჩნია მეორე თვალსაზრისიც. შესაძლოა, აღნიშნული მონეტა აქ მოხვედრილიყო მონღოლთა პი-

რველი შემოსევების შედეგად. ჩვენი უკუნიშნის მეორე ოცნებების დასაბუთების კონაიდან მონეტა 1200 წლით თარიღდება, ვფიქრობთ, არ გამოირიცხება ვარაუდი, რომ იგი აქ მართლა მონღოლებს მოეტანათ. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ მცხეთიჯვრის შუა საუკუნეების კულტურული ფენა სწორედ XIII საუკუნეშია ძალდატანებით განადგურებული, რაზეც მეტყველებს მძლავრი ნახანძრავი ჰორიზონტი, რომელიც შესაძლოა რაღაც საომარ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული.

საკუთრივ XII-XIII სს. ფენაც, ინტენსიური ცხოვრებას კვლით გამოირჩევა. აღნიშნავთ, რომ ჩინურის გარდა აქ მხოლოდ ერთი მონეტა (ვიორგი მესამის) დაფიქსირებული², თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემის თანახმად, ქალაქ ალში დასტურდება მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე (ქართველების გარდა ცხოვრობენ სომხები და ურები)³, რაც ჩვენი აზრით, აქ გარკვეული სავაჭრო ცენტრის არსებობის კიდევ ერთი არგუმენტი უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ თამარის ეპოქის საქართველოს ფართო საერთაშორისო ურთიერთობებს, ცხადი გახდება, რომ აღნიშნული მონეტა მაინცდამაინც სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გზით უნდა მოხვედრილიყო საქართველოში.

¹ ვ. ნაღორაძე, სიბრტე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, გვ. 98-122.

² ა. დავითაშვილი, მცხეთიჯვრის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989 წლის ანგარიში, საქართველოს ზელოვნების მუზეუმის XII სამეცნიერო სესია, (თბილისი), თბ., 1990.

³ ვ. ნაღორაძე, დს. ნაშრომი

⁴ შ. მესხია, ქალაქები, ზელოსნობა და ვაჭრობა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 108.

⁵ Э. Кверфельд, Китайская керамика на Кавказе, «Памятники эпохи Руставели», Л. 1938, стр. 186—188.

⁶ შ. მესხია, დს. ნაშრომი, გვ. 110.

⁷ მცხეთიჯვრის არქეოლოგიური ექსპედიციის შიითებული ანგარიში.

⁸ ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1976, გვ. 377.

პირანოს ჯიშისა

სახელწოდანი ისტორიკოს-გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს რა ტანას ხეობას და მის შენაკად-ლელეებს, წერს: „ხოლო ამას ზეით მიერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითს მთასა, და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჭაფიჩისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი. და სცოცხლობდა ეამსა როსტომ მეფისასა“.

რა ვაქცაი უნდა ყოფილიყო, რა გოლიათი, რომ ხუთი ადლი, — თითქმის 5 მეტრი სიგრძის საფლავი დაისაჭიროვა და ისიც ევიწრო-ეპატარაებოდა, თურმე. — ვფიქრობდით ჩვენ, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციის წევრები და გული გვიწევდა ხსენებული მთისაკენ. ვახუშტის სიტყვის უტყუარობაში გვარწმუნებდა ხალხის ნათქვამი, ტანასა და მისი მეზობელი თემის ხეობების სოფლებში დიდსაც და პატარასაც პირზე აკერიათ ჭაფიჩის, ანუ როგორც იქაურები გამოთქვამენ, ჭეფიჩის სახელი.

ჯერ თავად მთა სახარბიელო სახაზე, ვეება ლომივით რომ წამოწოლილა, მოწიშვლებული ზურგი რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაუდრეკია და შეღერებული თავი სამხრეთ-დასავლეთით უქნია. ეგრე შეიხედება სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან უფრო. კარგად რომ დააკვიდრეს კაცი, მთის კლდოვან შეღერებაზე კარგად ისახება ლომის თავი, დაღრენილი ლომისა. უთუოდ ამ მთასაც შემზირა თავადაც ლომივით ბუბუნა გიორგი ლეონიძემ, როცა ამოლექსა:

„მთებო, ვერ პკლავენ ამ სულს
ომები,
და თუ მოსთხრიან, ამობზარავენ,
თქვენ დაიბღავდებთ, როგორც
ლომები,
როდესაც ძუ ლომს ლეკვს
მოპპარავენ“.

მამულისათვის დასაბღაველი ეამი ბევრჯერ დასდგომია რაზმითის მთას, ლომივით წამოწოლილსა და დაღრენილს.

აჰა, მივეუხლოვდით, ესეც რაზმი-თი, თრიალეთის დიდი მთაგრეხილის ერთერთი გამორჩეული და მაღალი მთა, სამხრეთის მხრიდან ლამის ზემოდან რომ დასცქერის თვით დანახვისის მთასაც, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი ქართლი. ზურგგამინდვრებულ რაზმი-თს ოთხივე მხარეს დაპყვება ტყიანი ფერდობები და ლელები, უხვად გადმოსჩქევენ ციცივი წყარონი, რომლებიც დაღმა და დაღმა უფრო და უფრო მრავლდებიან, ერთმანეთს ებარაჭიანებიან, პატარ-პატარა მდინარეებად იქცევიან და ერთვიან ტანას თუ თემს. ერთი მდინარე-ლელეთაგანია კალის წყალი, სამხრეთიდან რომ გამოდის რაზმი-თს, მერე ჩრდილოეთისაკენ იბრუნებს პირს და ბოშურის მახლობლად ტანავდება. კალის წყალი, მეორენიარად რომ წერეთის წყალსაც ეტყვიან, კარგა ღრმად ჩაკარგულა ტყიან-კლდოვან მთებში, კაცის თვალიც ძნელად აღწევს იმ ჩაკარგულში და ჩვენც ძნელად ჩავაღწიეთ სოფელ წერეთში.

წერეთი ორია, დიდი და პატარა.

დიდ წერეთში მიგვასწავლეს ჭეფიჩის საფლავი. ამ სოფელს სახელწოდებალა შემორჩა დიდი, თორემ ისე



პატარაა, რომ გოგო-ბიჭების თვალის ერთმანეთზე დაქერა სირცხვილად ითვლება. ამ ძირძველ ქართულ სოფელში ათიოდე კომლიდა მოითვლებოდა მაშინ, ეხლა სულაც დაცარიელებულია იმათ უმეტესობასაც ბარისკენ უჭირავს თვალი. ისინიც ნახევარ კომლებად, ან სულაც ნაკომლარებად ითვლებიან, რადგან ხანმოვლიანი და მოხუცებიღა ღივიღებენ, ჯანღონიანი ახალგაზრდობა კი ბარად, ანდა სულაც ქალაქად ჩასულა და ახალი კომლი წარმოუქმნია, ახალგაზრდები ზაფხულობით თუღა ამოაკითხავენ, ისიც სახალისოდ უფრო, დასასვენებლად ამორეკილი ბაღების სანახავად. წერეთსა და მის მიდამოებს მოხუცები განაგებენ. ამ სოფლის მკვიდრთა, უფრო მართლად, ყოფილ მკვიდრთა უმრავლესობა ბესტავაშვილები არიან, გადმოსულნი სოფელ გუდისიდან (ჯავის მიდამოები) თითქმის საუკუნის წინ.

ღიახ, ძირძველი ქართული სოფელი ყოფილა წერეთი. აქაც სჩქეფდა სიციცხლე, რასაც დღეს მხოლოდ უტყვი მოწმენი — ისტორიისა და კულტურის ძეგლები მეტყველებენ. შუა სოფელში, შებორცვებულ ადგილზე, ძველ სასაფლაოზე დგას ცაღნავიანი ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა, კლდის ფლეთილი და ღორჯო ქვითა და დუღაბით ნაგები ის, მორთუბო-მომწვანო, დაჩოფურებული ლოდები მოზიდული უნდა იყოს ჭეფირისნაირი ვაკეკეების მიერ და თვალუტყუარ ოსტატს სიმშვენიერმდე აუმაღლებია. აღმოსავლეთის კედელში ჩაუტანებიათ მომცრო ქვევრები, რომლებიც ხმის გაძლიერება-დაწმენდისთვის ყოფილა გამიზნული. მკვიდრად კი აუშენებიათ, მაგრამ მძიმე საუკუნეებს მაინც დაუდრეკია, ჰერიც ჩაუტყევია და კედლებიც დაუბზარია ალაგ-ალაგ. ეს საკმაოდ ხნოვანი ეკლესია ათ საუკუნეს რომ მისცემს მკვლევარი, ღირსია აღდგენა-შეკეთებისა, მაგრამ ჯერჯერობით მზრუნველი არ უჩანს, ალბათ, იმი-

ტომ უფრო, რომ მიკარგულშეკრულნი არგუნა ბედმა...
 სოფლის ჩაღმა ერთი კლომეტრის მოშორებით დგას სამსართულიანი კოშკები, 10—12 მეტრის სიმაღლისა, მათ მახლობლად წმინდა გიორგის ეკლესიაა, აქვეა ნასოფლარი, საეარაუღოა, რომ ძველი წერეთი სწორედ აქ იყო.

ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მრავალი სახელოვანი მამულიშვილის მომცემი გვარი — წერეთელი აქედან იღებს სათავეს. წერეთელთა ერთი შტო ჯერ ქართლის დაბლობზე, ფრონესა და ლიახვის ხეობების ვაკე ადგილებში ჩამკვიდრებულან, მერე კი, მე-14 საუკუნის მიწურულში თემურლენგის შემოსევებით გაწამებულნი იქიდანაც აყრილან, დღევანდელ საწერეთლოში, ზემო იმერეთს გადასახლებულან და გათავადებულან კიდევ.

და მაინც გოლიათ ჭეფირის აჩრდილი არა გვშორდება. ამა, მისი საფლავიც, რომელიც ეხლანდელი სოფლის, დიდი წერეთის პატარა სასაფლაოზეა, წელან ნახსენები ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით ორიოდ ნაბდის ვაშლაზე.

საფლავი მართლაც ვეებაა, სიგრძე ზუთ გოლიათურ ნაბიჯზე მეტიცაა, თავში დასამანებულია 1 მეტრი სიმაღლის სამკეთხა ქვა, ასეთივე სამანი ჰქონია ბოლოშიც, მაგრამ ამოუგდიათ რამოდენიმე წლის წინათ.

ჭეფირის საფლავს მთელი სოფელი ეთაყვანება, — ამბობს 82, წლის როსე ბესტავაშვილი, — მასზე დაბიჯებაც არ შეიძლება. ერთი ცილინდრიანი კაცი ახირდა, უნდა გავთხაროო. გაავფრთხილეთ, ხელი არ ახლოთ, თორემ უბედურება დატრიალდებაო, მაგრამ ყურში არ შეუშვა ჩვენი ქართული. ჰოდა, საფლავის ბოლოში ჩასმულ ქვას რომ დაებლაუჭნენ, ცამაც შუბლი შეიკრა, უცებ მოიდრუბლა, ამოავდეს ქვა და ამოვარდა ქარიშხალიც, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, წამოა-



ყარა სეტყვა და კობი, იმძლავრა ქარიშხალმა და ერთმანეთს გვაფარა მთბრელებიცა და გარშემო შემოხვეულებიც. დროზე შეეშვენენ, თორემ თავიანთ თავსაც დაღუპავდნენ და ჩვენცა... შეეშვენენ და ქარიშხალიც ჩადგა, ცამაც გამოიცინა.

ასე რომ ჭეფირის საფლავი ჭერჭერობით არ ვათხრილა, მაგრამ ჩანს, რომ მართლა ვეება ვაქცაიო უნდა იწვეს. გადმოცემით ჭეფირი ამ სოფელი, წერეთელი ყოფილა და იმიტომაც დაუმარხიათ აქ.

ჭეფირზე ბევრი ლეგენდა დადის ამ მხარეში. ხალხის გადმოცემით, ჭეფირის სამკვიდრო ყოფილა სოფელი ჭებირი, ეხლა რომ ერთ-ერთ უბნად შეზრდია ატენს. ზოგის თქმით, ეს სოფელი, ჭებირი, სულაც მას დაუარსებია და „ჭებირიც“ ამიტომ შერქმევია.

ხალხის მიერ ჭეფირი თითქმის ზღაპრულ რაინდად არის წარმოჩენილი, თავისი აღნაგობით და ჯანღონით ლამის ამირანს ამოუყენონ გვერდით, მის ერთ წინდაში ერთი კოდი ხორბალი ჩადიდოდაო, ერთ ჭერზე ერთი ქედილა არა ჰყოფნიდაო, რა ვაჰყვიროდა, მთები ზანზარებდნენო.

მდინარე თეძამი და ტანა ერთი მთიდან, ჯამჯამიდან იღებენ სათავეს. საჯიის მთის აღმოსავლეთით ფერდობიდან რომ წყაროსავით პატარა და ანკარა წყალი გამოდის, მერე რომ სხვა ძარღვებიც ერთვიან და მოზრდილ მდინარედ იქცევა, თითქმის ათ კლომეტრზე რომ სულ ამომავალი მზისკენ ჩქარობს, ხოლო კლდოვანი ფერდიდან რკონის შეღმა ჩრდილოეთით უხვევს და ერთჯან სასირეთთან ერთვის დედამტკვარს; ხოლო საჯიის მთის ჩრდილო მხარეს, კლდოვანი გვერდიდან რომ აგრეთვე წყაროსავით პატარა სამდინარო გამოსჩქეფს, მერე ისიც მოზრდილ მდინარედ იქცევა, ბოშურს, ყველა ატენსა და ხიდისთავს რომ ჩამოუ-

ქუხს და ხიდისთავსა დაჯგორეს უმჯგ მიერთვის დედამდინარეს და მდინარე ტანაა.

ტანას სიკეთე და ამ ხეობის მიწის ნაყოფიერება საყოველთაოდ ცნობილია. ხალხის გადმოცემით, თურმე, ნუ იტყვით, ყოველივე ეს ხალხზე მზრუნველი, გულმოწყალე გოლიათის-ჭეფირის წყალობაა; ადრე ატენის ხეობა მწყურვალე ქვეყანა ყოფილა, ხალხს გული უწუხებულა და უწყლობით, ჭეფირიც შეწუხებულა ხალხის წუხილითა. ასულა ჯამჯამის მთაზე, კლდე მოუტეხია, ვეებერთელა ნაძვები დაუქმერია ძირფესვიანად, დაუგრებია, ლეღვივით მოუკრია იმ კლდის ნაგლეჯისათვის, ცოლიც მიშველებია, მის ღონის სწორფერი ცოლი, და იმითი ჩამოუკვალა ჭერ მთის ფერდობი, მერე მთების ძირში ჩავარდნილი ველი, გადმოუგდია ის წყალი, დასაწყისშივე შუაზე გაუყვია მდინარე თეძამი, სათავეში რომ მოზრდილი წყარო უფრო ეთქმის, თავის მიერ გუთნით დარუებულში ჩაუგდია და ასე დაურწყულებია ატენელებიცა და ამ ხეობის სოფლების მწყურვალე მიწებიც. და მას მერეა ტანა ამ ხეობაშიო... „თურმე ტანა, ჩვენი მდინარე აქეთ კი არ მოდიოდა, იქით გადადიოდა, სათავეს მთებს იქით. განგებ აქეთ გადმოუტარებია გუთანი ჭეფირს და წყალი გადმოუგდია—“ მაღლიერებით ამბობენ ატენელები, ხალხიც აქ დაუსახლებია—იმისი სახელისა არის სოფელი ჭებირი ატენის შემოსავალთან“.

ადვილი მისახვედრია, რომ თვით პიროვნებას-ჭეფირს თავდაპირველად ჭებირი უნდა რქმეოდა, ჭებირი ხომ მდინარის ან ზღვის ნაპირის სიმაგრეა ადრე რომ უზარმაზარი ლოდების ჩახერგვით აკეთებდნენ, ეხლა კი ბეტონით ამოჰყავთ კედლად, ისეთი მაგარია, რომ რაც უნდა აღიღდეს გავეშებული მდინარე, ან რაც უნდა მძლავრად იღგაფუნოს ზღვის ტალღებმა, ჭებირს



ვერ გადმოუხტება და ზედ შემსკდარი ღრიალით გაბრუნდება უკან. ესე, რომ ჭებირი სიმძალერის ნართული სახელია ჩვენი გმირი ჭეფირიც ხომ მძლეთა-მძლე ყოფილა. ჭეფირის მიერ დაარსებული სოფელი ჭებირი მერე თანდათან გაიზარდა, ფრთები გაშალა უფრო მდინარე ტანას შეღმა და ესლა ატენს არის შეერთებული. დიახ, ასე მაღლიერებით მოიხსენიებენ ატენელები ჭეფირს,

ხოვლელებსათვისაც გარჯილა ჭეფირი, დიდი ივანე ჭავჭავაძის მშობლიური სოფელი ხოვლე ატენის გადმოღმა, აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს, დანახვისიდან რაზმიამდე გაწოლილი მთა აშორებს ერთმანეთს, თორემ პირდაპირი ბილიკით ერთი საათის სავალი არცკია, ხოვლესაც დასცქერის რაზმიეთის მთა, რომლის ჩრდილოეთ ფერდობზე ციე-ცივი წყაროები ამოსჩქეფენ უხვად. მის მოშორებით შეიმჩნევა ნარულის მსგავსი კვალი, კარგა მოზრდილი და ჩაღრმავებული, თითქოს დიდი გუთანი გაუტარებიათ და ის ნაგუთნარი გაკორდებულიაო. იგი ჭეფირის ნაკვალევად მიაჩნიათ.

ხალხის თქმით, ხოვლელებმა რომ გაიგეს, ატენელებს ჭეფირმა წყალი გაუყვანაო, სთხოვეს წყალი იმათთვისაც გაეყვანა, ჭეფირმა პირობა ჩამოართვა, თუ ყოველდღე შვიდ კამეჩსა და შვიდ თონე პურს მომიტანთ სადილსამხრად, თქვენც გაგიყვანთ წყალსაო. ხოვლელებიც დათანხმდნენ და ჭეფირიც ამოქმედდა თავისი კლდის ვეება გუთნით, კარგა მანძილზე გაატარა. რთული ადგილები რომ დაარუებინეს ზეგანის ზეგამდე, მერე იეშმაკეს ხოვლელებმა, ამას იქით ხომ ჩვენც გავთხრითო და პირი გატეხეს, ნაწყენმა და გაბრაზებულმა ჭეფირმა აიღო ის თავისი ვეება გუთანი და ჩასკედა ნარულის ბოლოს აბა ამის იქით გაიყვანეთ წყალიო და ხოვლელებს ზურ-

გი ადრიკა. ხოვლელებმა ვერ შეძლეს კვალის გაგრძელება იმ კედლებთან და ისევ უწყლოდ დარჩნენ. ძველი ძველი სოფელი ხოვლე, ზუთიოდე კოლომეტრით რომ დაშორებია რაზმიეთს, მართლაც უწყლო, უფრო მართლად მცირეწყლოვან სოფლად ითქმობდა. ეხლა კი წყალბარაქიან და დიდწყლიან სოფლად ითქმის მტკვრიდან ამოტუმბული სარწყავი წყლის წყალობით და სასმელი წყალი გაიუხვეს.

ატენის სიონის ეკლესიას აღმოსავლეთიდან დასცქერის მაღალი ქედი—დანახვისი, რომლის წვერზედაც აუგიათ ერთნავეიანი აეკლესია წმინდისა გიორგისა, მკვრეტი ქართლისა“. (ვახუშტი). და მართლაც იქიდან მოჩანს მთელი ქართლი, მტკვრის გაღმა თუ გამოღმა მხარეები, ცამოწმენდილზე თვალი თბილისსაც სწვდება, დანახვისის თავზე, მოშიშვლებულ ფერდზე შორიდანვე მოჩანს უზარმაზარი ლოდი, ხელის მტევნის შეხედულება რომ აქვს, ეს ჭეფირის ქვააო. ხალხის გადმოცემით, ტყეში გაჭრილი ჭეფირი სწორედ იმ ადგილას მდგარა და იქაურ ბატონს დამუქრებია: თუ ერთ ნასუქ ხარსა და სამ კოკა ღვინოს არ ამომიგზავნი, გამოვისვრი ამ კენქსა, მაგ სახლ-კარსაც დაფინგრევ, მაგ ციხე-კოშკსაც და დედამუდიანად ამოგწყვეტავო. ბატონს ხუმრობად არ ჩაუთვლია ჭეფირის შემონათვალი, რა კეთილს დააყრიდა სამი მეტრის სიმაღლის თითქმის ოცტონიანი „კენქი“, შეშინებია და მართლაც გაუხვავებია ერთი ნასუქი ხარი და სამი კოკა გადაწმინდავებული ატენური. და ჭეფირიც შეშვებია იმჯერად. მერე კი...

სხვა ლეგენდებიც დაიარება ჭეფირზე, ყველა ლეგენდის მთავარი სიმართლე ის არის რომ რეალური პიროვნება ჭეფირი, მართლაც რომ არაჩვეულებრივი ადამიანი, ვეება ტანის და უდიდესი ძალის პატრონი ყოფილა. და აღარ მივიჩნის, ამირანმა რომ ცხრა-



თავიანი დევები აფაროს ერთმანეთსა, პირშიშველა მოყმე კლანკებიან ვეფხვს შეებრძოლოს, ტარიელმა კაცი კაცს შემოსტყორცნოს, გიორგი სააკაძემ კი ისე დაჰკივლოს, ცხენიდან კაცი ჩამოაგდოს. სხვა თუ მხატვრულად წარმოსახვით გაუგოლიათებიან, ეს უკანასკნელი ხომ თვალთ ნახული სინამდვილეა. ამირანის და ჭეჭირის ჯიშისა იყო ჩვენი დროის გოლიათი და ფალაგანი სანდრო კანდელაკი, რომლის ძალის დემონსტრაციის მხილველი მეც ვახლავართ. იგი ხომ კინოფილმ „არსენალშიც“ არის გაუკვდავებული, დანგრეულ ბოგირს რომ შეედღებოდნა და ისე გადაიტარა ჯარი ცხენებშემულ ზარბაზნებთანად.

პოდა, საეკვო აღარ უნდა იყოს, რომ ჭეჭირიც რეალური პიროვნება ყოფილა. ლეგენდებმა რომ მეტისმეტად გააზეკაცეს.

ჭეჭირზე არსებული ლეგენდა-გადმოცემანი ხაზს უსვამენ იმასაც, რომ სიმართლე ჰყვარებია, ბოროტება სძულებია, სოფლის კეთილდღეობაზე უზრუნია, ხალხის სიკეთე ამოძრავებდა, მაგრამ არა ჩანს მისი ძალის საკადრისი ნიშანდობლივი საგმირო საქმენი, სამშობლოს დაცვასა და თავისუფლებებისათვის ბრძოლას რომ მიეძღვნებოდა. არა და, როგორ მოისვენებდა მისი სული, რომ მტერს არ გამკლავებოდა თავისებურად. დიან, ჩვენ ეგრე გეწამს, რომ საკადრის პასუხს გასცემდა მომხდურსაც, თავისუფლებებისათვის ბრძოლის წყურვილიც აუნთებდა გულსა, მაგრამ ხალხმა ჩვეულებრივ ამბად ჩაუთვალა და უკვდავ ლეგენდებში ვეღარ შეაფარა ის ამბები;

ან ამბის მთბრობელიც აღარ გადფრქვნიანდა კიდევ მემატიაწებმა ცმბრტყისქანსა ყური ამ უბირა გლეხი ვაეკაცის საგმირო საქმეებზე. განა ცოტა გმირის ამბაეი გამოჩნა მემატიაწის თვალსა და ყურს და სულაც გაუჩინარად საგმირო საქმენი? განა მაგაზე არა ჩიოდა დიდი ილია: „ჩვენი ქართლის ცხოვრება ხალხის ისტორიაა კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“-ო. ვინ იცის, ჭეჭირსაც ეგ ბედი ეწია. იგი უთუოდ სახალხო გმირი უნდა ყოფილიყო. ეს ყველაზე უწინ ამოიციო გიორგი ლეონიძემ, რომელმაც ასეთი ლექსი უძღვნა ჭეჭირს:

„ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ ხამარეც კი აქვს ახოვანი,
აურჩევია ნავთსაყუდარად
ტყე უღრანი და ბალახოვანი.

„ვით დიდი მუხა წამოქცეული
და ჩახერგილი, როგორც ნალექი,
შეწელილია მშობელ მიწასთან
მისი შრეებით გადანალესი.

სძინავს ბუმბერაზს ომში
გადამდნარს,
ფიქრში ქართლს ითვლის თავის
ხელქმნილად,
და გრძნობს ბერძუხა,
ათახი მუხა
მის ხერხემალზე ამოხეთქილა.“

ქეშმარიტად რომ მართალი პოეტური წაკითხვაა დიდ საფლავში გამომწყვდეული დიდი სულითა.



ბის განყოფილებაში უფროსი ტექნიკური
სად.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ იგი სასწაელებლად იქნა გაგზავნილი ლენინგრადის ქდანოეის სახელობის უმაღლეს სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში, რომელიც ვადაზე ადრე დაამთავრა და პირდაპირ ბრძოლაში ჩაება.

1946 წელს არმიიდან დემობილიზაციით დაბრუნებული გ. ასათიანი 1954 წლამდე მუშაობს მშობლიური ქალაქის სხვადასხვა საამშენებლო დაწესებულებაში პასუხსავებ თანამდებობებზე.

ბატონ გრიშას, როგორც მშენებელს, მრავალი ძეგლის აღდგენაში მიუძღვის წვლილი, მათ შორისაა: ბაგრატიის ტაძარი, გელათის სამონასტრო ანსამბლი, გეგუთის ციხე-დარბაზი, მარტვილის მონასტერი. ნიკორწმინდის ტაძარი, უბისის სამონასტრო ანსამბლი და მრავალი სხვა.

გ. ასათიანი მარტო სარესტავრაციო საქმიანობით არ შემოიფარგლება. იგი ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1959 წლიდან არის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალაქო საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის ყოველგვარ ღონისძიებებში, საინტერესო მოხსენებებით გამოდის საზოგადოების მიერ მოწყობილ კონფერენციებზე და ორგანიზაციებში, ბეჭდავს ძეგლთა დაცვის პრობლემებზე სტატიებს.

ბ-ნ გრიშას მისი კოლეგები, მეგობრები, და ყველა ვისთანაც კი უხდება ურთიერთობა იცნობენ, როგორც შრომისმოყვარე, თავმდაბალ და კეთილშობილ კაცს, პირდაპირს, პრინციპულსა და მომთხოვნს, როგორც სხვაბისადმი ასევე საკუთარი თავისადმი.

დაბადების 80 წლისთავზე ვუსურვებთ ღვაწლმოსილ იუბილარს ბ-ნ გრიშას, ჯანმრთელობას, და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ფრანდ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია.



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ქართული კულტურის ძეგლთა მოაპაგეს, ცნობილ მშენებელ-რესტავრატორს, შრომისა და ომის ვეტერანს – ბატონ გრიგოლ (გრიშა) ასათიანს.

1954 წლის ოქტომბერში საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული ძეგლთა დაცვის სამმართველოს ბრძანებით ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს სპეც-სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ქუთაისის უბანი, რომლის უფროსადაც დაინიშნა ბატონი გრიშა ასათიანი. სწორედ აქედან იწყება მისი მოღვაწეობა ძეგლთა დაცვის სისტემაში, რომელიც დღემდე გრძელდება.

დაბადა ქ. ქუთაისში, დაამთავრა ე. წ. მაჭავარიანის სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის რკინიგზის ტექნიკუმში. მუშაობდა გუმბრინის რკინიგზის მშენებლობაზე ოსტატად, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში ტექნიკის ინვენტარიზატორად. 1937 წლიდან კომუნალური მეურნეო-

ჩვენს სათაყვანო პაპრატში

უქიმერიონის გორაზე აგებული ეს ხელთუქმნელი ძეგლი ქვაზე დაწერილ წარსულს გვიცოცხლებს და ყველას ამცნობს – საიდან მოვიდვართ, რა გადავიტანეთ როგორ უღმობღაღ გვაქცევდნენ, გვაოხრებდნენ და მაინც როგორ არ დაეცემულვართ... საქართველო „სფინქსია“, ფერფლისაგან აღდგომა მისი ზეედრია.

როგორც თბილისში რუსთაველზე გავლიხას არ შეიძლება არ აპხელო მამადავითს, ასევე ქუთაისში თვალი არ მიაპერო პაპრატის ტაძარს, რომლის „ჩაქცეული“ გუმბათი ჩვენს ბედკრულ წარსულზე უხმოდ ღაღადებს.

1950 წელს დაიწყო ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობდა ძეგლის მეცნიერული შესწავლა და გამოკვლევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი – ხუთი დეკორატიული თალით და ორი ნიშით. საეხებით დასრულებული სახე აქვს სარკმელთა მოჩუქურთმებულ საპირებს. უზვად არის მოჩუქურთმებული კარიბჭეები. ძირითადად ნაგებობის ორნამენტს გრაფიკულობა, ხოლო კარიბჭეთა შემკულობას ღრმა პლასტიკური კვეთა ახასიათებს.

პაპრატის ტაძარს გამოჩენული ადგილი უჭირავს ქართული ხელოვნების საგანძურში როგორც შუა საუკუნეების არქიტექტურის ქვაკუთხედი.

საუკუნის დასაწყისში ქუთათურებმა დიდი რუდუნებით ააგეს 197 საფეხურიანი კიბე, რომლითაც ისინი აღიოდნენ არქიელის გორაზე, სადაც ცხოვრობდა ქართული კინოს მეწინავე, საქართველოს სახალხო არტისტი ვასილ ამაშუკელი. რომელმაც სწორედ ამ კიბეებით აიყვანა თავის სახლში დიდი მგოსანი და აქ ჩაიფიქრეს გადაე-

ღოთ პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი – „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორინიკონი იყო 1008 წელი“, კკითხულობთ ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილ წარწერაში. ტაძარი ნაკურთხი ყოფილა ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე. 1691 წელს თურქეთთან ომის დროს, აფეთქების შედეგად ჩამოინგრა გუმბათი და გადახურევა.

ჩვენი ერის ბედკრული ისტორიის ეს მომენტი კარგად გამოხატა აკაკიმ:

**„შენი ციხე გალაჟანი,
ბეერჯერ სისხლით განაბანი
მიწასთან ვინ გაასწორა
ერთდროს მტკიცე ახოვანი“.**

პაპრატის ტაძარზე ვაიცნეს ერთმანეთი ქართული მუსიკის ორფეოსმა ზაქარია ფალიაშვილმა და ქართველმა პერკულესმა კოლია ქვარიანმა.

ზაქარია გაირინდებოდა დიდებული ტაძრის ეზოში და გატაცებით წერდა თავის პირველ მუსიკალურ ნაწარმოებებს. აქედან ხელისგულივით მოჩანდა სახლი, რომელიც რიონის ვადალმა ქართველ კათოლიკეთა მყუდრო უბანში მდებარეობდა.

„კოლია, რასაც ეწერ და ვქმნი უნდა ვუმაღლოდე ჩვენს ნიჭიერ ხალხს. თუ რაიმე ღირსშესანიშნავია ჩვენს შემოქმედებაში, სწორედ მისგან ავიღე როგორც მარგალიტებიო“ – ეტყოდა მეგობარს.

ზაქარია პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებებში უზადლოდ განასახიერა ქართველი ხალხის სულიერი აღზევება და საოცარი გენია. თავისი ბრწყინვალე შემოქმედება მან ააგო ჩვენი ერის ძირძველი კულტურის მხატვრულ განხო-

გადებასა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის ტრადიციებიდან მისი სინთეზირების საფუძველზე.

უქიმერიონის გორაზე, სადაც ძველი დიდების ნიშნად დგას ბაგრატი, თითქმის სავანეებოდ დასახლებულან ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი. აქ დაიდეს ბინა ვალაკტიონმა, ლადო ასათიანმა, დებმა იშხნელებმა, ძმებმა შარაბიძეებმა, კორნელი მალერაძემ, კუხიანიძეების ოჯახის წევრებმა.

დიდებულად აქვს ნათქვამი ბაგრატის ტაძარზე ვალაკტიონს: „ახლა ბაგრატის ტაძარს დააკვირდით, ყვაყვორნებისაგან დაკორტნილ ამირანის გულს არა ჰკავს?! შკერდი შემოხვეია, გუმბათი ჩაქცევია, კედლები დაფლეთია და მაინც საკვირველებასავით დგას, ისე დგას თითქოს ცას შეჰლაღადებხ ჩვენი ქვეყნის მტრების ველურობას, მათ სისხლისმომფარებობას. თავდამსხმელთა ყაჩაღობას“.

ლადო ასათიანის უზადო ნიჭი ბაგრატის ტაძრის კარიბჭესთან გამობრწყინდა. ბაგრატის ტაძრიდან ისე ეხედავ ქუთაისს-ქართული პოეზიის ერთერთ დიდებულ პარნასს, როგორც მას შეეფერება და აქედან აღიქვება სრულიად საქართველო, რისთვისაც ყველაფერი უნდა ვაკეთოთ, თუ კი გვსურს ერის ბრწყინვალე მომავალით გაეიზაროთ — ამბობდა პოეტი და მისი ზებუნებრივი შთაგონების წყაროდ იქცა იქაურობა. ბაგრატის ტაძარში თითქოს სხვა ანდამანტი ჰქონდა მის სტრუქტურებს, ასე რომ შეგვეძრა და სამარადჟამოდ დაგვაძახსოვრდა:

„დაუკაროთ, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს და ბრძოლებში დაიხარჯოს, საქართველოს მზეს და მიწას გაუმარჯოს,


საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“

ჩვენი თანამემამულენიცა და უცხოელებიც არაერთგზის მოხიბლულან ბაგრატის ტაძრით და თავიანთი შთაბეჭდილებანი საოცარი გულმოფენებით გადმოუციათ.

ცნობილმა რუმინელმა პოეტმა ვიქტორ კერნბასმა საქართველოს გულწრფელმა მეგობარმა, უკელავი „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული პოეზიის სხვა ღირსშესანიშნავი ქმნილებების მთარგმნელმა, 1957 წელს საქართველოში იმოგზაურა და თავის სამშობლოში გამოსცა წიგნი „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“. იგი ბაგრატის ტაძრის ნანგრევების შესახებ წერს: „ტაძარი მე-11 საუკუნის დამდეგიდან შენდებოდა. ორჯერ დააქციეს ოტომანმა დამპყრობლებმა, მან მაინც არ დაკარგა ზემოქმედების ძალა, ამჟამად ამ დიდებული ტაძრის რესტავრაცია ხდება“, რესტავრაციის ავტორი გულწრფელად აღიარებს, რომ „ძნელია მიწასთან გასწორებული გუშინდელი მშვენიერებების, მისი ოდესღაც პარმონიული ხაზების წარმოდგენა, ვერ კიდევ 1950 წ. დაეიწყო რა ფრაგმენტების გარჩევა და თითქოს კიდევაც მოვახერხე ნათლად წარმომედგინა მოხდენილი ორნამენტების სიუხვე, რითაც ეს კედლები ოდესღაც დიდებული ტაძრისა იყო შემკული, ძველი სიდიადის ნიშნად რომ გადმოჰყურებს ქალაქს და გდვეკვებს ერის ტრაგიკულ ისტორიას, რომელიც აღსავსე იყო უცხოელთა გამუდმებული შემოსევებით“...

მართლაც ასეა... შესანიშნავად აქვს ნათქვამი პოეტი შალვა ტოგონიძეს:

„დგას ხავსიანი ტაძარი კლდეზე და ქუდმობდილი გასცქერის ქალაქს“..



1998 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა ჩვენი კულტურის ერთ-ერთი თავდადებული მსახური, ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო მკვლევარი და რესტავრატორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვახტანგ გერონტის-ძე ცინცაძე.

წავიდა ჩვენგან აღამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მთლიანად ქართული კულტურის მოვლასა და გადარჩენას მოახმარა.

სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა ბატონმა ვახტანგმა 1939 წლიდან დაიწყო. მუშაობდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუზეუმ „მეტეხში“, 1945 წლიდან კი გიორგი ჩუბინაშვილის მიწვევით, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელია, სადაც მან მონოგრაფიულად შეისწავლა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები—თელიძის „ჭვარპატიოსანი“, გეგუთის სასახლე, ზემო კრიხი, კათედრალური ტაძრები — სვეტი-

ცხოველი და ბაგრატი, კვარას ციხე, კაბენი, დრანდა, სოხასტერი, იდლეთის „ნათლისმცემელი“, უბისის სვეტი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონ ვახტანგის და მისი მეუღლის, არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორის, რუსულენოვანი მეფისაშვილის ერთობლივი გამოკვლევები — „საქართველოს ისტორიული პროვინციის — შიდა ქართლის მთიანი რეგიონის ხუროთმოძღვრება“, სხვადასხვა წლებში უცხოეთში დაბეჭდილი შესანიშნავი გამოცემები ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების შესახებ.

ფასდაუდებელია ბატონი ვახტანგის წვლილი ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოცემაში, მისი უშუალო მონაწილეობითაა გამოქვეყნებული მრავალი წიგნი და კრებული.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანძილზე სამხატვრო აკადემიაში უძღვებოდა მომავალ ქართველ არქიტექტორ-რესტავრატორთა თაობების აღზრდას; იყო ძეგლთა დაცვის სამმართველოს მეცნიერი-კონსულტანტი და სამეცნიერო საბჭოს წევრი.

1950 წლიდან იწყება უზნიშვნელოვანესი პერიოდი ვახტანგ ცინცაძის შემოქმედებაში. ამ წელს მისი პროექტით რესტავრირებულ იქნა ნეკრესის ხუროთმოძღვრული კომპლექსი და ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მეცნიერული რესტავრაცია მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. მან უდიდესი ძალა და ენერჯია შეაღწია ჩვენში პროფესიულ სარესტავრაციო საქმეს. მისი პროექტებითა და ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეული ძეგლია რესტავრირებული. მრავალთაგან აღსანიშნავია: სვეტიცხოველი, მცხეთის ჭვარი, სამთავრო, ბეთანია, მარტვილი, ბიჭვინთა, ზემო კრიხი, რუისი, კაბენი, არმაზი; სასახლეები და ციხე-სიმაგრეები სამთავროში, სვეტიცხოველში, გეგუთში, ხაშში; ისტორიული საცხოვრებელი სახლები თბილისსა და ქუთაისში. მის მიერ რესტავრირებულ ძეგლთა შორის გამოირჩეული ადგილი უკავია ბაგრატის ტაძარს, რომლის რესტავრაციაზე მუშაობა მან 1950 წელს დაიწყო. ბატონი ვახტანგი ძეგლთა რესტავრაციისათვის იყო მოწოდებული, სამისოდ მას ყველაფერი უწყობდა ხელს: ნიჭიერება, ხუროთმოძღვრული ძეგლის სპეციფიკის წვდომა, მახვილი თვალი, შესაშური შრომისმოყვარეობა. სწორედ ასეთი დიდი შრომისათვის ქართველ რესტავრატორთა შორის მას პირველს (და დღემდე ერთადერთს) მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია.

მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობათა შორის, აღსანიშნავია მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანისა. იგი იყო ამ საზოგადოების ორგანოს — „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი დღიდან მისი დაარსებისა და არაერთი ნომრის რედაქტორი. ყოველ საქმეში ენთუზიასტი, დაუღალავი, სრულიად განსაკუთრებული სიყვარულით ეცილებოდა ამ ჟურნალის გამოცემას. სამწუხაროდ, ბატონი ვახტანგი ვეღარ მოესწრო მისივე რედაქტორობით, თითქმის უკვე დასტაშულ, მორიგ ნომერს.

ბატონმა ვახტანგმა თავისი ღვაწლით თვალსაჩინო კვალი დატოვა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლასა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმეში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი დაფასებული ერის კაცი, რომელმაც სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა მამულიშვილთა საუფლოში.

ბ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, თბილისი „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია.

ანზორ ქალღანი



ქართულ საისტორიო მეცნიერებას, მოულოდნელად, 55 წლის ასაკში, გამოაკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, **ანზორ ქალღანი**.

ანზორ ქალღანი დაიბადა 1937 წელს, ცნობილი ენათმეცნიერის მაქსიმე ქალღანის ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტი და ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროს ლაბორანტად პროფ. ალ. რობაქიძის

ხელმძღვანელობით აქტიურად ებმება საეკლექ-ეთნოგრაფიულ და სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციული ფორმების, ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემების შესასწავლად, თავის კვლევებთან ერთად ეწევა ფუნდამენტურ კვლევას ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში, სამცხე-ჯავახეთსა და სვანეთში, ერწოთიანეთსა და ქართლ-კახეთის მთელ რიგ რაიონებში; ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ოსეთში. დიდი სიზუსტით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით კრებს ეთნოგრაფიულ მასალას, თავადვე მალალ პროფესიულ დონეზე ამზადებს ფოტო-საილუსტრაციო მასალას, გრაფიკულად აფიქსირებს მატერიალური კულტურის ძეგლების ყველა დეტალს. ეს უნიკალური მასალა, რომელთა სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა ავტორმა სანახევროდაც ვერ მოასწრო, საფუძვლად ედება მის მონოგრაფიებს: „კოშკების სამყაროში“, „ქართული ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსები და თანამედროვეობა“, ფუნდამენტურ გამოკვლევას – „ცენტრალური კავკასიის მთიულთა კოშკური კულტურა“, რომელშიც საეკლექ რეგიონის კოშკური კულტურის ცალკეული ტიპების მალალ-პროფესიულმა აღწერილობა – ანალიზმა, მის მიერვე შემოთავაზებულმა პერიოდიზაციამ, იშვიათმა ფოტო-საილუსტრაციო და გრაფიკულმა მასალამ, რომელიც მასვე კვათუნის სპეციალური ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის ღრმა ცოდნამ, ფართო ერუდიციამ, რაც კარგად




ჩანს მის ნაშრომებში, ანზორ ქალდანს სწავლულ არქიტექტორთა და ეთნოგრაფიულ-მეცნიერულ-მემორიალურ-მუზეუმის მუშაკის თა შორის დამსახურებული აღიარება მოუპოვა. ასევე შეიძლება გამოვეყენოთ მისი „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში“ შესული გამოკვლევები ქართულ მთურ საცხოვრებელ კომპლექსებზე.

ანზორ ქალდანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებასა და ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ რედაქციასთან. წლების მანძილზე იგი იყო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრი. ჟურნალ „ძეგლის მეგობარში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი სტატიები ქართული წარმომავლობის ქრისტიანულ ძეგლებზე კავკასიის მთიანეთში, ქართულ ტრადიციულ საცხოვრებლის ტიპოლოგიაზე და მრავალი სხვა. რედაქციაში ახლაც ინახება ბატონ ანზორის ბოლოდროინდელი ნაშრომები, რომელთაგან ერთ-ერთს, თუშეთის ტრადიციული საცხოვრებლის ერთი ტიპის — ს. შე-სახებ, ამავე ნომერში ვთავაზობთ მკითხველს. ეს ნაშრომები ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მნიშვნელოვანი მიღწევაა და სავსებით დამსახურებულად, მის ფონდში შეუცვლელი ადგილი უკავია.

ანზორ ქალდანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას. განსაკუთრებით აქ იზინა თავი მისმა როგორც გარკვეულ სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელის ჩამოყალიბებულმა თვისებებმა, საქმის ერთგულებამ, ღრმა ერუდიციამ, კოლექციანობამ, ჰუმანურობამ და გულისხმიერებამ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იზიარებდა რა მოწინავე საზოგადოების აზრს, იდგა სწორ პოზიციაზე, ყოველმხრივ ცდილობდა დაეცვა მატერიალური კულტურის ძეგლები; კავკასიოლოგიური მეცნიერების განვითარების მიზნით, საფუძველს უყრის კიდევ ერთ პერიოდულ გამოცემას „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მუზეუმები“, რომლის რამოდენიმე ნაკვეთი გამოვიდა მისი რედაქტორობით.

ანზორ ქალდანის სახით ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დაკარგა ღრმად ერუდირებული მკვლევარი, ეთნოგრაფი კავკასიოლოგი რომლის ნაშრომებსაც გვერდს ვერ აუვლის კავკასიოლოგიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი; მისმა მეგობრებმა — კარგი მეგობარი, უმწიკვლო, კეთილშობილი პიროვნება, რომლის ხსონაც მარად დარჩება მათ გულელებში.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი;
 ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია.



თარაზულად: 1. ძვ. დიდი კარი, შესასვლელი; 3. ბერძენი მოქანდაკე, ათენის აკროპოლისის ბარელიეფების ავტორი; 7. ეკლესია ახპინძის რაიონში; 9. ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი; 10. ქალღვეულთა გონიერების ღმერთი. მამაკაცის სახელი სვანეთში; 11. საქართველოს ეკლესიებზე გამოსახული ცხოველი; 12. ფიცრული სახლი; 13. XV-XVI სს. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 14. დედამიწის ქალღმერთი; 19. სამშენებლო მასალა, დამუშავებული ქვა; 21. დატკეპნილი მიწის იატაკი; 22. კოლხეთის ძველი სახელწოდება; 23; არქიტექტურული კომპლექსი სამაჩაბლოში; 25. სამშენებლო მასალა; 29. ქართული წარმართული აესული; 30. ბეჭედში ჩასმული რელიეფიანი ქვა, სამკაული; 31. ბუნებრივი გემთსაყუდელი; 36. საღებავი; 37. ბატონი, პატრონი ძვ. თბილისის ვაჭართა წრეში; 38. ეკლესია ოჩამჩირეს მახლობლად; 39. შუმერთა ქალაქ-სახელმწიფო, უნიკალური ზიკურატი; 40. ისტორიული პიროვნება, რომლის სახელისგანაც წარმოდგება ზღვის, ადგილის და მისთ. სახელწოდება; 41. მცენარე, რომლისგან დამზადებული საღებავით იღებდნენ თმას და წვერს.

შვეულად: 1. ძვ. საკრავი ინსტრუმენტი; 2. ნახევარწრიული მოხაზულობის ნიში კედელში; 3. მაყურებელთა სამყოფელი წარმოდგენის დაწყებამდე; 4. აზიური ფულის ერთეული; 5. წმ. ნაკურთხი წყალი; 6. გუმბათიანი ტაძარი თეძმის ხეობაში; 7. სახვითი ხელოვნების დარგი; 8. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები ოპერაში; 15. მონასტერი თეძმის ხეობაში; 16. ანტიკური ტაძრების შემამკობელი, რელიეფური ზოლი; 17. ციხე-სიმაგრე აკარაში, სამშენებლო იარაღი; 18. ბერთა სამყოფელი; 20. ერთ-ერთი ათცამეტ ასურელ შამის სახელი; 24. დუქანი, სავაჭრო სახლი ძველად; 26. ქადაგების ადგილი საკურთხევის წინ; 27. დიდებულთა სასახლე იტალიაში; 28. ბერთა სამყოფელი, 32. ესკიმოსთა გუმბათისებრი ფინულის საცხოვრებელი, 33. კარის ქვეშ გადებული ძელი; 34. გამოქვაბული ეკლესია სამაჩაბლოში; 35. მდიდრული სახლი ქალაქგარეთ.

შეადგინა პია ზანიშვილმა.



L. MEDZMARIASHVILI

Main Board for Protection and Utilization of the Monuments of Culture and History of Georgia: Tasks, Deeds, Problems

I. Tsitsishvili

SAMSHVILDE

The article gives a popular description of the history of Samshvilde — one of the most ancient towns of Georgia, the environs of which were inhabited as early as the 3rd mill. B. C.

Nowadays on the territory of the town there are: a menhir and tetralitus—2nd mill. B. C., Sioni church—8th c., a basilica — 10th c., a church — 12th c., a fortress — 5th-18th cc., „Teotsminda“ church—12th-13th cc., a hall church of Dormition — 13th c., a church — 1672, a bathhouse — 17th-18th cc., palaces — 16th-18th cc., dwellings, ponds — 10th-13th cc., restored in 1747, etc.

The Society of the Protection of Monuments of Culture of Georgia is intended to undertake archaeological excavation and conservation of these monuments, in order to preserve this amazing ensemble of the national heritage.

I. Elizbarashvili

TWO-AISLED CHURCH IN THE SETTLEMENT DANKALI

A two-aisled church, built of perfect ash-lars is located on Akhalkalaki plateau, near the village Gogasheni, on the place of the non-existent settlement Dankali.

Based on the stylistic analysis the church is dated to the mid 10th c. and at the same time the article makes an attempt to show the place and role of this region (Javakheti), abound in the monuments of culture, in the general development of the medieval Georgian culture.

Л. МЕДЗМАРНАШВИЛИ

Главное Управление по охране и использованию памятников истории и культуры Грузии: задачи, дела и проблемы.

И. ЦИЦИШВИЛИ

САМШВИЛДЕ

Самшвилде — один из древнейших городов Грузии. Его окрестности были заселены еще в III тыс. до н. э. Повидимому это послужило поводом летописцам приписать основание крепости Картлосу. Расположение города, ландшафт, большое количество разновременных памятников архитектуры, его сложная и бурная история, естественно, привлекают внимание.

В настоящее время на территории города сохранились: менгир и тетралит II тыс. до н. э., Храм Сиони — VIII в., базилика — X в., церковь — XII в. крепость — V—XVIII вв., церковь «Теогнида» — XII—XIII вв., зальная церковь «Успения» — XIII в., церковь 1672 г., баня — XVII—XVIII вв., дворцы — XVI—XVII вв., жилые дома, бассейны — X—XIII вв., восстановленные в 1747 г. и другие.

В статье дается популярное изложение истории города.

И. ЭЛИЗБАРАШВИЛИ

ДВУХНЕФНАЯ ЦЕРКОВЬ В СЕЛИЩЕ ДАНКАЛИ

На Ахалкалакском плато, вблизи села Гогашени, на месте уже несуществующего селища Данкали находится построенная из прекрасного тесанного камня двухнефная церковь.

Памятник на основе художественно-стилистического анализа датирован серединой X века и, вместе с тем, в статье дана попытка установить место и роль этого насыщенного памятниками культуры региона Джавахети в общей канве развития грузинской средневековой культуры.

AZMANA

The article tells of a small hall church, located on the historical territory of Javakheti. The inner space of the central part of the church is cross vaulted, contributing to its definite originality, as far as it is a second example of this kind in Georgian architecture alongside the minor church of Jvari in Mtskheta. This is one of the main formative moments in the history of Georgian architecture. The church is presumably dated to the second half of the 6th first half of the 7th cc.

A. Kaldani

ONE TYPE OF THE TRADITIONAL DWELLING IN TUSHETI

An article is concerned with one type of the traditional dwelling, found in Tusheti, namely a towerlike castle-fortress. The author gives its peculiar characteristics and explains the emergence of such a dwelling with emphasized defence function in this part of Georgia.

N. Kuprashvili

SOME QUESTIONS OF TECHNOLOGY OF GEORGIAN MURAL PAINTING

One of the significant and interesting methods in the technical-technological process of execution of murals is a design scratched in lines.

The article analyses 17th c. murals in the annex of the main church of Gelati — earliest known to us example of the usage of given technical method for a stencil to the image of the Virgin and the Child. A stencil is widespread in the medieval murals of West Europe, but up to recently, it was unknown in Georgia. All these makes it possible to propose the strengthening of cultural ties with the West Europe, resulting in the usage of the given technical innovation.

АЗМАНА

В статье рассказывается о маленькой церкви зального типа, находящейся на исторической территории Джавахети. Перекрытие центральной части внутреннего пространства церкви осуществлено крестовым сводом, что делает памятник значительно оригинальным ввиду того, что это второй случай в грузинском зодчестве наряду с малой церковью Мцхетского Джвари. Этот момент один из основных в истории формообразования в грузинской архитектуре. Церковь предположительно датируется рубежом второй половины VI — первой половины VII века.

А. КАЛДАНИ

ОДИН ИЗ ТИПОВ ТРАДИЦИОННОГО ЖИЛИЩА В ТУШЕТИ

В статье рассматривается один из типов традиционного жилища, встречающегося в Тushети — башнеобразная крепость. Автор дает ее характерные особенности и объясняет возникновение подобного жилища с акцентированной оборонительной функцией в этом регионе Грузии.

Н. КУПРАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ТЕХНОЛОГИИ ГРУЗИНСКОЙ МОНУМЕНТАЛЬНОЙ ЖИВОПИСИ

В технологическом процессе исполнения монументальной росписи одним из важных и интересных методов является Графия — рисунок, начертанный линиями.

В статье рассмотрена роспись придела (XVII в.) главного храма Гелати — первый из известных нам примеров использования данного технического метода для применения трафарета к изображению «Богородицы с младенцем». Трафарет широко распространен в средневековых монументальных росписях Западной Европы, но до последнего времени не был известен в Грузии, что дает основание предположить упрочнение культурных связей с Западной Европой и, как результат, использование данного технического новшества.

L. Tumanishvili

A HOUSE ON BESIKI STREET

An article gives an information on the restoration-adaptation of a house on Besiki street, which got burnt down during the tragic events of December 1991. The adaptation project was worked out by a group of architects, guided by D. Mchedlidze.

M. Bochoidze

RESTORATION OF PITARETI COMPLEX

The article gives a short history of construction of the architectural complex Pitareti, as well as the notes on its recent restoration.

Architectural complex Pitareti is located in Tetrtskaro region. It comprises fortificational walls, a two-storeyed bell-tower and subsidiary structures, while the wreath of the whole ensemble is a domed church of the Virgin, erected in the 12th-13th cc., distinguished by the special perfection of its forms and artistic execution.

A group of architects, guided by M. Bochoidze, had undertaken a research work and restoration of the whole complex, which got seriously damaged after the earthquake of 1988.

G. Chanishvili, P. Nutsbidze

„DATUNA“ CHURCH

The article is dedicated to a hall church, the so called „Datuna“ located in the Avarian mountains of Dagestan, testifying to the political and cultural ties of the medieval Georgia with the peoples of the North Caucasus.

Based on the stylistic analysis of the church, which due to its architectural principles is not distinguished from Georgian ecclesiastical buildings of the same type, it is dated to late 10th c. The monument is damaged and needs restoration.

Having received an invitation of Dagestan Ministry of Culture, a group of Georgian architects-restorers visited the church some years ago and made the project of its restoration. But the recent political instability hindered the beginning of the work.

Л. ТУМАНИШВИЛИ

ЖИЛОЙ ДОМ ПО УЛ. БЕСИКИ В г. ТБИЛИСИ

В статье дана информация о реставрации-адаптации жилого дома по ул. Бесики, сгоревшего во время трагических событий декабря 1991 года. Проект исполнен группой архитекторов под руководством Д. Мchedlidze.

М. БОЧОНДЗЕ

РЕСТАВРАЦИЯ КОМПЛЕКСА «ПИТАРЕТИ»

Статья дает краткое описание истории строительства архитектурного комплекса «ПИТАРЕТИ», а также сведения о последних реставрационно-восстановительных работах на нем.

Архитектурный комплекс находится в Тетрицкарском районе на правом берегу притока реки Храми. Комплекс составляют крепостные стены, двухэтажная колокольня и хозяйственные помещения, венцом же ансамбля является купольный храм Богоматери, воздвигнутый в XII—XIII вв., отличающийся особой изысканностью форм и художественного исполнения.

После сильного землетрясения 1988 г. авторская группа реставраторов под руководством М. Бочондзе провела научно-исследовательские и восстановительные работы как на самом храме, так и на всем комплексе.

Г. ЧАНИШВИЛИ, П. НУЦУБИДЗЕ

ЦЕРКОВЬ «ДАТУНА»

Средневековая Грузия имела политико-культурные отношения со многими народами Северного Кавказа. Доказательством этого служат христианские храмы Северного Кавказа и среди них церковь в аварских горах Дагестана — т. н. «Датуна».

Постройка представляет собой зальную церковь, которая своими архитектурными принципами не выделяется из ряда грузинских культовых сооружений зального типа.

С помощью художественно-стилистического анализа церковь датируется концом X в. Памятник поврежден и требует восстановления.

Надо надеяться, что в ближайшем бу-

Z. Bragvadze, A. Davitashvili

CHINESE COIN FROM MTSKHETIJVARI

The article tells of the archaeological finds from the village Mtskheti-jvari, on the territory of Ali castle. The authors are specially concerned with a Chinese coin unearthed here, the unique case in Georgia.

Based on the available data, the coin is dated to 1200, being of the great significance for the study of history of trade and economics of Georgia in the 12th-13th cc.

Душем реставраторам будет дана возможность вернуть церкви его первоначальный облик.

3. БРЕГВАДЗЕ, А. ДАВИТАШВИЛИ

КИТАЙСКАЯ МОНЕТА ИЗ МЦХЕТИДЖВАРИ

В статье рассказывается об археологических находках у села Мцхетиджвари, на территории крепости Али. Особое внимание уделяется обнаруженной здесь китайской монете, — уникальном случае в Грузии.

Исходя из имеющихся данных монета датируется 1200 годом и имеет большое значение для изучения истории торговли и экономики Грузии XII—XIII вв.

რეგლასური ტექსტები შეადგინა მარინე უენიამ.

გადაეცა წარმოებას 28.01.93 წ., ბელმოწერილია დასახელებად 10.05.93 წ., ფიზიკურ ფორმითა რაოდენობა 4,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4. ტირაჟი 1.000. შეკვ. 182.

შპსი სსპლ"შეპკულვაპო

ბარნაქანძი — 1. ფიტარეთის ტაძარი რესტავრაციის პროცესში.
2. სამხრეთის ფახადის ფრაგმენტი.

რედაქციის მისამართი — თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. № 5

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას, № 14

